

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

საჯარო გამოსვლები და ადამიანის უფლებები

თარგმანების კრებული

დომიტრი გეგენავას რედაქტორობით

დავით ბატონიშვილის სამართლის

ინსტიტუტის გამომცემლობა

„საჯარო გამოსვლები და ადამიანის უფლებები“ აერთიანებს ელინორ რუზველტის, ელი ვისელის, მარტინ ლუთერ კინგის, ჰაროლდ მაკმილანის, ნელსონ მანდელასა და ემელან ფანქჰურსტის ცნობილი საჯარო გამოსვლების ქართულ თარგმანებს.

თამარ ონიანის, მარი კუტუბიძის, დიმიტრი გეგენავას, თინათინ გიანაშვილის, თორნიკე გერლიანისა და მარიამ ნათენაძის თარგმანი, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით.

Public Speeches and Human Rights, Eleanor Roosevelt, Elie Wiesel, Martin Luther King, Harold Macmillan, Nelson Mandela, Emeline Pankhurst.

Translated by Tamar Oniani, Mari Kutubidze, Dimitry Gegenava, Tinatin Gianashvili and Mariam Natenadze. Edited by Dimitry Gegenava.

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017

Prince David Institute for Law Publishing, Tbilisi, 2017

© ავტორები, Authors, 2017

© მთარგმნელები, Translators, 2017

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, Prince David Institute for Law, 2017

ISBN 978-9941-27-041-3

წინათქმა

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტს უკვე საკმაოდ ბევრი გამოცემა დაუგროვდა, თუმცა არცერთი იმგვარი კმაყოფილებითა და სიამაყით არ აღმავსებს, როგორც „საჯარო გამოსვლები და ადამიანის უფლებები“. ამის მიზეზი რამდენიმეა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოცემა ჩვენი ინსტიტუტის სტაჟიორების მუშაობის შედეგია, რაც ხაზს უსვამს თავად სტაჟირების პროგრამის წარმატებასა და იმ არაჩვეულებრივი სტუდენტების შესაძლებლობებს, რომლებიც ამ პროგრამაში მონაწილეობდნენ; მეორე მიზეზი ისაა, რომ აუცილებელია ყველა მნიშვნელოვანი წყარო, წიგნი, გამოსვლა, რომელმაც რაიმე როლი მაინც ითამაშა ისტორიულ პროცესებში, ქართულ ენაზე იყოს თარგმნილი და ქართულენოვან მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს, მათ გაეცნოს. მესამე და უმთავრესი კი ისაა, რომ მსგავსმა საჯარო გამოსვლებმა შეცვალა კაცობრიობის წარმოდგენა ადამიანის უფლებების, ადამიანურობისა და პიროვნების შესახებ, რამაც, თავის მხრივ, საფუძველი მისცა თანამედროვე, დემოკრატიული, თავისუფალი სამყაროს ჩამოყალიბებას.

ელინორ რუზველტი, ელი ვისელი, მარტინ ლუთერ კინგი, ჰაროლდ მაკმილანი, ნელსონ მანდელა და ემელან ფანქჰურსთი — ეს ადამიანები კარგა ხანია ცივილიზებული მსოფლიოს ერთგვარ ხატებად იქცნენ. სამწუხაროა, რომ მათ ნაწილს ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი აქამდე არ იცნობს. კრებულში წარმოდგენილია მხოლოდ უმცირესი ნაწილი იმ საჯარო გამოსვლებისა, რომლებმაც ძირეული გარდატეხა შეიტანეს მეოცე საუკუნის სახელგანთქმულ პროცესებში და გარკვეულწილად, შეძლეს, სამყარო იმაზე უკეთესი გაეხადათ, ვიდრე მანამდე იყო. ამასთან, მაქსიმალურად მრავაფეროვანია იმ პირთა წრე, ვისი თარგმნაც გადავწყვიტეთ, — დანყებული სუფრაჟისტებიდან, სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლებითა და ჰოლოკოსტს გადარჩენილი მოაზროვნით დამთავრებული.

თარგმნისას მაქსიმალურად დაცულია ორიგინალური სტილი, აზრი კი სიზუსტითაა გადმოცემული ქართულ ენაზე. შენიშვნებში განმარტებულია მხოლოდ ისეთი საკუთარი სახელები, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებდა, რათა მკითხველისთვის შინაარსი უკეთ გასაგები ყოფილიყო, ამასთან, ტექსტი ზედმეტად არ გადატვირ-

თულიყო სამეცნიერო აღნიშვნებით. შეხვდებით რამდენიმე მოძველებულ სიტყვას, ვინაიდან ზოგიერთი საჯარო გამოსვლა თითქმის 100 წლისაა. მარტინ ლუთერ კინგის გამოსვლის თარგმანში გამოყენებულია სიტყვა „ზანგი“, რომელიც, სამწუხაროდ, ზოგიერთის მიერ მცდარად დისკრიმინაციულ ტერმინადაა მიჩნეული (იგი იყენებს სიტყვას — “Negro”). მანდელას გამოსვლაში კი მრავლადაა აფრიკული საკუთარი სახელები, რომელთა ზედმეტი დაკონკრეტებისა და განმარტებისგან თავი შევიკავეთ, ვინაიდან ეს ყოველივე გამოცემის მიზანს ნამდვილად დაშორდებოდა.

განსაკუთრებული მადლობის ღირსია ამ მეტად საინტერესო ტექსტების მთარგმნელები: თამარ ონიანი, მარი კუტუბიძე, თინათინ გიანაშვილი, თორნიკე გერლიანი და მარიამ ნათენაძე. მათ მართლაც დიდი სამუშაო შეასრულეს და მტკიცედ უძლებდნენ ჩემს მიერ მრავალჯერ მიცემულ მითითებებს, შენიშვნებსა თუ ალტერნატიულ ფორმულირებებს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად გაუმკლავდნენ რედაქტირების ურთულეს პროცესსაც და უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, უკვე ძალზე ახლობლადაც კი მიიჩნევენ ამ დიდებულ პიროვნებებს.

მადლობა იურიდიულ კომპანიას — JMG & Partners, რომელსაც სწორად აქვს გათავისებული აკადემიისა და პრაქტიკის სინთეზი, მსგავსი ურთიერთობების აუცილებლობა და რომელმაც ფინანსურად უზრუნველყო წიგნის გამოცემა.

იმედი მაქვს, ეს კრებული მხოლოდ დასაწყისია და ადამიანის უფლებების თემაზე ლეგენდარული საჯარო გამოსვლები მრავლად ითარგმნება მომავალში, რათა კიდევ უფრო მეტ დაინტერესებულ ადამიანს შეეძლოს მათი გაცნობა.

დიმიტრი გეგენავა

ასოცირებული პროფესორი,
დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის დირექტორი

თბილისი, 2017 წლის ივნისი

შინაარსი

პროლა ადამიანის უფლებებისათვის.....	1
<i>ელეონორა რუზველტი, თამარ ონიანის თარგმანი</i>	
გულბრილოვის საფრთხეები	12
<i>ელი ვისელი, მარი კუტუბიძის თარგმანი</i>	
მე ვოცნებობ	18
<i>მარტინ ლუთერ კინგი, დიმიტრი გეგენავას თარგმანი</i>	
ცვლილების ძარი.....	23
<i>ჰაროლდ მაკმილანი, თინათინ გიანაშვილის თარგმანი</i>	
მზად ვარ, მოვკვდი	37
<i>ნელსონ მანდელა, თორნიკე გერლიანის თარგმანი</i>	
თავისუფლება ან სიკვდილი.....	80
<i>ემელან ფანქჰურსთი, მარიამ ნათენაძისა და მარი კუტუბიძის თარგმანი</i>	

ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის

ელენორა რუზველტი

თამარ ონიანის თარგმანი

დღევანდელ საღამოს თქვენთან მოვედი იმ მიზნით, რომ ვისაუბრო ჩვენი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე — ადამიანის თავისუფლებათა დაცვაზე. აღნიშნული თემის განსახილველად სწორედ ეს ადგილი შევარჩიე — საფრანგეთი, სორბონა, რადგან ეს არის მინა, სადაც დიდი ხნის წინ ადამიანის თავისუფლებას ღრმა საძირკველი ჩაეყარა; სადაც იგი განოციერდა და საზრდოობა დაიწყო. სწორედ აქ გამოცხადდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. საფრანგეთის რევოლუციის დიდებულმა იდეებმა — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა — სწორედ აქ გააფართოვა ადამიანის თვალსაწიერი. მე ამ თემაზე სასაუბროდ შევარჩიე ევროპა, რადგან სწორედ აქ იმართებოდა უდიდესი ისტორიული ბრძოლები თავისუფლებასა და ტირანიას შორის. მე ამ თემაზე საუბრისთვის გენერალური ასამბლეის სანყისი პერიოდი შევარჩიე, რადგან ადამიანის თავისუფლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გადაუჭრელი პოლიტიკური განსხვავებების დარეგულირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალისთვის.

აღნიშნული საკითხის გადამწყვეტი მნიშვნელობა აღიარებულ იქნა გაერთიანებული ერების დამფუძნებლების მიერ სანფრანცისკოში. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვისა და განმტკიცების ამოცანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მამოძრავებელი ღერძია. ქარტია გამორჩეულად ზრუნავს თითოეული მამაკაცისა და ქალის უფლებებსა და კეთილდღეობაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ცხადყო, რომ მიზნად ისახავს, დაიცვას ადამიანის უფლებები და პიროვნების ღირსება. ქარტიის პრეამბულაში გაცხადებულია მისი დედააზრი: „ჩვენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანები, განვიზრახავთ... დავამკვიდროთ ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობის, ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობისა და დიდი და მცირე ერების თანასწორობის რწმენა, და... უფრო მეტი თავისუფლების პირობებში ხელი შევუწყოთ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს სტანდარტებს“. მშვიდობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება საყოველთაო უფლებებისა და თავისუფლების ორმხრივ პატივის-

ცემაზეა დაფუძნებული, რაც, საბოლოო ჯამში, ქარტიის ფუნდამენტურ არსს ასახავს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წესდების პირველივე მუხლში მიზნად ისახავს, განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების მოსაგვარებლად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართ პატივისცემის განსამტკიცებლად და გასავითარებლად ყველასთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა.

ეს იდეა კვლავ მეორდება, განსაკუთრებით 55-ე და 56-ე მუხლებში. ორგანიზაციის ყველა წევრი ვალდებულიებას იღებს, ერთობლივად და დამოუკიდებლად იმოქმედოს ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რათა განამტკიცოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო პატივისცემა და დაცვა განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა ან რელიგიისა.

ადამიანის უფლებათა კომისიამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილის მომზადებით მისი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იტვირთა. თუმცა, მანამდე ადამიანის უფლებათა კომისიის ღვაწლით გენერალური ასამბლეა, რომლის მესამე სესიაც რამდენიმე დღის წინ აქ, პარიზში გაიხსნა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის სახით დაინახავს ამ მუშაობის პირველ ნაყოფს.

დეკლარაციამ საბოლოო სახე სერიოზული მუშაობის შედეგად ნიუ-იორკში, ადამიანის უფლებათა კომისიის ბოლო სესიაზე, 1948 წლის გაზაფხულზე, მიიღო. ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ იგი რეკომენდაციის გარეშე, ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ გადაცემულ სხვა დოკუმენტებთან ერთად, გენერალურ ასამბლეას გადაუგზავნა.

ჩვენმა კომისიამ გადანყვიტა, რომ უფლებათა ბილი უნდა მოიცავდეს ორ ნაწილს:

1. დეკლარაცია, რომელიც შესაძლოა დამტკიცდეს გაეროს წევრ სახელმწიფოთა მიერ გენერალურ ასამბლეაზე. დეკლარაციას უნდა ჰქონდეს უდიდესი მორალური ძალა და უთხრას მსოფლიოს ხალხებს, რომ „ჩვენ ამგვარად ვიმედოვნებთ, რამდენიმე წელიწადში ყველა ადამიანისთვის მიენიჭოს მნიშვნელობა ადამიანის უფლებებს“. ჩვენ აქ დავასახელებთ ის უფლებები, რომლებიც ძირითადია ინდივიდისათვის. მივიჩნევთ, რომ მათ გარეშე პიროვნების სრულფასოვანი განვითარება შეუძლებელია.

2. ბილის მეორე ნაწილი, რომელზეც ადამიანის უფლებათა კომისიას დროის ნაკლებობის გამო მუშაობა ჯერ არ დაუსრულებია, არის შეთანხმება, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების ფორმით უნდა წარედგინოს მსოფლიოს სახელმწიფოებს. თი-

თოეულმა სახელმწიფომ, მზადყოფნის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს შეთანხმების რატიფიცირება და შეთანხმება მას მიერთებული სახელმწიფოების მიმართ სავალდებულო ძალას შეიძენს. რატიფიცირების შემდეგ თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, შეთანხმებასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, თავისი კანონმდებლობა შეცვალოს.

შეთანხმება, ბუნებრივია, უნდა იყოს უფრო მარტივი დოკუმენტი. მან არ უნდა დაადგინოს მისწრაფებები, რომლებსაც ჩვენ დეკლარაციით ნებადართულს ვხდით. მან მხოლოდ უნდა მოაწესრიგოს უფლებები, რომლებიც კანონით იქნება განმტკიცებული და აუცილებლად უნდა შეიცავდეს იმპლემენტაციის მეთოდებს. არცერთ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ რატიფიცირების შემდეგ უგულებელყოს იგი. იმპლემენტაციის მეთოდები ჯერ არაა შეთანხმებული კომისიაში და მისი ადეკვატური განხილვა ჯერ არცერთ შეხვედრაზე მომხდარა.

რასაკვირველია, აუცილებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილის შესახებ განხილვა გაიმართოს და შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ასამბლეამ შესაძლოა მიიღოს დეკლარაცია. ვფიქრობ, დეკლარაციის მიღება სტიმულს მისცემს ყველა სახელმწიფოს, მომდევნო თვეების განმავლობაში განიხილონ მისი შინაარსი, რაც უფრო მყარ ნიადაგს შექმნის იმისთვის, რომ ისინი არსებულ პრობლემათა უფრო ღრმა წვდომით შეხვდნენ შეთანხმებას, რომელსაც ჩვენ, ვიმედოვნებ, ერთ წელიწადში წარვადგენთ და შემდეგ მივიღებთ.

დეკლარაცია ადამიანის უფლებათა კომისიამ შეიმუშავა და იგი ერთსულოვნად იქნა მიღებული. თავი შეიკავა მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ – საბჭოთა კავშირმა, იუგოსლავიამ, უკრაინამ და ბელორუსიამ, რაც განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ ქვეყნებსა და გაეროს კიდევ რამდენიმე წევრ სახელმწიფოს ადამიანის უფლებების ფუნდამენტურად განსხვავებული ხედვა აქვთ.

ვფიქრობ, ასამბლეის წინაშე მკაფიოდ უნდა განიმარტოს აღნიშნული განსხვავებების არსი. დღეს მსურს, გარკვეული დრო დავუთმო მათ განმარტებას. მივიჩნევ, რომ საჭიროა დაკვირვებით განვიხილოთ საკითხი ადამიანის უფლებების შესახებ, რადგან, დარწმუნებული ვარ, ამ უფლებების აღიარება და დაცვა შექმნის საფუძველს მომავალში მშვიდობის უზრუნველსაყოფად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გასაძლიერებლად, რათა მან დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობიანი მომავალი.

ჩვენ არ უნდა გვქონდეს ბუნდოვანი წარმოდგენა თავისუფლების ცნების შესახებ. ადამიანის ძირითადი უფლებები მარტივი და იოლად აღქმადია: სიტყვისა და პრესის თავისუფლება; რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება; შეკრების თავისუფლება და პეტ-

იცის უფლება; ადამიანის უფლება — იყოს დაცული საკუთარ სახლში და იყოს თავისუფალი დაუსაბუთებელი ჩხრეკისგან, კონფისკაციისგან, თვითნებურად დაპატიმრებისა და სასჯელისაგან.

ჩვენ შეცდომამი ვერ უნდა შეგვიყვანონ რეაქციულმა ძალებმა, რომლებიც ცდილობენ არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ თავისუფლების ტრადიციის დიდებულ სიტყვებს და ჩვენი ბრძოლა ამგვარად შეაფერხონ. დემოკრატიას, თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებს განსაზღვრული, მკაფიო მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ჩვენ არცერთ ერს უნდა მივცეთ უფლება, აღნიშნული სიტყვები ჩაგვრისა და დიქტატურის სინონიმებად აქციოს.

არსებობს არსებითი ხასიათის კონტრასტები, რომლებიც სიტყვათა გამოყენების დროსაც კი იჩენს თავს დემოკრატიულ და ტოტალიტარულ ქვეყნებში. მაგალითად, „დემოკრატია“ სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისთვის, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის (და ვიცი, რომ საფრანგეთისთვის). ბირთვული კომისიის პირველი შეხვედრის შემდეგ ვმუშაობ ადამიანის უფლებათა კომისიაში და ვფიქრობ, რომ აღნიშნული საკითხი მკვეთრადაა გამოხატული.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათ უკვე მიაღწიეს ბევრ ისეთ რამეს, რასაც ჩვენ ვერ მივაღწევთ „ბურჟუაზიული დემოკრატების“ (როგორც ისინი უწოდებენ) ფარგლებში, რადგან აღნიშნული მიზნების მიღწევას მათი ხელისუფლება აკონტროლებს. ჩვენს ხელისუფლებას კი თითქოს არ შესწევს ძალა მათ მისაღწევად, რადგან, საბოლოო ჯამში, მას ხალხი აკონტროლებს. თუმცა ისინი ასე არ ამბობენ. ისინი მიუთითებენ, რომ საბჭოთა ხალხი საკუთარ მთავრობას აკონტროლებს ისე, რომ მას გარკვეულ აბსოლუტურ უფლებებს ანიჭებს. მათგან განსხვავებით, ჩვენ მივიჩნევთ, რომ არსებობს უფლებები, რომლებიც არასოდეს უნდა მიენიჭოს მთავრობას. ისინი უნდა მიენიჭოს ხალხს.

მაგალითად, საბჭოთა კავშირი ამტკიცებს, რომ მისი პრესა თავისუფალია, რადგან სახელმწიფო ხდის მას თავისუფალს საჭირო ინვენტარით, ქალაქითა და თანამშრომლების ხელფასისათვის განკუთვნილი თანხების უზრუნველყოფის გზით. აცხადებენ, რომ არასოდეს კონტროლდება ის, რაც იბეჭდება მათ მიერ სუბსიდირებულ სხვადასხვა გაზეთში, მაგალითად, პროფკავშირების გაზეთში. მაგრამ რა მოხდება, თუ გაზეთი გააკრიტიკებს კომუნისტური ხელისუფლების პოლიტიკას და იდეოლოგიას? დარწმუნებული ვარ, გაზეთის დასახურად კარგი მიზეზი მოიძებნება.

საბჭოთა გაზეთებს ხშირად გაუკრიტიკებიათ მოხელეები მათი საქმიანობის გამო, რაც მათი თანამდებობიდან გადაყენების მიზ-

ეზიცი გამხდარა, მაგრამ არასოდეს გაუკრიტიკებიათ კომუნისტური იდეოლოგიის არცერთი ფუნდამენტური ასპექტი. ისინი უბრალოდ აკრიტიკებდნენ ამა თუ იმ მეთოდს. აუცილებელია დავინახოთ, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ნებადართული კრიტიკა (მაგალითად, პიროვნების ან მეთოდის) და კომუნისტური იდეოლოგიის კრიტიკა.

რა განსხვავებაა, მაგალითად, ტოტალიტარული და დემოკრატიული სახელმწიფოების პროფკავშირებს შორის? ტოტალიტარულ სახელმწიფოში პროფკავშირი არის იარაღი, რომლის გამოყენებითაც ხელისუფლება ცდილობს არა უფლებების დაცვას, არამედ მოვალეობების განხორციელებას. მთავრობა დასაქმებულებს პროფკავშირების მეშვეობით აწვდის მათთვის განკუთვნილ პროპაგანდისტულ მასალას.

რაც შეეხება ჩვენს პროფკავშირებს, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს თავად დასაქმებულების იარაღთან. ისინი წარმოადგენენ დასაქმებულებს მთავრობასთან და ხელმძღვანელობასთან მათი ურთიერთობების თვალსაზრისით. მათ აქვთ თავისუფლება — საკუთარი მოსაზრებები მთავრობის დახმარების ან ჩარევის გარეშე განავითარონ. პროფკავშირების ჩვენეული კონცეფცია ტოტალიტარული ქვეყნების კონცეფციისაგან სერიოზულად განსხვავდება. ურთიერთგაგების ხარისხი დაბალია.

ვფიქრობ, ტერმინების გამოყენებისას არსებითი ხასიათის განსხვავების საუკეთესო მაგალითია „შრომის უფლება“. საბჭოთა კავშირი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ეს არის ძირითადი უფლება, რომლის დაცვის გარანტი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მთავრობა, რადგან მხოლოდ იგი უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას. მაგრამ შრომის უფლება საბჭოთა კავშირში გულისხმობს დასაქმებულთათვის ხელისუფლების მიერ განსაზღვრული სამუშაოს მიცემას. დასაქმებულს არ გააჩნია შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოება, რომლის ყველა წევრი დასაქმებულია, ყოველთვის არ ნიშნავს თავისუფალ საზოგადოებას და შეიძლება იყოს დამონებული საზოგადოება; მეორე მხრივ, საზოგადოებაში, სადაც ეკონომიკური დაუცველობის შეგრძნებაა, მილიონობით ადამიანი-სათვის თავისუფლება შეიძლება ყოველგვარ შინაარსს მოკლებულ უფლებად იქცეს.

შეერთებულ შტატებში ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თავისუფლება გულისხმობს — თავად აირჩიო საკუთარი სამსახური; იმუშაო, ან არ იმუშაო საკუთარი სურვილის შესაბამისად. შეერთებულ შტატებში ჩვენ, ასევე, ვაცნობიერებთ, რომ ხალხს აქვს უფლება, მოსთხოვოს ხელისუფლებას, არ დაუშვას შიმშილი იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება ვერ შეძლებს, იპოვოს ისეთი ტიპის სამუშაო, რომლის

შესრულებაც შეუძლია. აღნიშნულ გადანყვეტილებას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი აზრი, ჩამოყალიბებული დიდი დეპრესიის პერიოდში, როდესაც ბევრი ადამიანი დაუსაქმებელი იყო. მაგრამ შეერთებულ შტატებში ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მოვიპოვეთ თავისუფლება, თუ იძულებული გავხდებით, მივიღოთ დიქტატორული პრინციპით განსაზღვრული სამუშაო, სამუშაო ადგილი და დრო. არჩევანის უფლებას მივიჩნევთ მნიშვნელოვან, ფუნდამენტური ხასიათის თავისუფლებად.

მე დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი რუსი ხალხის მიმართ. მათ უყვართ თავიანთი ქვეყანა და ყოველთვის მამაცურად იცავდნენ მას დამპყრობლებისაგან. მათ გაიარეს რევოლუციის პერიოდი, რომლის დროსაც გარკვეული ხნის მანძილზე გარესამყაროსგან იზოლირებულები იყვნენ. მათ ჯერაც არ გაქარწყლებიათ ამის შედეგად ჩამოყალიბებული ეჭვი სხვა სახელმწიფოების მიმართ. დღეს უდიდეს სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ მათი ხელისუფლება კიდევ უფრო აღვივებს აღნიშნულ ეჭვს და როგორც ჩანს, მიიჩნევს, რომ მხოლოდ ძალისმიერი გზით შეუძლია, პატივისცემა დაიმსახუროს.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში ჩვენ ერთგვარი საერთაშორისო პატივისცემისა და ურთიერთსაპასუხო ქმედების გვჯერა. არ მივიჩნევთ, რომ სხვები უნდა გვეპყრობოდნენ ისე, როგორც თავად არ სურთ, რომ მოეპყრან. ეს არის ჩარევა სხვა ქვეყნების ცხოვრებაში, რაც განსაკუთრებით აღვივებს ანტაგონიზმს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. თუ მას სურს, დაცულად იგრძნოს თავი საკუთარ ტერიტორიაზე ეკონომიკური და პოლიტიკური თეორიების განვითარებისას, მაშინ სხვა ქვეყნების უსაფრთხოებაც უნდა უზრუნველყოს. გვჯერა, რომ ადამიანებს აქვთ შეცდომის დაშვების თავისუფლება. ჩვენ არ ვერევით მათ არჩევანში და არც მათ აქვთ ჩვენს გადანყვეტილებებში ჩარევის უფლება.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, თანამედროვე მსოფლიოს უმთავრესი პრობლემაა პიროვნების და შესაბამისად, იმ საზოგადოების თავისუფლების დაცვა, რომლის ნაწილსაც პიროვნება წარმოადგენს. ჩვენ ისევე ვიბრძვით დღეს, როგორც იბრძოდნენ საფრანგეთისა და ამერიკის რევოლუციების დროს. ადამიანის თავისუფლება ისეთივე არსებით მნიშვნელოვანს ატარებს, როგორსაც ატარებდა მაშინ. მსურს წარმოგიდგინოთ ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ჩემს ქვეყანაში პიროვნების თავისუფლება.

დიდი ხნის წინ, ლონდონში დისკუსიისას ბატონმა ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ინდივიდის თავისუფლება სამყაროში არარსებული ცნებაა. ინდივიდის თავისუფლებას მთლიანად განსაზღვრავს სხვა ინდივიდთა უფლებები. რასაკვირველია, დავეთანხმე, თუმცა მივუთითე, რომ „ჩვენ განსხვავებული მიდგომა გვაქვს აღნიშნული

საკითხის მიმართ/გაეროში ჩვენ ვცდილობთ, განვავითაროთ უფრო ღრმა და მრავლისმომცველი იდეალები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს, უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ, რა უფლებები აქვს ადამიანს, რა ხდის ადამიანს უფრო თავისუფალს; ადამიანს და არა ხელისუფლებას.“

ტოტალიტარული სახელმწიფო ხალხის ნებაზე მაღლა მთავრობის რამდენიმე წევრის მიერ მიღებულ დადგენილებებს აყენებს.

ბუნებრივია, ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვათა უფლებები, მაგრამ დემოკრატიული სისტემის პირობებში ეს შეზღუდვას არ ნიშნავს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ჩვენ ვიცავთ ჩვენს თავისუფლებებს იმიტომ, რომ თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, პატივი სცეს სხვათა უფლებებს და ჩვენ გვაქვს თავისუფლება — თავად შევექმნათ საკუთარი კანონები. თავისუფლება ჩვენი ხალხებისთვის არის არა მარტო უფლება, არამედ იარაღიც. ჩვენთვის სიტყვის, პრესის, ინფორმაციისა და შეკრების თავისუფლება მხოლოდ აბსტრაქტულ იდეალებს არ წარმოადგენს. თითოეული მათგანის საშუალებით ვაყალიბებთ ცხოვრების ისეთ სტილს, რომელიც თავისუფალს გვხდის.

ზოგჯერ დემოკრატიული პროცესები ნელი ტემპით მიმდინარეობს. არაერთი ჩვენი ლიდერისაგან მსმენია, რომ კეთილმოსურნე დიქტატურის პირობებში სასურველი მიზნების მიღწევა შესაძლებელია გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ხდება დისკუსიის დემოკრატიული პროცესებისა და საზოგადოებრივი აზრის ნელი ტემპით ფორმირებისას. მაგრამ არ არსებობს იმის გარანტია, რომ დიქტატურა მომავალშიც კეთილმოსურნე დარჩება, ან რამდენიმე ადამიანის ხელში არსებული ძალაუფლება ბრძოლის ან რევოლუციის გარეშე დაუბრუნდება ხალხს. ჩვენ გამოცდილებით მივიღეთ ეს ცოდნა და ვირჩევთ დემოკრატიის ნელ პროცესებს, რადგან ვიცით, რომ მოკლე გზა გვაიძულებს წავიდეთ კომპრომისზე ისეთ პრინციპებთან დაკავშირებით, რომლებიც ყოველგვარ კომპრომისს გამოორიცხავს.

ჩვენი ხალხის აზრი საბოლოო გამოხატულებას ჰპოვებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების — უმთავრეს საკითხებსა და კანდიდატურებზე კანონიერი კენჭისყრის გზით. ფარულ კენჭისყრას არსებითი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი არჩევნებისთვის, მაგრამ თქვენ უნდა გქონდეთ არჩევანის უფლება. ჩემი მეუღლისგან ბევრჯერ მსმენია, რომ ხალხი არასოდეს დაკარგავს თავისუფლებას, თუ შეინარჩუნებს ფარული კენჭისყრის უფლებას და თუ სრულყოფილად გამოიყენებს ამ უფლებას. ჩვენი საზოგადოების უმთავრესი გადაწყვეტილებები ხალხის მიერ გამოხატულ ნებაზე დაყრდნობით მიიღება. ამიტომ, როცა ვხედავთ, რომ

აღნიშნული თავისუფლებები საფრთხის წინაშე დგას, ჩვენი ერთსულოვანი ხდება და მრავალფეროვანი კონტრასტული მახასიათებლების მიუხედავად, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთ გუნდად იკვრებიან.

შეერთებულ შტატებში გვაქვს კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა, რადგან საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს ეკონომიკის აღნიშნულ ტიპს იმ პირობებში, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ; თუმცა ჩვენ ვანესებთ გარკვეულ ზღვარს; მაგალითად, გვაქვს ანტიტრასტული კანონმდებლობა, რომელიც წარმოადგენს ამერიკელი ხალხის ნების კანონიერ გამოხატულებას — თავისუფალი კონკურენციის პრინციპი განამტკიცოს ეკონომიკაში და მონოპოლიებს არ მისცეს ხალხის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა.

უფრო და უფრო ძლიერდება ჩვენი პროფკავშირები, რადგან საზოგადოებას სჯერა, რომ ეს დასაქმებულთა უფლებების დაცვის გარანტირების მართებული გზაა. ერთობლივი ორგანიზებისა და გარიგების უფლება განამტკიცებს ბალანსს რეალურ მწარმოებელს, ინვესტორსა და მმართველს შორის, რომელიც დასაქმებულს აკონტროლებს. ეს უკანასკნელი ფიზიკური შრომის შედეგად ქმნის მატერიალურ დოვლათს.

შეერთებულ შტატებს საკმარისი გამოცდილება აქვს საიმისოდ, რომ სრულყოფილების პრეტენზია ჰქონდეს. ჩვენ ვაღიარებთ, რომ გვაქვს გარკვეული პრობლემები დისკრიმინაციის თვალსაზრისით, მაგრამ ამჟამად შეუქცევადი პროგრესი აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის მიმართულებით. ნორმალური დემოკრატიული პროცესები შესაძლებლობას გვაძლევს, გავიაზროთ — რა გვჭირდება და როგორ უნდა მივალწიოთ სრულ თანასწორობას ჩვენს საზოგადოებაში. ნებადართულია თავისუფალი დისკუსია ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. ბოლო ხანებში უმაღლესმა სასამართლომ საყოველთაო უფლებების დაცვის გარანტირების მიზნით წარმოგვიდგინა გადანწყვეტილებები ბევრი კანონის დაკონკრეტების თაობაზე.

საბჭოთა კავშირი ამტკიცებს, რომ მის საზღვრებში მცხოვრები ყველა ხალხი ოფიციალურად თანასწორად ითვლება და თანაბარი უფლებებით სარგებლობს. უმცირესობები დაცულნი არიან დისკრიმინაციისაგან.

ეს არის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, მაგრამ არსებობს პიროვნების თავისუფლების განვითარების სხვა ასპექტები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ დისკრიმინაციის არარსებობა. ამ თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. ხალხი, ჩვეულებრივ, საკუთარ თავს დისკრიმინირებულად არ მიიჩნევს, ვიდრე მას არ

წაართმევნ მისთვის სასურველ თავისუფლებებს და ვიდრე არ დაინახავს, რომ აღნიშნული თავისუფლებებით სხვა ხალხები სარგებლობენ. ასეთი თავისუფლებებია: სიტყვის, პრესის, რწმენის, სინდისის, შეკრების, სამართლიანი სასამართლოს თავისუფლება და თავისუფლება თვითნებური დაპატიმრებისა და სასჯელისაგან. ტოტალიტარული ხელისუფლება საკუთარ ხალხს ასეთი თავისუფლებებით ვერ უზრუნველყოფს. სწორედ ეს თავისუფლებები ანიჭებენ მნიშვნელობას დისკრიმინაციისაგან დაცულობის იდეას.

მე ღრმად მწამს და დარწმუნებული ვარ, თქვენც, რომ დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა არსებით მნიშვნელობას ატარებს, რადგან დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვა უშუალო კავშირშია გაეროს უმთავრეს მიზანთან — განამტკიცოს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. თავისუფალი ადამიანებისთვის მიზანი ვერ ამართლებს საშუალებას. ჩვენ ვიცნობთ ტოტალიტარიზმის მაგალითებს — ერთადერთი პოლიტიკური პარტია; საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, პრესაზე, რადიოზე, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ეკლესიაზე დაწესებული კონტროლი ავტორიტარული ხელისუფლების განმტკიცების მიზნით; სამი ათას წელს ითვლის ადამიანების ბრძოლა ისეთი უძველესი მახასიათებლების წინააღმდეგ, როგორიცაა, რეაქციისა და რეგრესის ნიშნები. გაერო ვალდებულია, დაიცვას და მომავალ თაობებს გადასცეს ხალხის ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების მემკვიდრეობა.

თავისუფლების იდეალის განვითარება და მისი შერწყმა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას მცხოვრები ხალხების ყოველდღიურ ცხოვრებასთან უამრავი ადამიანის ძალისხმევის შედეგია — ჯანსაღი აზროვნებისა და გმირული ქმედების ხანგრძლივი ტრადიციის ნაყოფი. ვერც ერთი რასა და ვერც ერთი ხალხი იტყვის, რომ მხოლოდ მისი დამსახურებით მიაღწია ადამიანმა უფრო მაღალ ღირსებას და პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელ დიდ თავისუფლებას. თითოეულმა თაობამ თითოეულ ქვეყანაში უნდა გააგრძელოს ეს ბრძოლა და ახალი ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით, რადგან ეს ის სფეროა, სადაც პასიურობა რეგრესს ნიშნავს.

ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ფუნდამენტური პრინციპები ნებისმიერი სახის კომპრომისს გამორიცხავს. ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა კომისიის მუშაობა. ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორისმ თავისიც“. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი აღიარებდა აღნიშნულ უფლებას იმ შემთხვევაში, თუ მას დაემატებოდა ერთადერთი ფრაზა — „მითითებული ქვეყნის კანონმდებლობით დადგე-

ნილი პროცედურის შესაბამისად“. აღნიშნული პირობის მიღება მოცემული უფლების არა მხოლოდ შეზღუდვის, არამედ გაუქმების ტოლფასია. დასახელებული შემთხვევა გვარნმუნებს, რომ არასოდეს უნდა შევზღუდოთ ფუნდამენტური უფლებები ერთსულოვნების მიღწევის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უფლებებს საერთოდ დავკარგავთ.

ჩემი აზრით, იოლი არ იქნება, მივალნიოთ ერთსულოვნებას, თუ გავითვალისწინებთ ხელისუფლებისა და ადამიანის უფლებების კონცეფციებთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებებს. ბრძოლა რთული იქნება. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სიმტკიცე და ამასთან, მოთმინების უნარი. თუ ზედმინვნით მყარად დავიცავთ საკუთარ პრინციპებს, ვფიქრობ, შევინარჩუნებთ და განვამტკიცებთ თავისუფლებას. ეს მოხდება მშვიდობიანი, არაძალისმიერი გზით.

მომავალში ადამიანის უფლებები კიდევ უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს მთელ მსოფლიოში. ხალხი, რომელმაც თუნდაც მცირე ხნით გამოსცადა თავისუფლება, ვერასოდეს იქნება კმაყოფილი, თუ საბოლოოდ არ განამტკიცებს მას. ჭეშმარიტი გაგებით, ადამიანის უფლებები კანონმდებლობისა და ხელისუფლების ფუნდამენტურ ობიექტს წარმოადგენს სამართლიან საზოგადოებაში.

ადამიანის უფლებები არსებობს იმდენად, რამდენადაც მათ პატივის სცემენ ადამიანები ერთმანეთთან მიმართებით და ხელისუფლებები — საკუთარ მოქალაქეებთან მიმართებით.

მსოფლიო იცნობს ტოტალიტარული მმართველობის ტრაგიკულ შედეგებს. თუ გავანალიზებთ ჰიტლერის მოსვლას ხელისუფლებაში, დავინახავთ, როგორ იჭედება ჯაჭვი, რომელიც პიროვნებას მონად აქცევს. შესაძლებელია სხვა ქვეყნებთან პარალელების გავლება. პოლიტიკური თვალსაზრისით, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება — განიხილოს და აღმოაჩინოს იმდენი ფაქტი, რამდენიც შესაძლებელია. ქვეყანაში უნდა არსებობდეს მინიმუმ ორპარტიული სისტემა, რადგან მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის არსებობის შემთხვევაში მეტისმეტად ბევრი რამ ექვემდებარება აღნიშნული პარტიის ინტერესებს. პარტია იძენს ტირანულ ხასიათს და მას ვერ განვიხილავთ, როგორც დემოკრატიული ხელისუფლების იარაღს.

როგორც უახლოეს წარსულში, ისე დღესდღეობით, მონმენი ვართ პროპაგანდის, რომელიც ცდილობს ეჭვქვეშ დააყენოს, ძირი გამოუთხაროს და გაანადგუროს ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ასეთი პროპაგანდა ყველა ხალხს აყენებს არჩევანის წინაშე — ეჭვქვეშ დააყენოს უფლებების მემკვიდრეობა და დათმოს საკუთარი პრინციპები; ან მიიღოს გამონვევა, გაიორ-

კეცოს სიფხიზლე და შეუპოვრად განაგრძოს ბრძოლა ადამიანის თავისუფლებების დაცვისა და სრულყოფისათვის.

ის ადამიანები, რომლებსაც არ მიაგებენ იმ პატივს, რომელიც მათ, როგორც პიროვნებებს, ბუნებით აქვთ მინიჭებული, ასეთ მდგომარეობას მუდმივად ვერ შეეგუებიან.

გაეროს ქარტია წარმოადგენს შუქურას მთელს მსოფლიოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განმტკიცების გზაზე. საჭიროა შემონმდეს არა მარტო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ხარისხი, არამედ ისიც, თუ რა მიმართულებით მოძრაობს მსოფლიო. შესაძლებელია თუ არა, ვთქვათ, რომ ზედმინევნით სრულდება ქარტიით გათვალისწინებული ამოცანები, როცა ზოგიერთი ქვეყანა აგრძელებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ქარტია მოგვინოდეხს, განამტკიცოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის იდეისადმი საყოველთაო პატივისცემა?

ადამიანის უფლებების საკითხის განხილვის ადგილი გაეროს ფორუმია. გაერო შეიქმნა, როგორც ერების შეხვედრის ადგილი, სადაც შეგვიძლია განვიხილოთ საერთო პრობლემები და განსხვავებული გამოცდილება გავუზიაროთ ერთმანეთს. დემოკრატიისა და თავისუფლების იდეალებისადმი ერთგულება შესაძლებლობას გვაძლევს, მუდმივად მზად ვიყოთ, გამოვიყენოთ კეთილსინდისიერი დისკუსიისა და მოლაპარაკების ფუნდამენტური დემოკრატიული პროცედურები. ახლაც ისე, როგორც ყოველთვის, ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელ მსოფლიოში არსებული მკვეთრად განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, გაეროს ქარტიის პრინციპებისადმი ღრმა რწმენით, შევძლებთ, ურთიერთგაგებას მივაღწიოთ.

ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმ მიზნით, რომ მონაწილეობა მივიღოთ დიდი საერთაშორისო ასამბლეის შეხვედრებში თქვენს ულამაზეს დედაქალაქ პარიზში. პიროვნების თავისუფლება საფრანგეთის დიდებული ტრადიციების განუყოფელი ნაწილია. როგორც ერთ-ერთი დელეგატი შეერთებული შტატებიდან, მე აქ შევეთხოვ უზენაესს მომდევნო გამარჯვებას ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ბრძოლაში.

გულბრილობის საფრთხეები

ელი ვისელი

მარი კუტუბიძის თარგმანი

ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონო კლინტონ, კონგრესის წევრებო, ელჩო ჰოლბრუკ, თქვენო აღმატებულებავ, მეგობრებო:

ზუსტად 54 წლის წინ, ახალგაზრდა ებრაელმა ბიჭმა კარპატების მთებში მდებარე პატარა ქალაქიდან გაიღვიძა ბუხენვალდში, შინაგანი სულმდაბლობის ადგილას, არც ისე შორს გოეთეს საყვარელი ვაიმარიდან. იგი საბოლოოდ თავისუფალი იყო, თუმცა არა ბედნიერი და ფიქრობდა, რომ სიხარული მის გულში ადგილს ველარასდროს იპოვიდა. ახსოვს გათავისუფლებამდე ერთი დღით ადრე ამერიკელი ჯარისკაცების ნახვით გამოწვეული გაბრაზება და თუნდაც ღრმად მოხუცებულობამდე იცოცხლოს, მათი მადლობელი იქნება ამ ბრაზისა და თანაგრძნობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბიჭს მათი ენა არ ესმოდა, ჯარისკაცების თვალეზი ეუბნებოდნენ ყველაფერს, რისი ცოდნაც სჭირდებოდა. ეუბნებოდნენ, რომ ემონებოდნენ და სამუდამოდ იმასსოვრებდნენ.

და ახლა, თქვენს წინაშე ვდგავარ, ბატონო პრეზიდენტო, — მთავარსარდალო არმიისა, რომელმაც გაგვათავისუფლა მე და ათიათასობით სხვა, ვდგავარ ამერიკელი ხალხისადმი ურყევი, ღრმა მადლიერებით აღსავსე.

„მადლიერება“ არის სიტყვა, რომელსაც ვაფასებ. სწორედ მადლიერების გრძნობა განსაზღვრავს ადამიანის ადამიანურობას. მე თქვენი მადლიერი ვარ, ჰილარი, მისის კლინტონ, იმისთვის, რაც თქვით, იმისთვის, რასაც აკეთებთ ბავშვებისთვის, უსახლკაროებისთვის, უსამართლობის მსხვერპლთათვის, ბედისა და საზოგადოების მსხვერპლთათვის. ყველას მადლობას გიხდით აქ ყოფნისთვის.

ჩვენ ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის ზღურბლთან ვდგავართ. რა იქნება გასული საუკუნის მემკვიდრეობა? როგორ გაიხსენებენ მას? რა თქმა უნდა, განსჯიან, განიხილავენ მორალურ და მეტაფიზიკურ ქრილში. მისმა მარცხმა ჩრდილი მიაყენა მთელ კაცობრიობას: ორი მსოფლიო ომი, უთვალავი სამოქალაქო ომი,

უაზრო მკვლელობათა ჯაჭვი (განდი, კენედი, მარტინ ლუთერ კინგი, სადათი, რაბინი) სისხლის აბაზანები კამბოჯასა და ალჟირში, ინდოეთსა და პაკისტანში, ირლანდიასა და რუანდაში, ერიტრეასა და ეთიოპიაში, სარაევოსა და კოსოვოში, უღმობლობა გულაგებში და ჰიროსიმას ტრაგედია. სულ სხვა საფეხურზე კი — ოსვენციმი და ტრებლინკა. ამდენი ძალადობა, გულგრილობა.

რა არის „ინდიფერენტულობა“? ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა „განსხვავების არარსებობას“ ნიშნავს. ეს არის უცნაური და არაბუნებრივი ყოფა, რომელშიც ფერმკრთალდება ზღვარი სინათლესა და სიბნელეს, ალიონსა და მწუხრს, დანაშაულსა და სასჯელს, უღმობლობასა და თანაგრძობას, კეთილსა და ბოროტს შორის. საით მიემართება და რა არის მისი გარდაუვალი შედეგი? გულგრილობის ფილოსოფია დამაჯერებელია? შეიძლება მისი აღქმა სათნოებად, ღირსებად? აუცილებელია მისი გამოყენება სინმინდის შესანარჩუნებლად? მარტივად ცხოვრებისთვის? ჭიქა ღვინით და გემრიელი სადილით სიამოვნების მიღებისთვის, მაშინ, როცა სამყარო ჩვენს გარშემო მძიმე რყევებს განიცდის?

ინდიფერენტულობა, თავისთავად, მიმზიდველია, მეტიც, — მაცდუნებელი. ბევრად მარტივია, მსხვერპლს თვალი აარიდო. ბევრად მარტივია, თავიდან აიცილო უხეში ჩარევები საქმიანობაში, ოცნებებში, იმედებში. ყველაფერთან ერთად, უხერხული და პრობლემურიცაა სხვის ტკივილსა და სასონარკვეთაში ჩარევა. თანაც, გულგრილი ადამიანისთვის მეზობელი მაინც არაფერს ნიშნავს, შესაბამისად, მისი ცხოვრებაც უმნიშვნელოა, ისევე, როგორც, მისი დამალული თუ ამკარა ტანჯვა. გულგრილობა ადამიანს უბრალო აბსტრაქციამდე ამდაბლებს.

იქ კი, ოსვენციმის შავი კარიბჭის მიღმა, ტყვეებს შორის ყველაზე ტრაგიკულნი იყვნენ „მუსლიმები“, როგორც მათ უწოდებდნენ. თავიანთ დაფლეთილ საბნებში გახვეულნი ისხდნენ ან იწვნენ მიწაზე, სივრცეს მიშტერებულნი, ამდენი უცნობის გარემოცვაში და არ იცოდნენ ვინ იყვნენ, სად იყვნენ. ველარ გრძობდნენ ტკივილს, შიმშილს, წყურვილს. მათ აღარაფრის ემინოდათ, აღარაფერი აწუხებდათ. არც იცოდნენ, რომ უკვე დაიხოცნენ...

ჩვენ კი, ტრადიციებში ღრმად ფესვგადგმულნი, ვფიქრობდით, რომ კაცობრიობის მიერ ჩვენი მიტოვება ჯერ კიდევ არ იყო დასასრული. ვფიქრობდით, რომ ღმერთისგან დავინწყებას ისევ მისივე სასჯელი სჯობდა. გვერჩია, ის უსამართლო ყოფილიყო, ვიდრე

გულგრილი, რადგან ღმერთისგან უგულვებელყოფა უფრო მძიმე სასჯელად მიგვაჩნდა, ვიდრე მისი სიბრაზის მსხვერპლად ყოფნა. ადამიანს ღმერთისგან შორს ცხოვრება შეუძლია, მაგრამ არა მის გარეშე. ის იქ არის, სადაც ჩვენ ვართ. თუნდაც ტანჯვაში? მათ შორის, ტანჯვაშიც!

თავის მხრივ, ასეთი ტანჯვისადმი გულგრილობა ადამიანს არაადამიანად აქცევს. ინდიფერენტულობა უფრო საშიშია, ვიდრე ბრაზი ან სიძულვილი. ბრაზი შეიძლება შემოქმედებითიც იყოს, ზოგი დიდებულ პოემას ან სიმფონიას ქმნის, ზოგი რამე განსაკუთრებულს აკეთებს კაცობრიობისთვის, რადგან გაბრაზებულია იმ უსამართლობაზე, რისი თვითმხილველიცაა. გულგრილობა კი არასდროსაა შემოქმედებითი. სიძულვილსაც კი შეიძლება მოუძებნო პასუხი. მას ებრძვი, ამხელ, განაიარაღებ.

გულგრილობას პასუხი არ გააჩნია. გულგრილობა პასუხი არ არის. ის დასაწყისიც არ არის, დასასრულია. ამიტომაც, იგი მტრის მეგობარია, სარგებელი მოაქვს აგრესორისთვის და არა იმ მსხვერპლისთვის, რომლის მწუხარებაც ყველასგან მიტოვებით კიდევ უფრო იზრდება. პოლიტიკური პატიმარი თავის საკანში, მშვიერი ბავშვები, ლტოლვილები, არ პასუხობენ რა მათ მუდარას, დაიმედებით მაინც არ უმსუბუქებენ რა სიმარტოვეს, ადამიანთა მეხსიერებიდან განიდევნებიან. მათი ადამიანურობის უარყოფით ჩვენ ჩვენსას ვღალატობთ.

გულგრილობა მხოლოდ ცოდვა არ არის, სასჯელიცაა. სწორედ ესაა მიღევადი საუკუნის მიერ სიკეთესა და ბოროტებაზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი.

იქ, საიდანაც მე მოვდივარ, საზოგადოება სამ კატეგორიად იყოფა: მკვლევები, მსხვერპლნი და მაცურებლები. ყველაზე ბნელ ჟამს გეტოებსა და სიკვდილის ბანაკებში — და მე მოხარული ვარ, რომ, როგორც მისის კლინტონმა აღნიშნა, ჩვენ ახლა მხოლოდ ვიხსენებთ იმ პერიოდს, — ჩვენ მიტოვებულად, დავინყებულად ვიგრძენით თავი. ყველა ჩვენგანმა.

ჩვენ ერთადერთი უმწეო ნუგეში გვქონდა, გვჯეროდა, ოსვენციმი და ტრებლინკა კარგად დაცული საიდუმლო იყო, რომ თავისუფალი სამყაროს ლიდერებმა არც იცოდნენ, რა ხდებოდა შავი კარიბჭისა და ეკლიანი სადენების მიღმა, არ იცოდნენ ებრაელების წინააღმდეგ გამართული ომის შესახებ, რომელიც ჰიტლერის არმიამ და მისმა

მოკავშირეებმა წამოიწყეს. ვფიქრობდით, რომ სცოდნოდათ, ჩაერ-
ეოდნენ, ზეცასა და დედამიწას შეძრავდნენ. ხმას აიმაღლებდნენ
აღშფოთებით და გაკიცხვით. დაბომბავდნენ ოსვენციმიისკენ მიმა-
ვალ მატარებელს. ერთხელ მაინც.

ახლა კი გავიგეთ, აღმოვაჩინეთ, რომ პენტაგონში იცოდნენ, სახ-
ელმწიფო დეპარტამენტშიც იცოდნენ.

თეთრი სახლის სახელოვანი ბინადარი, დიდებული ლიდერი, —
ამას მწუხარებით და ტკივილით ვამბობ, რადგან დღეს ზუტად 54-ე
წლისთავია მისი გარდაცვალებიდან — ფრანკლინ დელანო რუზ-
ველტი 1945 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა. მან ამერიკელი ხალხის
და მთელი მსოფლიოს მობილიზება შეძლო, ასობით, ათასობით
მამაც ჯარისკაცთან ერთად გაიბრძოლა ფაშიზმის, დიქტატურის,
ჰიტლერის წინააღმდეგ. ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაეცა ომში. მი-
უხედავად ამისა, მისი სახელი ებრაელთა ისტორიაში, უნდა ვთქვა,
გაბზარულია.

მაგალითად, გავისხენოთ დამთრგუნველი ისტორია „წმინდა
ლუიზე“. სამოცი წლის წინ გემი, დაახლოებით ათასამდე ებრაელით,
ნაცისტურ გერმანიაში დააბრუნეს. ეს მოხდა Kristallnacht*-ის შემდეგ.
გერმანიის ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დარბევის შემდეგ,
რომელსაც ებრაელთა ასობით მალაზიის განადგურება, სინაგოგების
გადაწვა, ათასობით ადამიანის საკონცენტრაციო ბანაკებში გამო-
წყვდევა მოჰყვა. გემი, რომელიც უკვე შტატების სანაპიროსთან იყო,
უკან გაგზავნეს. არ მესმის. რუზველტი გულით კარგი ადამიანი იყო.
უგებდა მათ, ვისაც დახმარება სჭირდებოდათ. რატომ არ დაუშვა
ლტოლვილთა გადმოსხდომა? ათასი ადამიანი — ამერიკაში,
დიდებულ ქვეყანაში დიდებული დემოკრატით, ყველაზე გულუხვი
თანამედროვე სამყაროს ერებიდან. რა მოხდა? არ მესმის. რატომ
ასეთი გულგრილობა ტანჯული მსხვერპლისადმი?

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც თანაგვიგრძნობდნენ. არაე-
ბრაელები, ქრისტიანები, „მართალი წარმართნი“, როგორც ვუნო-
დებდით, რომელთა თავგანწირულმა გმირობამაც იხსნა მათივე
წმინდის ღირსება. რატომ იყვნენ ისინი ასე ცოტა? რატომ გამ-
ოიჩინეს მეტი მონდომება შუცშტაფელის მკვლელების გადასარჩე-
ნად ომის შემდეგ, ვიდრე მსხვერპლთა გადასარჩენად ომის დროს?

* ბროლის ღამე.

რატომ გააგრძელეს ამერიკის უძლიერესმა კორპორაციებმა ჰიტლერის გერმანიასთან ბიზნესთანამშრომლობა 1942 წლამდე? დოკუმენტირებული და დადასტურებულია, რომ ვერმახტი ვერ დაიპყრობდა საფრანგეთს ამერიკიდან მიწოდებული ნავთობის გარეშე. რითი აიხსნება ეს გულგრილობა?

მაგრამ, მეგობრებო, კარგიც მოხდა ამ ტრავმიან საუკუნეში: ნაციზმზე გამარჯვება, კომუნიზმის დამხობა, ისრაელის ხელახალი დაბადება წინაპართა მიწაზე, აპართეიდის დასამარება, ისრაელისა და ეგვიპტის სამშვიდობო ხელშეკრულება, ირლანდიაში მშვიდობის დამყარება. გავიხსენოთ რაბინისა და არაფატის დრამატული, ემოციებით სავსე შეხვედრა, რომელიც თქვენ მოაწყვეთ, ბატონო პრეზიდენტო, სწორედ ამ ადგილას. მე აქ ვიყავი და ეს არასოდეს დამაწყნებდა.

და რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ერთობლივი გადანყვეტილება კოსოვოში შესვლისა და იმ დაზარალებულთა, ლტოლვილთა გადარჩენის შესახებ, რომლებიც ადამიანებმა საკუთარი მიწიდან ამოძიკვეს. ეს ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა გასამართლდნენ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის.

მაგრამ ამ დროს მსოფლიო არ გაჩუმებულა. ახლა ჩვენ ვპასუხობთ. ახლა ჩვენ ვერევიტ.

ნიშნავს კი ეს იმას, რომ წარსულისგან ვისწავლეთ? რომ საზოგადოება შეიცვალა? რომ ადამიანი ნაკლებ გულგრილი და უფრო ადამიანურია? მართლა ვისწავლეთ ჩვენივე გამოცდილებიდან? ნუთუ ნაკლებად უგრძობნი ვართ მსხვერპლთა მუდარის მიმართ? კოსოვოს კონფლიქტში თქვენ მიერ მართული გამართლებული ჩარევა, ბატონო პრეზიდენტო, მტკიცე გაფრთხილებაა, რომ აღარასდროს დავუშვებთ მსოფლიოში ბავშვებისა და მათი მშობლების დატერორებას, დეპორტაციას? აიძულებს ეს სხვა დიქტატორებსაც, თავადაც ასე მოიქცნენ?

და ბავშვები? მათ ვხედავთ ტელევიზორებში, მათზე ვკითხულობთ გაზეთებში და გული გვიტყდება. მათი ბედი ყოველთვის ყველაზე ტრაგიკულია. როცა უფროსები იბრძვიან, ბავშვები იღუპებიან. ვხედავთ მათ სახეებს, თვალებს, მაგრამ გვესმის მათი მუდარა? ვგრძნობთ მათ ტკივილს, აგონიას? ყოველ წუთს ერთ-ერთი მათგანი კვდება დაავადებისგან, ძალადობისგან, შიმშილისგან.

ზოგი მათგანი — ბევრი მათგანი — შეიძლება, გადარჩენილიყო.

და კიდევ ერთხელ, მე ვფიქრობ პატარა ებრაელ ბიჭზე კარპატების მთებიდან. ის ყოველთვის თან მახლდა მოხუცს, ამდენი ძეზნისა და ბრძოლის შემდეგაც.

და ჩვენ, შეპყრობილნი უძირო შიშითა და უჩვეული იმედით, ერთად მივაბიჯებთ ახალი ათასწლეულისკენ!

მე პრეზიდენტი

მარტინ ლუთერ კინგი

დიმიტრი გეგენავას თარგმანი

ბედნიერი ვარ, რომ გიერთდებით იმაში, რაც ისტორიას დარჩება, როგორც ჩვენი ერის ისტორიაში უდიდესი დემონსტრაცია თავისუფლებისათვის.

ხუთი ოცეული წლის უკან დიდმა ამერიკელმა, რომლის სიმბოლურ ჩრდილშიც დღეს ვდგავართ, ხელი მოაწერა ემანსიპაციის პროკლამაციას. ეს უმნიშვნელოვანესი აქტი იმედის შუქურაა მილიონობით ზანგი მონისთვის, რომლებიც უსამართლობის მწველი ალებით იფერფლებოდნენ. იგი მოვიდა, როგორც სასიხარულო განთიადი, რათა დაესრულებინა მათი ტყვეობის გრძელი დამე. თუმცა ასი წლის შემდეგაც ზანგი კვლავაც არაა თავისუფალი. ასი წლის შემდეგაც ზანგის სიცოცხლე კვლავაც მძიმედაა დასახიჩრებული სეგრეგაციის ბორკილებითა და დისკრიმინაციის ჯაჭვებით. ასი წლის შემდეგაც ზანგი ცხოვრობს სიღარიბის უდაბურ კუნძულზე, მატერიალური კეთილდღეობის ოკეანის შუაგულში. ასი წლის შემდეგაც ზანგი კვლავაც ჭკნება ამერიკული საზოგადოების კუნჭულებში და საკუთარ მიწაზე დევნილად მიიჩნევს თავს. ასე რომ, აქ მოვედით, რათა ამ სამარცხვინო მდგომარეობის დრამატიზება მოვახდინოთ.

ამ აზრით მოვედით ჩვენი სახელმწიფოს დედაქალაქში, რათა ჩეკის განაღდება მოვითხოვოთ. როდესაც ჩვენი რესპუბლიკის არქიტექტორებმა კონსტიტუციისა და დამოუკიდებლობის დეკლარაციის ჯადოსნური სიტყვები დაწერეს, ხელი მოაწერეს სავალ ვალდებულებას, რომელიც თითოეულ ამერიკელზე მემკვიდრეობით გადავიდა. ეს ვალდებულება იყო დაპირება, რომ ყველა ადამიანი — დიახ, შავკანიანებიც, თეთრკანიანთა მსგავსად — უზრუნველყოფილი იქნებოდა სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის განუსხვისებელი უფლებებით. დღეს ამკარაა, რომ ამერიკამ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, რამდენადაც მისი ფერადკანიანი მოქალაქეები გულნატკენნი არიან. ამ საკრალური ვალდებულების პატივისცემის მიუხედავად, ამერიკამ

ზანგ ხალხს ცუდი ჩეკი მისცა, ჩეკი, რომელიც დაგვიბრუნდა აღნიშვნით — „არასაკმარისი თანხა ანგარიშზე“.

თუმცა ჩვენ უარს ვაცხადებთ, ვირწმუნოთ, რომ სამართლიანობის ბანკი გაკოტრებულია. უარს ვაცხადებთ, ვირწმუნოთ, რომ ამ სახელმწიფოს შესაძლებლობათა უდიდეს საცავში არასაკმარისი საშუალებაა. ასე რომ, ჩვენ მოვედით, რათა გავანადღოთ ეს ჩეკი, ჩეკი, რომლითაც მოვითხოვთ თავისუფლებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების სიკეთეებს.

ჩვენ ამ საღმრთო ადგილას მოვედით, ასევე, რათა ამერიკას შევასხენოთ ახლანდელი გადაუდებელი აუცილებლობა. არაა დრო, დავკავდეთ დამშვიდების ფუფუნებით ან მივიღოთ გრადუალიზმის დამამშვიდებელი აბები. ახლა დროა, შევასრულოთ დემოკრატიის რეალური დაპირებები. ახლა დროა, სეგრეგაციის ბნელი და უდაბური ხევიდან რასობრივი სამართლიანობის მზიან ბილიკზე ამოვიდეთ. ახლა დროა, ჩვენი ერი რასობრივი უსამართლობის მოძრავი ქვიშიდან ძმობის მყარ კლდეზე ამოვიყვანოთ.

ახლა დროა, სამართლიანობა ღმერთის ყველა შვილისთვის სინამდვილედ ვაქციოთ. ერისთვის საბედისწერო იქნება ამ მომენტის გადაუდებლობის უყურადღებოდ დატოვება. ზანგთა ლეგიტიმური უკმაყოფილების ეს გამთანგველი ზაფხული არ დასრულდება თავისუფლებისა და სამართლიანობის ძალისმომცემი შემოდგომის დადგომამდე — 1963 წელი არა დასასრული, არამედ დასაწყისია. მათ, ვინც იმედოვნებს, რომ ზანგებს ორთქლის გამოშვება სჭირდებოდათ და ახლა გულს იჯერებენ, უეცრად გამოფხიზლდებიან, თუკი ერი, ჩვეულებრისამებრ, თავის საქმეებს დაუბრუნდება.

არ იქნება არც დასვენება, არც სიმშვიდე ამერიკაში, სანამ ზანგი არ იქნება უზრუნველყოფილი სამოქალაქო უფლებებით. აჯანყების ქარიშხალი გაგრძელდება, რათა შეარყიოს ჩვენი სახელმწიფოს საფუძვლები მანამ, სანამ სამართლიანობის ნათელი დღეები არ გამოჩნდება. და ესაა ის, რაც უნდა ვუთხრა ჩემს ხალხს, რომელიც მართლმსაჯულების სასახლის ზღურბლზე დგას. ჩვენი კუთვნილი ადგილის მოპოვების პროცესში, უკანონო ქმედებებში არ უნდა დავადანაშაულონ. მოგვეცით ნება, არ ვეძიებდეთ, ჩვენი თავისუფლების წყურვილს არ ვიკლავდეთ სიძულვილისა და სიმწრის თასიდან. ჩვენი ბრძოლა სამუდამოდ უნდა ავიყვანოთ ღირსებისა და დისციპლინის მაღალ დონეზე. არ უნდა დავუშვათ, ჩვენი შემოქმედებითი პროტესტი ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდოს.

კვლავაც და კვლავაც უნდა აღვზევდეთ ფიზიკური ძალისა და სულიერი ძალის შეყრის დიდებულ სიმალლეებზე. გასაოცარი ახალი საომარი განწყობილებით, რომელმაც ზანგი თემი შთანთქა, არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ, რათა ეჭვი შევიტანოთ ყველა თეთრკანიანში, ბევრი ჩვენი თეთრკანიანი ძმის გამო, რომლებიც დღეს თავიანთი აქ ყოფნით ადასტურებენ, მოვიდნენ, რათა გაიაზრონ, რომ მათი ბედისწერა ჩვენს ბედისწერასთანაა გადაჯაჭვული.

ისინი მოვიდნენ, რათა გაიაზრონ, რომ მათი თავისუფლება ჩვენს თავისუფლებასთან განუყრელადაა დაკავშირებული. ჩვენ არ შეგვიძლია მარტო სიარული. და ჩვენ მივდივართ, უნდა შევფიცოთ, რომ მარად გვერდიგვერდ ვივლით. ჩვენ არ შეგვიძლია უკან მობრუნება. არსებობენ ისეთებიც, რომლებიც სამოქალაქო უფლებათა მსურველებს ეკითხებიან, — „როდის დაკმაყოფილდებით?“ ჩვენ არასდროს დავკმაყოფილდებით, სანამ ზანგი პოლიციის სისასტიკის გამოუთქმელი საშინელებების მსხვერპლია.

ჩვენ არასდროს დავკმაყოფილდებით, სანამ ჩვენი სხეულები, მომქანცველი მგზავრობით დამძიმებულები, ვერ მიიღებენ ბინას გზატკეცილების მოტელებსა და ქალაქების სასტუმროებში.

ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ, სანამ ზანგი ძირითადად მცირე გეტოებიდან უფრო დიდში გადაადგილდება. ჩვენ ვერასდროს დავკმაყოფილდებით, სანამ ჩვენ ბავშვებს თავიანთი მონიფულობიდან წლებს აგლეჯენ და ღირსებას ართმევენ აღნიშვნებით: „მხოლოდ თეთრკანიანთათვის“.

ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით, სანამ ზანგი მისისიპიში არ შეძლებს ხმის მიცემას და სანამ ნიუ იორკში ზანგს სჯერა, რომ მას არ გააჩნია რაიმე, რისთვისაც ხმის მიცემა შეიძლება.

არა, არა, ჩვენ არა ვართ დაკმაყოფილებულები და არც დავკმაყოფილდებით, სანამ სამართლიანობა ნყალივით და სიქველე მძლავრი ნიაღვარივით მოედინება.

არ ვარ უყურადღებო, ზოგიერთი თქვენგანი აქ დიდი განსაცდელებისა და მწუხარების გამო მოვიდა. ზოგი თქვენგანი ახლახან გამოვიდა ვინრო საპატიმრო საკნებიდან. ზოგი თქვენგანი გამოვიდა სივრცეებიდან, სადაც თქვენმა თავისუფლების მოთხოვნამ დევნის გრივალთა მიერ გვემულად და პოლიციის სისასტიკის ქართა მიერ შერყეულად გაქციათ. თქვენ შემოქმედებითი ტანჯვის ვეტერანებად იქცით.

გააგრძელეთ შრომა რწმენით, რომ დაუმსახურებელი ტანჯვა გამოსასყიდა. დაბრუნდით მისისიპიში, დაბრუნდით ალაბამაში, დაბრუნდით სამხრეთ კაროლინაში, დაბრუნდით ვირჯინიაში, დაბრუნდით ლუიზიანაში, დაბრუნდით ჩვენი ჩრდილოური ქალაქების ჯურღმულებსა და გეტოებში ცოდნით, რომ ეს მდგომარეობა როგორმე შეიძლება შეიცვალოს და შეიცვლება. დაე, სასონარკვეთილების ხეობაში ნუ ჩავეფლობით.

მე თქვენ გეუბნებით დღეს, ჩემო მეგობრებო, თუმც კი მართალია, ჩვენ დღევანდელისა და ხვალინდელის სიძნელებს შევეჩვებით, მე მაინც ვოცნებობ. ეს არის ოცნება, ღრმად ფესვგადგმული ამერიკულ ოცნებაში. მე ვოცნებობ, რომ ერთ დღესაც ეს ერი აღდგება, გამოიტანს თავისი მრწამსის ჭეშმარიტ მნიშვნელობას: „ჩვენ გვწამს, ეს ჭეშმარიტებანი თავისთავად ცხადია, რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად“.

მე ვოცნებობ, რომ ერთ დღესაც ჯორჯიის ნითელ გორებზე ყოფილი მონების შვილები და ყოფილ მონათმფლობელთა შვილები შეძლებენ, ერთად მიუსხდნენ ძმობის მაგიდას. მე ვოცნებობ, რომ ერთ დღესაც, მისისიპის შტატი, გათანგული უსამართლობის პაპანაქებით, გათანგული ჩაგვრის სიცხით, თავისუფლებისა და სამართლიანობის ოაზისად გარდაიქმნება.

მე ვოცნებობ, რომ ერთ დღესაც ჩემი ოთხი ბავშვი იცხოვრებს სახელმწიფოში, სადაც მათ განსჯიან არა მათი კანის ფერის, არამედ მათი ხასიათის შინაარსის გამო. მე ვოცნებობ... მე ვოცნებობ, რომ ერთ დღესაც ალაბამაში, უზნეო რასისტებითა და შუალედური და უარმყოფელი სიტყვებით ბაგენაბილწული მმართველით*, ერთ დღესაც სწორედ ალაბამაში შავკანიანი ბიჭები და შავკანიანი გოგონები შეძლებენ, ხელები ჩასჭიდონ პატარა თეთრკანიან ბიჭებსა და თეთრკანიან გოგონებს, როგორც დებსა და ძმებს. მე ვოცნებობ დღეს... მე ვოცნებობ, რომ ერთ დღესაც „ყოველი ხევი ამოივსება და ყოველი მთა და ბორცვი დამდაბლდება, მრუდე გასწორდება და ფლატე გავაკდება, და ყოველი ხორცი იხილავს მხსნელობას ღმრთისას“*. ესაა ჩვენი იმედი. ესაა რწმენა, რომ-

* Governor – ქართულ ენაში რუსული სამართლის გავლენით „გუბერნატორის“ ცნებითაა დამკვიდრებული. მისი ქართული შესატყვისი „მმართველი“ ან „გამგებელია“.

* ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი.

ლითაც სამხრეთში ვბრუნდები. ამ რწმენით შევძლებთ სასონარკვეთის მთიდან გამოვკვეთოთ იმედის ქვა. ამ რწმენით შევძლებთ, ჩვენი ერის განხეთქილების ღრიანცელი ძმობის მშვენიერ სიმფონიად გადავაქციოთ. ამ რწმენით შევძლებთ ერთად მუშაობას, საპრობილემში ერთად წასვლას, თავისუფლებისთვის ერთად დგომას, იმის ცოდნით, რომ ერთ დღესაც თავისუფლები ვიქნებით.

ეს იქნება დღე, როცა ღმერთის ყველა შვილს შეგვეძლება ახალი მნიშვნელობით სიმღერა: „ჩემო ქვეყანა, შენს თავისუფლების ტკბილ მინაზე ვმღერი მე. მინა, სადაც მამა-პაპები მოკვდნენ, პილიგრიმების საამაყო მინა, მთის ყველა ფერდიდან, დაე, თავისუფლება რეკდეს!“ და თუ ამერიკა დიადი სახელმწიფოა, ეს აუცილებლად ჭეშმარიტებად უნდა იქცეს. ასე რომ, დაე, თავისუფლება რეკდეს ნიუ ჰემფშირის უზარმაზარ გორათა წვეროდან. დაე, თავისუფლება რეკდეს ნიუ იორკის უშველებელი მთებიდან. დაე, თავისუფლება რეკდეს პენსილვანიის ალეგანიის მაღლობებიდან*. დაე, თავისუფლება რეკდეს კოლორადოს თოვლით დაფარული კლდეებიდან*. დაე, თავისუფლება რეკდეს კალიფორნიის მომხიბლავი ფერდობებიდან.

მაგრამ არა მარტო ეს. დაე, თავისუფლება რეკდეს ჯორჯიის სთოუნის მთიდან*. დაე, თავისუფლება რეკდეს ტენესის ლუქაუთის მთიდან*. დაე, თავისუფლება რეკდეს მისისიპის ყოველი ბორცვიდან თუ სოროდან, მთის ყოველი ფერდობიდან. დაე, თავისუფლება რეკდეს...

როდესაც ნებას მივცემთ თავისუფლებას, რეკდეს — როცა ნებას მივცემთ მას, რეკდეს ყოველი ქალაქიდან და ყოველი სოფლიდან, ყოველი შტატიდან და ყოველი ქალაქიდან, შევძლებთ, მოვაახლოოთ ის დღე, როდესაც ღმერთის ყველა შვილი, შავკანიანიც და თეთრკანიანიც, ებრაელებიც და წარმართებიც, პროტესტანტებიც და კათოლიკეებიც, შეძლებენ, ჩასჭიდონ ხელები და იმღერონ ძველი ზანგური საგალობლის სიტყვები: „თავისუფალნი როგორც იქნა, თავისუფალნი როგორც იქნა, დიდო ღმერთო, ყოვლისშემძლე, გავათავისუფლდით როგორც იქნა“.

* Alleghenies of Pennsylvania.

* Rockies of Colorado.

* Stone Mountain of Georgia.

* Lookout Mountain of Tennessee.

ცვლილების ძარი

ჰაროლდ მაკმილანი

თინათინ გიანაშვილის თარგმანი

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო სპიკერო, ქალბატონებო და ბატონებო. დიდი პატივია, იყო მონვეული და სიტყვით გამოხვიდე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პარლამენტის ორი პალატის წინაშე. ეს უნიკალური პრივილეგიაა, თანაც 1960 წელს, რესპუბლიკის პარლამენტის დაბადებიდან ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდეგ. და მე ყველაზე მეტად მაღლიერი ვარ თითოეული თქვენგანის, რომ მომეცით ეს შესაძლებლობა, განსაკუთრებით მაღლიერი ვარ თქვენი, პრემიერ-მინისტრის, რომელმაც მომიწვია ქვეყანაში და უზრუნველყო ჩემი თქვენს წინაშე გამოსვლა. ჩემი ტური აფრიკაში — აფრიკის განსაკუთრებულ ნაწილში, პირველი შემთხვევაა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უწყებაში, დასაწვინია, რომ ეს ყველაფერი დასასრულს უახლოვდება, თუმცა ეს შესაბამისი და კულმინაციური დასასრულია, აქ პარლამენტში, ისტორიულ ქალაქ ქეიფთაუნში, საუკუნეების განმავლობაში ინდოეთის ოკეანესა და აღმოსავლეთს შორის არსებულ კარიბჭეში.

რესპუბლიკაში, ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, სადაც ვყოფილვარ, ჩემი ვიზიტი, როგორც წესი, ხანმოკლეა ხოლმე. ვისურვებდი, შესაძლებლობა მქონოდა, დიდი დრო გამეტარებინა აქ, მენახა უფრო მეტი თქვენი ქვეყნის მშვენიერებისა და გამეგო მეტი თქვენი ხალხის შესახებ. მაგრამ გასულ კვირას გავიარე ასობით მილი და შევხვდი განსხვავებული კუთვნილების ბევრ ადამიანს. შესაძლებლობა მომეცა, საკუთარი წარმოდგენა შემქმნოდა თქვენს მშვენიერ სოფლებზე, თავისი ფერმებითა და ტყეებით, მთებითა და მდინარეებით, ნათელი ცითა და სტეპის ფართო ჰორიზონტებით. მე ვნახე, ასევე, ზოგიერთი თქვენი განვითარებული ქალაქი და ყველაზე მაღლიერი ვარ თქვენი მთავრობის ყველა იმ დაბრკოლებისთვის, რაც მათ ჰქონდათ მომზადების პროცესში, რათა ამ მოკლე დროში ჩემთვის ამდენი რაღაც ენახებინათ. ჩემი პერსონალის ზოგიერთმა ახალგაზრდა წევრმა მითხრა, რომ ეს იყო დატვირთული პროგრამა, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ მე და ჩემმა მეუღლემ თითოეული წამით ვისიამოვნეთ. გარდა ამისა, სერიოზუ-

ლად გულაჩუყებულები ვართ იმ სიტბოთი, რითაც გვიმასპინძლეთ. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, ქალაქად თუ სოფლად, გვიღებდნენ როგორც, სულიერ მეგობრებს და სიყვარულით, რომელმაც გაათბო ჩვენი გულები, და ჩვენ ამას ვაფასებთ, რადგან ვიცით, ეს არის თქვენი კეთილგანწყობის გამოხატულება არა მხოლოდ ჩვენს მიმართ, არამედ სრულიად ბრიტანელი ხალხისადმი.

როგორც უკვე აღვნიშნე, განსაკუთრებული პრივილეგიაა ჩემთვის, ვიყო აქ, 1960 წელს, როდესაც თქვენ ზეიმობთ იმას, რასაც მე შემეძლია ვუნოდო რესპუბლიკის ოქროს ქორწილი. ასეთ დროს ბუნებრივი და მართებულისა, რომ გაჩერდეთ, შეაფასოთ თქვენი მდებარეობა, რათა გაიხედოთ უკან (წარსულში), რას მიაღწიეთ და იყუროთ წინ, თუ რა გელოდებათ.

სახელმწიფოებრიობის ორმოცდაათი წლის თავზე სამხრეთ აფრიკელმა ხალხმა ააშენა მძლავრი ეკონომიკა, დაფუძნებული ჯანსაღ სოფლის მეურნეობასა და სწრაფად განვითარებად და მოქნილ მრეწველობის დარგებზე. ჩემი ვიზიტის განმავლობაში, შევძელი, მენახა თქვენი სამთო მრეწველობის ზოგიერთი რამ, რაზეც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მტკიცედაა დაფუძნებული. მე ვნახე თქვენი რკინისა და ფოლადის კორპორაცია და ვესტუმრე თქვენს სამეცნიერო და სამრეწველო კვლევით საბჭოს პრეტორიაში. ეს ორი ორგანიზაცია, თავიანთი განსხვავებული საქმიანობით გამოცოცხლების, განვითარების და მზარდი ეკონომიკის სიმბოლოებია. მოვინახულე დიდებული ქალაქი დურბანი, თავისი შესანიშნავი პორტითა და იოჰანესბურგის ცათამბჯენები, მდგარი იქ, სადაც სამოცდაათი წლის წინ არაფერი იყო, გაშლილი ტროპიკის გარდა. ვნახე, ასევე, პრეტორიისა და ბლუმფონთეინის კოხტა პოლისები. ვიმედოვნებ, რომ ამ ნაშუადღევს ვნახავ თქვენი მეღვინეობის ინსტრუქტორიდან რაიმეს, რომლითაც ამ დრომდე აღტაცებული ვარ, როგორც მომხმარებელი. არავის შეუძლია იმ შთაბეჭდილების დავინწყება, რაც იმ მატერიალური პროგრესითაა გამოწვეული, რომელსაც მიაღწიეთ. ეს ყველაფერი ძალიან მოკლე დროში განხორციელდა, რაც თქვენი მოსახლეობის უნარ-ჩვევების, ენერჯისა და ინიციატივის დამადასტურებელი საბუთია.

და ჩვენ, ბრიტანელები, ვამაყობთ იმ წვლილით, რაც ამ საუცხოო მიღწევაში შევიტანეთ. ამის დიდი ნაწილი ბრიტანული კაპიტალის მიერ დაფინანსდა. თანამეგობრობის მთავრობების მიერ ჩატარებული უახლესი კვლევების თანახმად, საზღვარგარეთული ინ-

ვესტიციების დაახლოებით ორი მესამედი, რომელიც კავშირში იქნა შემოტანილი, ბრიტანული იყო. ეს ხდება ორი ამაღლებელი ომის შემდეგ, რომელმაც უკანასკნელი გროშები გამოსძალა ჩვენს ეკონომიკას.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ჩვენ განვაფიქრებთ ვაჭრობა თქვენსა და ჩვენს შორის საყოველთაოდ ცნობილი ხელშეწყობით და ახლა ჩვენი ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული თქვენს ეკონომიკასთან. თქვენ ჩვენთან შემოგაქვთ ნედლეული და საკვები, რა თქმა უნდა, ოქროც და ჩვენ სანაცვლოდ გიბრუნებთ სამომხმარებლო საქონელსა თუ სანარმოო აღჭურვილობას. ჩვენ ვიკავებთ მესამე ადგილს მთელს თქვენს ექსპორტში და თქვენი იმპორტის მესამედს ვამარაგებთ. ინვესტიციისა და ვაჭრობის ეს ვრცელი, ტრადიციული სტრუქტურა შენარჩუნდა მიუხედავად ცვლილებებისა, რაც ორივე ჩვენგანის ეკონომიკის განვითარებამ გამოიწვია და ეს მაძლევს უდიდეს მოტივაციას, ვთქვა, რომ ორივე ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება, ჯერ კიდევ დარჩა ურთიერთდამოკიდებულება და ერთი მეორის მიმართ დახმარება. თუ თქვენ მატარებლით იმოგზაურებთ ქვეყნის გარშემო, იმოგზაურებთ სამხრეთ აფრიკის რკინიგზაზე, რომელიც შექმნილია „ისკორის“ მიერ. თუ ფრენას ანიჭებთ უპირატესობას, შეგიძლიათ ნახვიდეთ „ბრიტიშ ვისკონტი“. ეს ნამდვილი პარტნიორობაა, ცხოვრება ორი ერის მდგრად ურთიერთკავშირში. ბრიტანელები ყოველთვის იყვნენ თქვენი საუკეთესო დამკვეთები და როგორც კი თქვენი ინდუსტრია განვითარდება, გვჯერა, რომ თქვენი საუკეთესო პარტნიორებიც ვიქნებით.

თქვენს საზღვრებში მძლავრი ეკონომიკის აშენების გარდა, თქვენ, ასევე, დიდ როლს თამაშობთ მსოფლიოში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

როგორც ჯარისკაცი პირველ მსოფლიო ომში და როგორც მინისტრი უისტონ ჩერჩილის მთავრობაში მეორე მსოფლიო ომის დროს, ვიცნობ იმ ღირებულებებს, რომელმაც შექმნა ძალა გამარჯვების მოსაპოვებლად. ვიცი უფრო მეტიც, გენერალმა სმუთმა შთააგონა თავისუფლება ბრიტანეთს ჩვენთვის უმძიმეს საათებში. ასევე, თქვენ დიდი როლი ითამაშეთ კორეის კრიზისში. ამგვარად, ომიანობის თუ აგრესიის დროს თქვენმა სახელმწიფო მოღვაწეებმა და ჯარისკაცებმა აფრიკის კონტინენტი საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციეს.

რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც თქვენი პრემიერ-მინისტრი დოქტორი მალანი იყო, თქვენი რესურსები შესანიშნავად ეხმარებოდა სტერლინგის ზონას გასამყარებაში. ახლა, ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიოში, მშვიდობის არანაკლებ რთულ საკითხებში, თქვენი ლიდერები ინდუსტრიაში, ვაჭრობასა და ფინანსებში წამყვან ფიგურებად რჩებიან მსოფლიოს საქმიან ურთიერთობებში. დღეს თქვენი მზაობა, ტექნიკური დახმარება შესთავაზოთ აფრიკის ნაკლებად განვითარებულ ნაწილებს უზარმაზარი დახმარებაა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამას მიიღებენ. ეს სიძლიერის წყაროა თქვენი მეგობრებისთვის თანამეგობრობაში და ასევე, დასავლურ სამყაროში. თქვენ თანამშრომლობთ „საჰარას სამხრეთით აფრიკაში ტექნიკური განვითარების კომისიასთან“ და უკვე გაერთიანებული ერების „აფრიკის ეკონომიკურ კომისიასთან“. თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრი გეგმავს, გაისად განას ესტუმროს. ყველაფერი ეს ამტკიცებს თქვენს, როგორც კონტინენტის ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებული ქვეყნის, რომელიც დღევანდელი აფრიკის განვითარებაში თავის როლს თამაშობს, შეუპოვრობას.

ბატონებო, როგორც მოველოდი, რესპუბლიკის გარშემო მოგზაურობისას, ყველგან აღმოვაჩინე, თუ რა ხდებოდა ოკუპაციამდე აფრიკის კონტინენტის დანარჩენ ნაწილებში. გავაცნობიერე და მხარს ვუჭერთ თქვენს ინტერესებს, ღონისძიებებსა და მღელვარებას მათ თაობაზე. ჯერ კიდევ რომის იმპერიის დაცემიდან მოყოლებული, ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მუდმივი საზრუნავი დამოუკიდებელი ერების გადაუდებელი დახმარება იყო. საუკუნეების შემდეგ, ისინი განვითარდნენ განსხვავებული ფორმებით, განსხვავებული მთავრობებით, მაგრამ ყველა მათგანი შთაგონებული იყო ღრმა ნაციონალური გრძნობებით, რომელიც ერის ზრდასთან ერთად იზრდებოდა.

მეოცე საუკუნეში და განსაკუთრებით ომის დამთავრების დროიდან, პროცესები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპული ერების შექმნას, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახშირდა. ვიხილეთ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება ერებში, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვისი ძალაუფლების ქვეშ. თხუთმეტი წლის წინ ეს მოქმედებები განვითარდა აზიის გავლით. იქ ბევრმა ქვეყანამ, განსხვავებული რასითა და ცივილიზაციით, გამოთქვა საკუთარი მოთხოვნა დამოუკიდებელ ეროვნულ ცხოვრე-

ბაზე. დღესდღეობით იგივე ხდება აფრიკაში და ყველაზე საოცარი შთაბეჭდილება აფრიკული ერების თვითშეგნების სიძლიერემ მოახდინა, რაც ლონდონის დატოვებიდან ერთი თვის შემდეგ გამჩინდა. სხვადასხვა ადგილას ეს განსხვავებული ფორმებით ვლინდება, მაგრამ ეს ხდება ყველგან. ცვლილებების ქარი უბერავს მთელს კონტინენტზე და მიუხედავად იმისა, მოგვწონს ეს თუ არა, ეროვნული თვითშეგნების ზრდა პოლიტიკური ფაქტია და ყველამ უნდა მივიღოთ ეს, როგორც ფაქტი და იგი ჩვენმა ეროვნულმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს.

რა თქმა უნდა, თქვენ უკეთ გაიგებთ ამას, ვიდრე სხვა. თქვენ ხართ ევროპის სათავე, ნაციონალიზმის სახლი და აქ, აფრიკაში, თქვენ ჩამოაყალიბებთ საკუთარი თავი თავისუფალ სახელმწიფოდ. ახალ სახელმწიფოდ. ეჭვგარეშეა, ჩვენი დროის ისტორიაში შეხვალთ, როგორც აფრიკული ნაციონალიზმის მოწინავეები. და ეროვნული თვითშეგნების ეს ნაკადი, რომელიც ახლა აფრიკაში იზრდება, ფაქტია, რომლისთვისაც თქვენ, ჩვენ და დასავლური მსოფლიოს სხვა ერები საბოლოოდ პასუხისმგებელნი ვართ. ამის მიზეზები დასავლური ცივილიზაციის მიღწევებში მოიპოვება. ფართოვდება ცოდნა ადამიანის საჭიროებების თაობაზე, როგორიცაა, სურსათის წარმოება, კომუნიკაციის მნიშვნელობის ზრდა და გაფართოება, და შესაძლოა, ყველა ჩამოთვლილზე და სხვა ყველაფერზე მეტადაც, განათლების გავრცელება.

როგორც უკვე ვთქვი, ეროვნული თვითშეგნების ზრდა აფრიკაში პოლიტიკური ფაქტია და უნდა მივიღოთ ის, როგორც ასეთი. რაც ნიშნავს, რომ, ვფიქრობ, საკმარისი დრო გვქონდა ამისთვის. პატივისცემით მჯერა, რომ თუ არ შეგვიძლია მოვიქცეთ ასე, შესაძლოა საფრთხე შევუქმნათ მერყევ ბალანსს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რასაც მსოფლიო მშვიდობა ემყარება.

მსოფლიო დღესდღეობით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა. პირველი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ დასავლური ძალები. თქვენ, სამხრეთ აფრიკაში და ჩვენ, ბრიტანეთში ამ ჯგუფს მივეკუთვნებით, ჩვენს მეგობრებთან ერთად და სამყაროს სხვა ნაწილების გაერთიანებები, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ამას თავისუფალი მსოფლიო ეწოდება. მეორე, კომუნისტები — რუსეთი, მათი სატელიტები ევროპაში, ჩინეთი, რომლის მოსახლეობაც საოცრად გაიზრდება ბოლო ათი წლის მანძილზე 800 მილიონი ადამიანით. და შემდეგ მესამე, მსოფლიოს ეს

ნანილი, რომლის ხალხიც დღეისათვის არც კომუნიზმის და არც ჩვენი-დასავლეთის იდეებს არ მისდევს.

და ამ კონტექსტში, უპირველეს ყოვლისას, მოვიაზრებთ აზიას და შემდეგ აფრიკას. როგორც ვხედავ, ეს არის მთავარი გამოწვევა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და ეს ხალხი, რომელიც იდეოლოგიურად არც აფრიკასა და არც აზიას არ ეკუთვნის, მომავალში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იმერყევებს. ჩაიძირებიან ისინი კომუნისტურ ბანაკში? თუ იქნება შესანიშნავი ექსპერიმენტები მათ თვითმართველობაში, რომელიც ახლა იქმნება აზიასა და აფრიკაში, განსაკუთრებით რესპუბლიკაში, განმტკიცდება მისი წარმატება მაგალითებით, რათა ბალანსი შეიცვალოს თავისუფლების კეთილგანწყობით, ნებსრიგითა და მართლმსაჯულებით?

ბრძოლა არის ერთიანი, და ეს არის ბრძოლა კაცობრიობის აზროვნებისთვის.

რაც ახლა მოწმდება, უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი სამხედრო ძალა ან ჩვენი დიპლომატიური და მმართველობითი უნარ-ჩვევები. ეს არის ჩვენი ცხოვრების გზა. ჩამოუყალიბებელ ერებს სურთ, ჯერ ნახონ, სანამ აირჩევენ.

რა შეგვიძლია ვაჩვენოთ მათ, რათა სწორად აირჩიონ? ბატონებო, თანამეგობრობის თითოეულმა დამოუკიდებელმა წევრმა უნდა უპასუხოს კითხვებს მათთვის, ეს არის ჩვენი თანამედროვე რესპუბლიკის ძირითადი პრინციპი, — პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთის სუვერენიტეტს შიდა პოლიტიკის საკითხებში. ამავე დროს, უნდა მივხვდეთ, რომ ამ პატარა მსოფლიოში, რომელშიც ჩვენ დღეისათვის ვცხოვრობთ, ერების შიდა პოლიტიკამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის გარეთ. ასე რომ, ჩვენ შესაძლოა ზოგჯერ გვეკონდეს ცდუნება, ვუთხრათ: „შენს საქმეს მიხედე“. დღესდღეობით მე განვავითარებ ამ ძველ გამოთქმას და ვიტყვი ასე: „შენს საქმე მიხედე, მაგრამ იფიქრე, ასევე, როგორ გავლენას მოახდენს იგი ჩემსაზე“.

თუკი თქვენთან გულახდილი ვიქნები, ჩემო მეგობრებო. რასაც მთავრობები და პარლამენტები გაერთიანებულ სამეფოში აკეთებდნენ ომიდან მოყოლებული ინდოეთის დამოუკიდებლობისთვის, ასევე, პაკისტანის, ცვილონის, მალაიზიისა და განისათვის და რასაც ისინი გააკეთებენ ნიგერიისთვის და სხვა დამოუკიდებლობის პირას მყოფი ქვეყნებისთვის, — ამ ყველაფერზე ჩვენ უნდა ავიღოთ და ვიღებთ კიდევ სრულ პასუხისმგებლობას. ამას ვაკეთებთ იმ

რწმენით, რომ ეს არის ერთადერთი გზა, რესპუბლიკისა და თავისუფალი მსოფლიოს მყარი საფუძვლის მომავალი შეექმნათ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, არის ღრმა და ახლო ურთიერთობები და არაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ამ პატარა მსოფლიოში, არ იქნება გაკეთებული საიდუმლოდ, და უკვალოდ არ გაქრება.

რასაც დღეს ვაკეთებთ დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აფრიკაში, ყველასათვის ცნობილი გახდა სამხრეთ აფრიკაში, მიუხედავად მათი ენისა, კანის ფერისა თუ ტრადიციებისა. ნება მომეცით, ბატონებო, დაგარწმუნოთ, რომ ყველა მათგანი აქაა თავმოყრილი და ყველა, ვინც შეიძლება გვისმენდეს, ერთად აღებული სამეგობრო, რომ კარგად ვაცნობიერებთ იმას, რაც ჩვენ მოვიმოქმედეთ და კიდევ ვიმოქმედებთ პასუხისმგებლობის სრული შეცნობით, რაც გვაქვს თქვენს და სრულიად ჩვენი მეგობრების წინაშე.

მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ და თქვენც დამეთანხმებით, რომ ჩვენი პასუხისმგებლობის ფარგლებში, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვაკეთოთ ის, რაც სწორად მიგვაჩნია. როგორც ჩვენ, ბრიტანელები, ვფიქრობთ, უფლება მოდის დიდი გამოცდილებიდან, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ წარმატებას, არამედ მარცხსაც. ვცდილობთ, ვისწავლოთ, როგორ გამოვიყენოთ ორივეს გაკვეთილი. მართებულისა და მცდარის, ასევე, სამართლიანობის ჩვენეული განსჯა ემყარება იმავე საფუძველს, რასაც თქვენი, — ქრისტიანობასა და სამართლის უზენაესობას, როგორც თავისუფალი საზოგადოების საფუძველს. გამოცდილება, რომელიც მივიღეთ, ხსნის, თუ რატომაა ჩვენი მიზანი იმ ქვეყნებში, სადაც ეს პასუხისმგებლობა ავიღეთ, არა მხოლოდ გაზზარდოთ ცხოვრების მატერიალური სტანდარტები, არამედ შეექმნათ საზოგადოება, რომელიც პატივს სცემს ინდივიდების უფლებებს, საზოგადოება, სადაც ხალხს აქვს შესაძლებლობა, სრულად გამოიყენოს თავიანთი შესაძლებლობები, ამან, ჩვენი აზრით, უნდა მოიცვას პოლიტიკური ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გაზიარება, საზოგადოება, სადაც ადამიანის წარმატების საზომი არის ინდივიდუალური სარგებელი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კუთხით.

საბოლოოდ, ქვეყნებში, რომლებიც რამდენიმე რასითაა დასახლებული, ჩვენი მიზანია, ვიპოვოთ ის საშუალებები, რომელთა მიხედვითაც საზოგადოება უფრო კომუნიკაბელური გახდება და განსხვავებული მხარეების გაერთიანება ერთი-მეორეს წაახა-

ლისებს. ეს პრობლემა, ბატონებო, მიემართება აფრიკას. მაგრამ ეს ევროპული უმცირესობების პრობლემაცაა. მაგალითად, მალაიზიაში არიან ინდოელი და ევროპელი უმცირესობები. მალაიზიელები და ჩინელები წარმოადგენენ ამ პოპულაციის დიდ ნაწილს და ჩინელები არც ისე ცოტა არიან მალაიზიელებთან შედარებით. ამას გარდა, ამ ორმა ხალხმა უნდა ისწავლოს ერთად ჰარმონიაში ცხოვრება, გააერთიანოს ძალა და მალაიზია, როგორც სახელმწიფო, დამოკიდებული იქნება სხვადასხვა კონტრიბუციაზე, რომელთა გაკეთებაც ამ ორ რასას შეუძლია.

ამ პრობლემის მიმართ ბრიტანეთის მთავრობის დამოკიდებულება ნათლად იყო გამოხატული საგარეო მდივნის, ბატონი სელვინ ლოიდის სიტყვაში, 1959 წლის 17 სექტემბრის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, და მან განაცხადა შემდეგი:

ამ ტერიტორიებზე, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ სხვადასხვა რასა და ტომი ცხოვრობს, ჩვენი მიზანი და ამოცანაა, დავარწმუნოთ ისინი, რომ ხალხს შეუძლია, თავისუფლება და უსაფრთხოება ჰქონდეს და რომ ადამიანებს, როგორც ინდივიდებს, შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნების პროგრესსა და კეთილდღეობაში. ჩვენ (ბრიტანელები) უარვყოფთ ერთი რასის მეორის მიმართ თანდაყოლილი აღმატების იდეას. ჩვენი გზა ამ შემთხვევაში არარასისტულია. ის გეთავაზობს მომავალს, რომელშიც აფრიკელები, ევროპელები, აზიელები და წყნარი ოკეანის თუ სხვა ხალხები, რომელთაც ეს საკითხი აღელვებთ, თავიანთ სრულ წვლილს შეიტანენ იმ ქვეყანაში, სადაც ისინი ცხოვრობენ და ის გრძნობა, რომ სხვა რასის წარმომადგენლები არიან, ახალი ერის ჩამოყალიბების პროცესში თანდათან გაქრება.

ვიფიქრე, ისურვებდით ჩემგან ღიად და სრული გულწრფელობით მოგესმინათ ის პოლიტიკა, რაზეც ბრიტანეთი დგას. ეს შეიძლება იყოს ჩვენი მცდელობა, შევასრულოთ ჩვენი ვალდებულება და ამან ხანდახან შესაძლოა თქვენთვის გარკვეული სირთულეები შექმნას. თუ დამტკიცდება, რომ ეს ასე იქნება, ძალიან ვნუხვართ ამის გამო. მაგრამ ვიცი, თქვენ რომც არ შეგვახსენოთ, რომ ჩვენ მოვალეობებსა და ვალდებულებებს არ უნდა გავექცეთ და არც თქვენ, თქვენ უნდა შეასრულოთ თქვენი მოვალეობა, როგორც თქვენ დაინახავთ მას. მე კარგად ვუწყი იმ პრობლემების განსაკუთრებული ბუნება, რომლის წინაშეც გაერთიანება დგას, ვიცი, რა განსხვავებაა თქვენს მდგომარეობაში და განსაკუთრებით აფრიკის ტერიტორიაზე, იქ

თქვენ გყავთ ევროპული წარმომავლობის სამი მილიონი ადამიანი, ეს ქვეყანა ასობით წლის მანძილზე მათი სახლი იყო. მათ სხვა სახლი არ გააჩნიათ. ევროპელები, ასევე, ფართოდ არიან გავრცელებულნი ცენტრალურ და აღმოსავლეთ აფრიკაში. რა თქმა უნდა, შტატების უმრავლესობაში ხალხი ევროპიდანაა ჩამოსული, რათა იმუშაოს, თავიანთი უნარები გამოიყენონ ან შესაძლოა რაიმე საქმიანობას გაუძღვნენ და მერე სახლში დაბრუნდნენ, ეს თითქმის სხვა პრობლემაა.

პრობლემა, რომელსაც თქვენ და თქვენი პარლამენტის წევრები ებრძვიან, რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავებულია იმ პრობლემებისაგან, რომელთა წინაშეც ჰომოგენური მოსახლეობის პარლამენტარები დგანან. რა თქმა უნდა, ვაანალიზებ, რომ ძალიან რთულია, ამდენ პრობლემას გაუმკლავდე. ეს განსაცვიფრებელიც იქნება, თუ თქვენი ვალდებულებების საკუთარი ინტერპრეტაცია, ხანდახან ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის პირობებისაგან განსხვავებულ შედეგებს არ გამოიღებს.

როგორც თანამეგობრობის წევრები, ვფიქრობ, ყოველთვის ვცდილობდით და ალბათ ვახერხებდით კიდევ, სამხრეთ აფრიკისთვის სრული დახმარების განეგას და გამხნევენას, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ჩემი გულწრფელი ნათქვამის მიმართ ცუდად არ განენწყობით, რადგან არსებობს თქვენი პოლიტიკის გარკვეული ასპექტები, რომელიც შეუძლებელს ხდის ჩვენთვის ამის გაკეთებას თავისუფალი ადამიანების ბედისწერის შესახებ ჩვენი სიღრმისეული წარმოდგენების გარეშე, რომლის აღსრულებასაც ვცდილობთ საკუთარი ტერიტორიების ფარგლებში. უპირველესად, მგონია, რომ ვალდებულები ვართ, როგორც მეგობრები, ისე დავდგეთ ერთად ამ პრობლემის გადაჭრის გზაზე, დანაშაულისა თუ პასუხისმგებლობის განაწილების ძიების გარეშე, მიუხედავად დღევანდელ მსოფლიოში, დღეს, ჩვენს შორის არსებულ შეხედულებათა სხვადასხვაობისა.

ვთქვი, რომ ვსაუბრობდი, როგორც მეგობარი, მე შესაძლებელია, ასევე, ვისაუბრო, როგორც ნათესავმა. ჩვენ, შოტლანდიელებს, შეგვიძლია, თქვენი ხალხის ორივე ნაწილის, — ინგლისურენოვანთა და აფრიკულ ენაზე მოსაუბრეთა, ნათესაურ კავშირებზე გვქონდეს პრეტენზია. ეს არის ადგილი, რომელსაც განსაკუთრებულად სჭირდება ხაზგასმა ქეიფთაუნში, სადაც თქვენ შეგიძლიათ ყოველდღე იხილოთ უდიდესი შოტლანდიელის, ენდრიუ მიურეის,

ქანდაკება. მისი ღვაწლი ქეიფის ნიდერლანდურ პროტესტანტულ ეკლასიაში, და მისი ვაჟის საქმიანობა Orange Free State-ში, იყო აფრიკულენოვან ხალხთა შორის. შოტლანდიისა და ნიდერლანდების ეკლესიებს შორის ყოველთვის საკმაოდ მჭიდრო კავშირი არსებობდა. დორთის სინოდი, ასევე, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს თითოეულის ისტორიაში. და შოტლანდიის სამღვდელოების ბევრმა ასპირანტმა, განსაკუთრებით კი, XVII და XVIII საუკუნეებში, თეოლოგიურ სწავლებას ნიდერლანდებში მიჰყო ხელი. ვფიქრობ, რომ შოტლანდიამ უკვე გამოისყიდა დანაშაული სამხრეთ აფრიკის წინაშე. განსაკუთრებულად ვფიქრობ Orange Free State-ში მცხოვრებ შოტლანდიელებზე. არა მხოლოდ ახალგაზრდა ენდრიუ მიურეი, ასევე რობერტსონები, ფრეიზერები, მაკდონალდები, — ოჯახები, რომლებიც იწოდება თავისუფალი შტატების კლანებად, რომლებიც ამავე შტატის ბურჟუებად იქცნენ და რომელთა შთამომავლობაც იქ ამ დრომდე თავის როლს თამაშობს.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ მე თავს შოტლანდიელად მივიჩნევ, დედაჩემი ამერიკელი იყო, შეერთებული შტატები იმ ძირითადი პუნქტების ღირებულ მაგალითს სთავაზობს, რომელთა გამოკვეთასაც დღეს ვცდილობ. ამერიკის მოსახლეობა, ისევე, როგორც თქვენი, მრავალი განსხვავებული ეთნოსის ნარევიანა. მრავალი წლის მანძილზე, მათი უმეტესობა, ვინც ჩრდილოეთ ამერიკაში წავიდა, წავიდა იმ მიზნით, რომ გაქცეოდა იმ ევროპულ პირობებს, რომლებიც, მათი აზრით, გაუსაძლისი იყო. წმინდა მამები გაურბოდნენ დევნას, როგორც პურიტანები, როგორც მერილენდელები რომის კათოლიკური ეკლესიიდან დევნას. XIX საუკუნის განმავლობაში, მიგრანტთა ნაკადი მოზღვავედა ატლანტის გავლით ძველი მსოფლიოდან ახლისკენ იმ სიღარიბისგან თავის დასაღწევად, რაც მათ სამშობლოში სუფევდა. და ახლა, XX საუკუნეში, შეერთებულმა შტატებმა ევროპული პოლიტიკური წნეხის მსხვერპლთ თავშესაფარი შესთავაზა.

და ამგვარად, ამერიკის მაცხოვრებელთა უმეტესობისთვის ამერიკა იყო თავშესაფარი, ან ადგილი, სადაც ხალხი წავიდა, რათა ევროპისგან თავი დაეღწიათ. მაშასადამე, გასაკვირი არაა, რომ მრავალი წლის მანძილზე, ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეების მთავარი მიზანი, რასაც ამერიკული საზოგადოებაც ხელს უწყობდა, საკუთარი თავის ევროპისგან იზოლირება იყო. მათი არსებითი ძალა, და მათთვისვე ხელმისაწვდომი დიდი რესურსები, მიმ-

ზიდველად და პრაქტიკულად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, ჩემი ცხოვრების მანძილზე ორჯერ, ორ უდიდეს ომში ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მათ არ შესწევდათ ძალა, გვერდით გამდგარიყვნენ. მათ მკლავებში სასიცოცხლო ძალა ორჯერ უკუიქცა ატლანტის ოკეანის გავლით, რათა სისხლი დაეღვარათ იმ ევროპულ ბრძოლებში, რომელთაგანაც, მათი წინაპრების აზრით, შესაძლებელი იყო ემიგრაციის გზით ახალ სამყაროში გაქცევა; და როცა მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, ისინი იძულებულნი იყვნენ, გაეცნობიერებინათ, რომ დღევანდელ პატარა მსოფლიოში, იზოლაციონიზმი მოძველებულია და მეტიც, ეს გზა უსაფრთხოებას სრულად ვერ უზრუნველყოფს.

ფაქტია, რომ ამ თანამედროვე მსოფლიოში, არცერთ ქვეყანას, უძლიერესსაც კი, არ შესწევს ძალა, იარსებოს დამოუკიდებლად, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისთვის. დაახლოებით ორი ათასი წლის წინ, იმ დროს, როცა შეგედლოთ გეთქვათ, რომ მთელი ცივილიზებული სამყარო რომის იმპერიის საზღვრებისგან შედგებოდა, წმინდა პავლემ გააცხადა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიული სიმართლე — ჩვენ, ყველა, ერთმანეთის ნაწილები ვართ. XX საუკუნის განმავლობაში, ამ მარადიულმა სიმართლემ ახალი და არსებული მნიშვნელობა მოირგო. ინდივიდისთვის ყოველთვის შეუძლებელი იყო მისი თანამოაზრეებისაგან იზოლირებულ გარემოში არსებობა, სახლში, ტომში, სოფელში ან ქალაქში. დღესდღეობით სახელმწიფოებისთვის შეუძლებელია ერთმანეთისგან იზოლაციაში ცხოვრება. რაც დოქტორმა ჯონ დონმა თქვა ინდივიდებზე სამასი წლის წინ, დღესაც ერგება ჩემს, თქვენს, მსოფლიოს ყველა ქვეყანას.

„ნებისმიერი ადამიანის სიკვდილი მამცრობს მე, ვინაიდან კაცობრიობის ნაწილი ვარ.“

ნუ იკითხავ, ვისთვის რეკენ ზარები, რადგან ისინი შენთვისაც რეკენ.“

ყველა სახელმწიფო ახლა ერთმანეთმანეთზეა დამოკიდებული და ეს, მეტწილად, დასავლურ სამყაროშია მიღებული. ვიმედოვნებ, რომ შესაბამისი კურსის პირობებში, კომუნისტური ქვეყნებიც გაიზიარებენ ამ პათოსს. ეს, რასაკვირველია, იმ ფიქრითაა განპირობებული, რომ ერთი წლის წინ, დაახლოებით ამ დროს, გადავწყვიტე, მოსკოვს ვწვეოდი. რუსეთი იყო იზოლაციონისტი და დღემდე ამ ტენდენციას მისდევს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება —

ჩვენ უნდა ვიცხოვროთ რუსეთთან ერთად ერთ სამყაროში და უფრო მეტიც, უნდა გამოვინახოთ გზა ამის განსახორციელებლად. მჯერა, რომ ინიციატივას, რომელიც შარშან მივიღეთ, გარკვეული წარმატება ჰქონდა, თუმცა, შესაძლოა, სერიოზული სირთულეები დახვდეს წინ. მიუხედავად ამისა, არაფერს ვფიქრობ, მაგრამ, შესაძლოა, დადებითი შედეგი მივიღოთ ინდივიდთა შორის ყოველმომცველი ურთიერთობით, ურთიერთობით საქმიანობაში და ვიზიტორთა გაცვლით.

მე, რა თქმა უნდა, ადამიანებს შორის ვაჭრობის უარყოფის არ მჯერა იმიტომ, რომ თქვენ, შესაძლოა, მათი შიდა საქმიანობის ორგანიზების წესი არ მოგეწონოთ. ბოიკოტი არაფერს მოგიტანთ და თუ შეიძლება, დამატებით ვიტყვი, თუ როგორ ვაპროტესტებ ყოველ მცდელობას ბრიტანეთში, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა მიერ სამხრეთ აფრიკული საქონლის მიმართ ბოიკოტის მოწყობისკენ. აქამდე, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, არასდროს ყოფილა მსგავსი პრაქტიკა, რომ გაერთიანებული სამეფოს რომელიმე მთავრობას მხარი დაეჭირა ამ ტიპის კამპანიისთვის და ზემოქმედება მოეხდინა თანამეგობრობის სხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე. მე და ჩემი კოლეგები გაერთიანებულ სამეფოში, განვიცდით შემოთავაზებულ ბოიკოტს და პატივს ვცემთ მას, როგორც არასასურველს, თვალთახედვის ნებისმიერი არეალიდან. მას სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია თანამეგობრობის ურთიერთობებსა და საქმიანობაზე. იგი უფრო მეტად სხვებს დააზარალებს მათ ნაცვლად, ვისთვისაც იგია განკუთვნილი.

ვთქვი, რომ ვსაუბრობდი ერთა შორის არსებულ ურთიერთკავშირზე. თანამეგობრობის წევრები განსაკუთრებული სიძლიერით გრძნობენ ამ ურთიერთკავშირის ღირებულებას. ისინი ისეთივე დამოუკიდებლები არიან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფო ამ დაპატარავებულ მსოფლიოში, მაგრამ ისინი ერთად მუშაობას ნებაყოფლობით თანხმდებიან. აცნობიერებენ, რომ შესაძლოა იყოს და უნდა იყოს კიდევ განსხვავებები მათ დანესებულებებში, მათი პოლიტიკის შიდა კურსში, წევრობა არ გულისხმობს სურვილს, შეაფასო ეს საკითხები, ან დახშული ერთფეროვნების მოწონების საჭიროებას. ვფიქრობ, კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს ყოფილა თანამეგობრობის რომელიმე მყარი კონსტიტუციის დახმარება.

ალბათ, ეს იმიტომაა, რომ ჩვენ გაერთიანებულ სამეფოში გვეგონა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო დაწერილი კონსტიტუციის გარეშეც რამდენიმე ასეული წლის მანძილზე და ეს საკითხები ახლაც მეტად გავფიქრებს. მაგრამ ეს ასეა თუ არა, ნათელია, რომ მყარი საკონსტიტუციო ჩარჩოები თანამეგობრობისთვის არ იმუშავებს, ეს ასე არ იქნება. დაძაბულობითა და ზეგავლენით, რომელიც ისტორიის ამ პერიოდში გარდაუვალია, შესაძლოა, ნაპრალი გაჩნდეს ჯერ ამგვარ მდგრად კონსტიტუციაში, ხოლო შემდგომ მთელი სტრუქტურა, ჩემი მოსაზრებით, შესაძლოა, დაინგრეს. ჩვენი თანამეგობრობის ინსტიტუციების მოქნილობა, — ეს არის ის, რაც ძალას იძლევა.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო სპიკერო, პატივცემულო მინისტრებო, ქალბატონებო და ბატონებო, ვშიშობ, დიდი დრო წაგართვით. მივესალმები შესაძლებლობას, ვისაუბრო ამ არაჩვეულებრივი აუდიტორიის წინაშე, რაც, თავის მხრივ, დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. საბოლოოდ, შემიძლია ეს ვთქვა? მე გულწრფელად გესაუბრეთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებულ სირთულეებზე, ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებულ განსხვავებებზე, თავიანთი მიდგომით ისინი უნდა გაუმკლავდნენ ერთ-ერთ უდიდეს, მუდმივ პრობლემას, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში. ეს განსხვავებები კარგადაა ცნობილი. ისინი სახალხო ცოდნის საკითხებია, სწორედაც სახალხო აზრთა სხვადასხვაობის გამო. ჩემს თავთან მართალი არ ვიქნებოდი, თუ საზოგადოებას თავს მოვაჩვენებდი იმგვარად, თითქოს ჩემთვის ისინი არ არსებობს. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებული განსხვავებები, ან ერთი საკითხი, ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ისაა, არ საჭიროებს და არ შეუძლია, გააუარესოს ჩვენი შესაძლებლობა, ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ იმ საკითხებზე, რომლებიც ბევრი პრაქტიკული ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენთვის საერთოა. თანამეგობრობის დამოუკიდებელი ნევრები ყოველთვის არ ეთანხმებიან ერთმანეთს ყოველ საკითხზე, რაც სულაც არ წარმოადგენს მათი გაერთიანების პირობას. თუმცა, საპირისპიროდ, ჩვენი თანამეგობრობის ძალა მეტწილად დამოკიდებულია იმ ფაქტზე, რომ ეს არის თავისუფალი გაერთიანება თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებით, თითოეული ცალ-ცალკე პასუხისმგებელია საკუთარ საქმეებზე, მაგრამ თანამშრომლობს საერთო მიზნების მიღწევისთვის მსოფლიოში. გარდა ამისა, ეს განსხვავე-

ბები შესაძლოა იყოს დროებითი. დროთა განმავლობაში, ისინი მოგვარებადია. ჩვენი მისიაა, ისინი ამ პერსპექტივით დავინახოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, მე მწამს — თითოეული ამომრჩეველი თავაზიანობითა და კეთილგანწყობით პასუხისმგებელია საქმიან ურთიერთობებზე თქვენს ქვეყანაში და ჩემს ქვეყანაში, ჩვენ, დიდი ისტორიული ხანის სწრაფ, გარდამავალ ფანტომებს, არ გვაქვს უფლება, გვერდი ავუაროთ ამ სტადიაზე მეგობრობას, რომელიც ჩვენ ქვეყნებს შორის არსებობს, ეს ისტორიის მემკვიდრეობაა. ჩვენ ამას მარტო არ უნდა გავუმკლავდეთ. ცნობილი ფრაზის მოშველიებით — ის ეკუთვნის მათ, ვინც ცხოვრობს, ის ეკუთვნის მათ, ვინც უკვე გარდაცვლილია და მათ, ვინც ჯერ არ დაბადებულა. ჩვენ უნდა დავდგეთ მრავალფეროვნების პირისპირ, მაგრამ მოგვეცით საშუალება, დავინახოთ მომავლის მცირე პერსპექტივა მაინც. ვიმედოვნებ — ნამდვილად, მე დარწმუნებული ვარ — მომავალ ორმოცდაათ წელიწადში შეგვეძლება თვალი გადავავლოთ იმ განსხვავებებს, რომლებიც არსებობს ჩვენ შორის ახლა, როგორც ისტორიული ინტერესის მარტივი საკითხები, რამეთუ დრო გადის, ერთი თაობა მეორეს უთმობს ასპარეზს, კაცობრიობის პრობლემები იცვლება და ხუნდება. მოგვეცით საშუალება, გვახსოვდეს ეს ჭეშმარიტებები, მაშასადამე, მოგვეცით საშუალება, გავბედოთ აშენება და არა დანგრევა, და ასევე, მოგვეცით საშუალება, გვახსოვდეს, თქვენთვის ნაცნობი სიტყვებით რომ ვთქვა: სისუსტე მოდის დაყოფიდან, სიძლიერე — ერთობიდან.

მზად ვარ, მოვკვდე

ნელსონ მანდელა

თორნიკე გერლიანის თარგმანი

ჩემო ბატონო, მე ვარ უპირველესი დამნაშავე.

მე მივიღე ბაკალავრის ხარისხი და წლების განმავლობაში ვენეოდი საადვოკატო საქმიანობას იოჰანესბურგში, ბ-ნ ოლივერ ტამბოსთან ერთად, რომელიც შეთქმულების თანამონაწილეა ამ საქმეში. მისჯილი მაქვს ხუთწლიანი პატიმრობა, ქვეყნის ნე-ბართვის გარეშე დატოვებისა და ხალხის გაფიცვის წაქეზებისთვის 1961 წლის მაისში.

მე იმთავითვე ვაღიარებ, რომ ვიყავი ერთ-ერთი ადამიანი, რომელმაც ხელი შეუწყო „ერის შუბის“ ჩამოყალიბებას და ვითამაშე მნიშვნელოვანი როლი მის საქმიანობაში, სანამ დამაკავებდნენ 1962 წლის აგვისტოში. განცხადებაში, რომლის გაკეთებასაც ვაპირებ, მე გამოვასწორებ იმ მცდარ შთაბეჭდილებას, რომელიც ბრალდების მოწმეების მხრიდან შეიქმნა; სხვა საკითხებთან ერთად, დავამტკიცებ, რომ ჩვენების სახით წარმოდგენილი კონკრეტული მოქმედებები არ განხორციელებულა და არც შეიძლებოდა განხორციელებულიყო „ერის შუბის“ მიერ. მე, ასევე, ვისაუბრებ „აფრიკის ნაციონალურ კონგრესთან კავშირსა“ და იმ როლზე, რომელიც ორივე ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ქმედებებში მიმიძღვის. მე განვიხილავ კომუნისტური პარტიის მიერ ნათამაშებ როლს. აღნიშნული საკითხების სათანადოდ ახსნისათვის, მომიწევს, განვმარტო, თუ რა მიზნის განსახორციელებლად შეიქმნა „ერის შუბი“; რა მეთოდებს მიმართავდა იგი აღნიშნული მიზნების მისაღწევად და რატომ იქნა არჩეული ეს მეთოდები. ასევე, მომიწევს განვმარტო, თუ როგორ ჩავერთე ამ ორგანიზაციების საქმიანობაში.

დასაწყისს, მსურს ვთქვა, რომ ბრალდების მხარის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სამხრეთ აფრიკაში არსებული დაპირისპირება უცხოელების ან კომუნისტების მიერაა შთაგონებული, — სრულიად მცდარია. ყველაფერი რაც გავაკეთე — ინდივიდუალურად ან როგორც ჩემი ხალხის ლიდერმა, გამონკვეული იყო სამხრეთ აფრიკაში ჩემი გამოცდილებითა და მოსაზრებით აფრიკული წარ-

სულის შესახებ და არა იმით, თუ რა შეიძლებოდა ეთქვა რომელიმე უცხოელს.

ახალგაზრდობაში, თრანსკეიში ყოფნისას, ჩემი უფროსი ნათესავებისგან ვისმენდი ამბებს ძველი დროზე. მათ შორის, ისინი მიყვებოდნენ ისტორიებს ომებზე, რომლებშიც ჩვენი წინაპრები სამშობლოს დასაცავად იბრძოდნენ. დინგანეს და ბამბათას, ჰინთასას და მაქანას, სქანგატის და დალასაილის, მაშუშუს და სექუკუნის სახელები მოხსენიებული იყო, როგორც მთელი აფრიკელი ერის სიამაყე. მას შემდეგ მქონდა იმედი, რომ ცხოვრება მომცემდა ჩემი ხალხის სამსახურში ყოფნისა და მათი თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანის შესაძლებლობას. ესაა ის, რამაც მომცა მოტივაცია იმ ყველაფრის გასაკეთებლად, რისთვისაც ამ საქმეში მედება ბრალ.

ამის თქმასთან ერთად, მე დაუყოვნებლივ უნდა გავცე პასუხი საბოტაჟის თაობაზე არსებულ შეკითხვებს. ამ დროისთვის, სასამართლოსთვის ნათქვამი ზოგიერთი რამ სიმართლეა, ზოგიერთი კი — სიცრუე. თუმცა მე არ უარვყოფ საბოტაჟის დაგეგმვას. მე არ დამიგეგმავს ის თავქარიანობით ან ძალადობისადმი რაიმე სიყვარულის გამო. ეს იყო მშვიდი და ჯანსაღი გონებით განსჯილი პოლიტიკური სიტუაციის შედეგი, რომელიც ჩამოყალიბდა მრავალი წლის განმავლობაში თეთრკანიანი მოსახლეობის მხრიდან ჩემი ხალხის მიმართ განხორციელებული ტირანიის, ექსპლუატაციისა და ჩაგვრის საფუძველზე.

მე უარვყოფ, რომ „ერის შუბი“ პასუხისმგებელი იყო იმ მოქმედებებზე, რომლებიც განხორციელდა ორგანიზაციის პოლიტიკის მიღმა და რომელიც ჩვენ წინააღმდეგ წარდგენილ საბრალდებო ოქმშია ასახული. მე არ ვიცი, რა საფუძველი ჰქონდა ამ მოქმედებებს ან ვინ ჩაიდინა, მაგრამ იმის ნათლად წარმოსაჩენად, რომ ისინი არ შეიძლება განიხილებოდნენ ან მიეკუთვნებოდნენ „ერის შუბს“, მსურს, მოკლედ განვიხილო „ერის შუბის“ მიზნები და პოლიტიკა.

უკვე აღვნიშნე, რომ ვიყავი ერთ-ერთი ადამიანი, ვინც „ერის შუბი“ ჩამოაყალიბა. მე და ორგანიზაციის სხვა შემქმნელებმა ეს ორი მიზეზის გამო გავაკეთეთ. პირველი, გვჯეროდა, რომ ხელისუფლების პოლიტიკიდან გამომდინარე, ძალადობა აფრიკელი ხალხის მხრიდან გარდაუვალი გახდა და თუ ძალაუფლების მქონე პირებს ექნებოდათ შესაძლებლობა, ეკონტროლებინათ ხალხის გრძნობები,

მასობრივად გავრცელდებოდა ტერორიზმი, რომელიც გამოიწვევდა სიმწრისა და მტრობის ისეთ გაძლიერებას ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა რასას შორის, რომლის გამოწვევა ომსაც კი არ შეუძლია.

მეორე, ჩვენ ვგრძნობდით, რომ თეთრკანიანების ბატონობის პრინციპის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად არ იარსებებდა სხვა გზა, გარდა საბოტაჟისა. კანონმდებლობამ დაბლოკა ამ პრინციპის წინააღმდეგ მიმართული ყველა კანონიერი მეთოდი და ჩვენ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როცა უნდა დავთანხმებოდით მუდმივი დაქვემდებარების მდგომარეობას ან წინააღმდეგობა გაგვეწია ხელისუფლებისთვის. ჩვენ ავირჩიეთ წინააღმდეგობის გზა. თავდაპირველად ჩვენ მივმართავდით კანონის დარღვევის არაძალადობრივ მეთოდებს; როდესაც ეს ფორმები ჩვენ საწინააღმდეგოდ იქნა დაკანონებული და როდესაც ხელისუფლებამ ძალისმიერი გზით გადაწყვიტა თავისი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ჩახშობა, მხოლოდ მას შემდეგ გადავწყვიტეთ ძალადობისთვის ძალადობითვე გვეპასუხა. მაგრამ ძალადობის ის ფორმა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, ტერორიზმი არ იყო. ჩვენ, ვინც „ერის შუბი“ ჩამოვყალიბეთ, ვიყავით აფრიკის ნაციონალური კონგრესის წევრები და ზურგს გვიმაგრებდა არაძალადობრიობისა და მოლაპარაკებების შესახებ „ანკ“-ის ტრადიციული მიდგომა, როგორც პოლიტიკური დაპირისპირებების გადაჭრის გზა. გვჯეროდა, რომ სამხრეთ აფრიკა ეკუთვნოდა იქ მცხოვრებ ყველა ხალხს და არა ერთ რომელიმე ჯგუფს, იქნებოდნენ ეს შავკანიანები თუ თეთრკანიანები. ჩვენ არ გვსურდა რასებს შორის ომი და ბოლო წუთამდე ვცდილობდით, მის თავიდან აცილებას. თუ სასამართლოს ამაში ეჭვი ეპარება, მე აღვწერ იმ სამოქმედო მეთოდებს, რომლებიც „ერის შუბმა“ აირჩია და ნათელი გახდება, რომ ორგანიზაციის მთელი ისტორია ადასტურებს იმას, რაც ვთქვი და რასაც შემდგომში ვიტყვი. ამისათვის, მსურს, ზოგიერთი რამ ვთქვა „აფრიკის ნაციონალურ კონგრესზე“.

„აფრიკის ნაციონალური კონგრესი“ ჩამოყალიბდა 1912 წელს, რათა დაეცვა აფრიკელი ხალხის უფლებები, რომლებიც „სამხრეთ აფრიკის აქტით“ სერიოზულად შევიწროვდა და რომლებიც შემდგომ კიდევ შეილახა „ადგილობრივი მინის აქტით“. ოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში — მამასადამე 1949 წლამდე — იგი მტკიცედ და ერთგულად მისდევდა ბრძოლის საკონსტიტუციო

გზას. ის დღის წესრიგში აყენებდა მოთხოვნებსა და რეზოლუციებს; გზავნიდა დელეგაციებს ხელისუფლებასთან იმ რწმენით, რომ აფრიკული ნუხილი შეიძლებოდა მშვიდობიანი მოლაპარაკებებით მოგვარებულიყო და რომ აფრიკელებს შეეძლოთ, თანდათანობით მიეღწიათ სრული პოლიტიკური უფლებებისათვის. მაგრამ ხელისუფლების თეთრკანიანი წარმომადგენლები რჩებოდნენ უმოძრაოდ, ხოლო აფრიკელთა უფლებები, გაზრდის ნაცვლად, კიდევ უფრო შემცირდა. ჩემს ლიდერ, მეთაურ ლუთულისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც „ანკ“-ის პრეზიდენტი გახდა და მოგვიანებით მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით დაჯილდოვდა, მე ვწერ: „ვინ უარყოფს, რომ ჩემი ცხოვრების ოცდაათი წელი გავიდა დაკეტილი კარის ამათ, მშვიდ, ზომიერ და მოკრძალებულ კაკუნში? გასული ოცდაათი წლის განმავლობაში დაგროვდა ყველაზე დიდი რაოდენობის კანონები, რომლებიც ზღუდავდა ჩვენს უფლებებსა და პროგრესს და დღეს ჩვენ იმ ფაზას მივალწიეთ, სადაც თითქმის საერთოდ აღარ გვაქვს უფლებები“.

1949 წლის შემდეგაც კი, „ანკ“ მტიცედ ცდილობდა ძალადობის თავიდან აცილებას. თუმცა, ამავე დროს, პროტესტის ის მკაცრად კონსტიტუციური მეთოდები შეიცვალა, რომლებიც წარსულში გამოიყენებოდა. ცვლილება გამოიხატა გადანყვეტილებაში, რომელიც გულისხმობდა აპარტიდის კანონმდებლობის გაპროტესტებას მშვიდობიანი, მაგრამ უკანონო დემონსტრაციებით. ამ პოლიტიკის თანახმად, „ანკ“-მა დაუმორჩილებლობის კამპანია წამოიწყო, რომელშიც მე პასუხისმგებელი ვიყავი მოხალისეებზე. ეს კამპანია ეფუძნებოდა პასიური წინააღმდეგობის პრინციპებს. 8 500 ადამიანზე მეტმა უგულბელყო აპარტიდის კანონები და ციხეში წავიდა. ამის მიუხედავად, კამპანიის განმავლობაში არ ყოფილა ძალადობის ერთი მაგალითიც კი. მე და ჩემი ცხრამეტი კოლეგა გავგასამართლეს „კომუნიზმის აკრძალვის შესახებ“ კანონის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კამპანიას არაფერი ჰქონდა საერთო კომუნიზმთან, თუმცა ჩვენთვის მსჯავრის დადება შეჩერდა უმთავრესად იმიტომ, რომ მოსამართლემ ჩვენ ქმედებებში გამოარკვია წესრიგი და ძალადობის უარყოფა.

ეს იყო დრო, როდესაც ჩამოყალიბდა „ანკ“-ის მოხალისეების მიმართულება და პირველად იქნა გამოყენებული სიტყვა „ამადელაკუფა“; ეს იყო დრო, როდესაც მოხალისეებს სთხოვეს, დაედოთ პირობა, რომ მიჰყვებოდნენ კონკრეტულ პრინციპებს. მოხა-

ლისეების და მათი პირობის შესახებ მტკიცებულებები ასახულია ამ საქმეში, თუმცა იგი კონტექსტიდან სრულიად ამოგლეჯილია. მოხალისეები არ არიან და არც იყვნენ შავკანიანთა არმიის მეომრები, რომლებმაც პირობა დადეს, რომ ანარმოებდნენ სამოქალაქო ომს თეთრკანიანების წინააღმდეგ. ისინი იყვნენ და არიან თავგადადებული მშრომელები, რომლებიც მზად იყვნენ, მიჰყოლოდნენ „ანკ“-ის მიერ წამოწყებულ კამპანიებს და გაევრცელებინათ პროკლამაციები, ორგანიზება გაენიათ გაფიცვებისთვის ან გაეკეთებინათ ნებისმიერი რამ, რასაც კონკრეტული კამპანია მოითხოვდა. მათ ეწოდებოდათ მოხალისეები იმიტომ, რომ ისინი მზად არიან დაპატიმრებისა და იმ ფიზიკური დასჯისათვის, რომელიც მსგავსი ქმედებებისთვის ლეგისლაციური მიერაა დაწესებული.

დაუმორჩილებლობის კამპანიის დროს მიიღეს „საზოგადოებრივი უსაფრთხოების აქტი“ და „სისხლის სამართლის კანონის“ შესწორებები. ამ საკანონმდებლო აქტებით გამკაცრდა სასჯელები კანონსაწინააღმდეგო პროტესტის ფორმებისათვის. ამის მიუხედავად, პროტესტი გრძელდებოდა და „ანკ“ ერთგულად მისდევდა ძალადობაზე უარის თქმის პოლიტიკას.

1956 წელს, კონგრესის ალიანსის 156 წევრი, ჩემი ჩათვლით, სახელმწიფო ლაღატისთვის და „კომუნიზმის აკრძალვის შესახებ“ კანონის საფუძველზე დაგვაპატიმრეს. სახელმწიფომ „ანკ“-ის არაძალადობრივი პოლიტიკა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თუმცა ხუთი წლის შემდეგ, როცა სასამართლომ განაჩინი გამოიტანა, აღმოჩნდა, რომ „ანკ“-ს ძალადობის პოლიტიკა არ გააჩნდა. ჩვენ გავმართლდით ყველა გარემოებაში, მათ შორის, იმ ნაწილშიც, რომლის მიხედვითაც, „ანკ“ ცდილობდა, შეექმნა კომუნისტური სახელმწიფო არსებული რეჟიმის ნაცვლად. ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა, ცილი დაენამა და მათი ოპონენტებისთვის კომუნისტის იარაღი მიეწებებინა. მსგავსი განცხადებები ამ საქმეშიც მეორდება, მაგრამ მე ვაჩვენებ, რომ „ანკ“ არ არის და არც არასდროს ყოფილა კომუნისტური ორგანიზაცია.

1960 წელს შარპვილში მოხდა სროლა, რომელიც გახდა საფუძველი, რომ სახელმწიფოს მიერ სასწრაფოდ გავრცელებულ მიმართვასა და დეკლარაციაში „ანკ“ გამოცხადებულიყო, როგორც არაკანონიერი ორგანიზაცია. გულმოდგინე მსჯელობის შემდეგ, მე და ჩემმა კოლეგებმა გადავწყვიტეთ, ამ ბრძანებას არ დავმორჩილებოდით. აფრიკელი ხალხი არ იყო ხელისუფლების წევრი და არ

იღებდა კანონებს, რომლებითაც ისინი იმართებოდნენ. ჩვენ გვჯეროდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ასახული სიტყვების — „სახელმწიფო ძალაუფლების წყარო ხალხის ნებაა“ და ჩვენთვის აკრძალვაზე თანხმობა იყო იგივე, რაც თანხმობა აფრიკელი ხალხის სამუდამო სიჩუმეზე. „ანკ“-მა უარი თქვა დაშლაზე და ამის ნაცვლად იატაკქვეშ გადაინაცვლა. გვჯეროდა, რომ ამ ორგანიზაციის შენარჩუნება, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში მძიმე შრომის შედეგად ყალიბდებოდა, ჩვენი მოვალეობა იყო. ეჭვი არ მეპარება, რომ თეთრკანიანების არც ერთი თავმოყვარე პოლიტიკური ორგანიზაცია არ დაიშლებოდა, თუ სახელმწიფოს მიერ იგი არაკანონიერად გამოცხადდებოდა, სადაც მას არაფრის თქმის უფლება ექნებოდა.

ჩემო ბატონო, ახლა მსურს, განვიხილო ის ჩვენება, რომელიც ამ საქმეში რეალურ ვითარებას ამახინჯებს. ზოგიერთ ჩვენებაში „გეგმა M“ აბსოლუტურად დამახინჯდა. ის სხვა არაფერი იყო, გარდა 1953 წელს დაგეგმილი ორგანიზების მეთოდისა და შემდეგ, სხვადასხვა საფეხურის ამოქმედება წარმატების მისაღწევად. 1960 წლის შემდეგ, ახალი მეთოდების მოფიქრება გახდა საჭირო, მაგალითად, შედარებით პატარა კომიტეტებზე დაყრდნობა. „გეგმა M“, ასევე, მოიხსენიეს სახელმწიფო ლალატის საქმის ჩვენებაში, მაგრამ მას საერთო არაფერი აქვს საბოტაჟთან ან „ერის შუბთან“ და „ერის შუბს“ არასდროს გამოუყენებია. დაბნეულობა, რომელიც კონკრეტულად აღმოსავლეთ კაპლანდელი მოწმეების მხრიდან შეიქმნა, ვფიქრობ, გამოწვეულია სიტყვის თუ ფრაზის — „უმაღლესი მთავარსარდლობა“ — გამოყენებით. ეს ტერმინი გამოიგონეს პორტელისაბედში საგანგებო მდგომარეობის დროს, როდესაც „ანკ“-ის ლიდერების უმრავლესობა დაპატიმრებული იყო, ხოლო საპატიმრო კომიტეტს, რომელიც მოთხოვნებს აყენებდა, უმაღლეს მთავარსარდლობებს ეძახდნენ. საგანგებო მდგომარეობის შემდეგ, ეს ტერმინი შენარჩუნდა და იმ ადგილას არსებული კონკრეტული კომიტეტების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ამასთან, ჩვენ გვყავდა მოწმეები, რომლებიც საუბრობდნენ მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის უმაღლეს მთავარსარდლობაზე და პორტელისაბედის უმაღლეს მთავარსარდლობაზე. ეს ე.წ. „უმაღლესი მთავარსარდლობები“ გამოიყენებოდა „ერის შუბის“ დაარსებამდე და არანაირად იყო დაკავშირებული საბოტაჟთან. ფაქტობრივად და მე ამას დაუყოვნებლივ ავხსნი, „ერის შუბი“, როგორც ორგანიზაცია,

„ანკ“-ისგან მაქსიმალურად შორს და განცალკევებით არსებობდა. ჩემო ბატონო, სწორედ ეს ხსნის იმ გარემოებას, თუ რატომ ვერ გაიგეს ვერაფერი საბოტაჟის შესახებ ისეთმა პირებმა, როგორებიც ბენეთ მაშიანე და რეჯინალდ ნდუბეა, იმ შეხვედრაზე, რომელსაც თავად ესწრებოდნენ. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ფრაზის — „უმაღლესი მთავარსარდლობა“ — გამოყენებამ, გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია „ანკ“-ის წრეებში, აღმოსავლეთ პროვინციაში.

მე იქ 1961 წელს ვიმოგზაურე, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ ეს ე.წ. უმაღლესი მთავარსარდლობები იყენებდნენ ძალადობას, რათა თავს მოეხვიათ ახალი გეგმა. მე აღნიშნულის დამადასტურებელი სამხილი ვერ ვიპოვე, მაგრამ ვერც უარყავი, ამასთან, დაჟინებით მოვითხოვდი, ტერმინი „უმაღლესი მთავარსარდლობა“ არ უნდა გამოყენებულიყო „ანკ“-ის რომელიმე კომიტეტის აღსანიშნავად. ჩემი სტუმრობა და იქ მიმდინარე მოლაპარაკებები აღწერა ზიზი ჟიკლანმა და ვეთანხმები მის ჩვენებას იმ ეტაპამდე, სანამდე იგი მე მეხება. მიუხედავად იმისა, რომ საქმისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, უარყოფ, რომ შეხვედრაზე წამიყვანა ტაქსის მძღოლმა ჯონ ჩინგანემ და ასევე, უარყოფ, რომ მასთან ერთად ნავედი ზღვაზე.

ჩემო ბატონო, ახლა მსურს, უშუალო მიზეზებზე ვისაუბრო. 1960 წელს, ხელისუფლების ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი, რომელიც მიმართული იყო რესპუბლიკური მმართველობის ფორმის დაფუძნებისკენ. აფრიკელებს, რომლებიც სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენდნენ, არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება და არც კი გაუთვალისწინებიათ მათი აზრი დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე. თითოეული ჩვენგანი შიშით ვიყავით შეპყრობილნი ჩვენი მომავლის მიმართ, მოსალოდნელი თეთრი რესპუბლიკის გამო და მივიღეთ რეზოლუცია, რათა ჩატარებულიყო ყოვლისმომცველი აფრიკული კონფერენცია ნაციონალური კონვენციის მისაღებად და მასობრივი დემონსტრაციების ორგანიზებისთვის არასასურველი რესპუბლიკის დაფუძნების წინა დღეს, თუ ხელისუფლება კონვენციას არ დაეთანხმებოდა. კონფერენციას ესწრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე აფრიკელები. მე ვიყავი კონფერენციის საპატიო მდივანი და აღებული მქონდა ვალდებულება, ვყოფილიყავი პასუხისმგებელი ეროვნული შინაყუდობის ორგანიზებაზე, რომ-

ლისკენაც შემდეგ მოუწოდეს, რესპუბლიკის დეკლარაციასთან შესაბამისობისთვის. რამდენადაც აფრიკელების ნებისმიერი გაფიცვა არაკანონიერია, ადამიანმა, რომელიც მსგავს გაფიცვას უკეთებს ორგანიზებას, თავიდან უნდა აიცილოს დაპატიმრება. მე ამირჩიეს ასეთ ადამიანად და შესაბამისად, მომინია ჩემი სახლის, ოჯახისა და საქმიანობის მიტოვება და დამალვა დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად. შინაყუდობა, „ანკ“-ის პოლიტიკის შესაბამისად, უნდა ყოფილიყო მშვიდობიანი პროტესტის ფორმა. ორგანიზატორებსა და წევრებს მიეცათ საგულდაგულო ინსტრუქციები, რათა თავიდან აეცილებინათ ნებისმიერი სახის ძალადობა. ხელისუფლების პასუხი იყო ახალი და უფრო მკაცრი კანონების წარდგენა, სამხედრო ძალების მობილიზება და „სარკინოზების“*, სამხედრო ეკიპაჟებისა და ჯარისკაცების გაგზავნა გარეუბნებში, ძალის მასობრივი დემონსტრირებით ხალხის დასაშინებლად. ეს იყო იმის ინდიკატორი, რომ ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით მოქმედება, და ეს გადაწყვეტილება იყო საკვანძო მომენტი „ერის შუბისკენ“ მიმავალ გზაზე.

აქედან ზოგიერთი რამ, შესაძლოა, ამ პროცესთან არარელევანტური ჩანდეს. ფაქტობრივად, მე მჯერა, რომ არცერთი მათგანია არარელევანტური, რადგან, ვიმედოვნებ, ეს სასამართლოს მისცემს „ერის შუბის“ დამოკიდებულების შეფასების შესაძლებლობას, რომელიც, საბოლოოდ, ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობით დაინტერესებულმა სხადასხვა ადამიანმა და ორგანიზაციამ აითვისა. 1962 წელს, როდესაც დამაპატიმრეს, წამყვანი იდეა იყო, რომ სიცოცხლის დაკარგვა თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული. ახლა ვიცი, რომ ეს 1963 წელსაც ჯერ კიდევ ასე იყო.

თუმცა აუცილებლად უნდა დავუბრუნდე 1961 წლის ივნისს, ჩემო ბატონო. რა უნდა გავგეკეთებინა ჩვენ, ჩვენი ხალხის ლიდერებს? უნდა შევგუებოდით ძალის დემონსტრირებასა და ნაგულისხმევ მუქარას სამომავლო მოქმედებების წინააღმდეგ, თუ უნდა გვებრძოლა და თუ კი, როგორ?

ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ბრძოლა უნდა გავგვეგრძელებინა. ნებისმიერი სხვა რამ დამამცირებელი კაპიტიულაცია იქნე-

* Saracens - საბრძოლო მანქანის ნაირსახეობა.

ბოდა. ჩემო ბატონო, ჩვენი პრობლემა იყო არა ის, გვებრძოლა თუ არა, არამედ ის, თუ როგორ გაგვეგრძელებინა ბრძოლა. ჩვენ, „ანკ“-ის წევრები, ყოველთვის ვემხრობოდით არარასისტულ დემოკრატიას და თავს ვარიდებდით ნებისმიერ მოქმედებას, რომელსაც შეეძლო ბიძგი მიეცა რასების ერთმანეთისგან კიდევ უფრო განცალკევებისთვის, ვიდრე უკვე იყვნენ. მაგრამ უტყუარი ფაქტი იყო ის, რომ ორმოცდაათწლიანმა არაძალადობრიობამ აფრიკელ ხალხს სხვა არაფერი მოუტანა, გარდა უფრო და უფრო რეპრესიული კანონმდებლობისა და უფრო მეტად შემცირებული უფლებებისა. შესაძლოა, სასამართლოსთვის გასაგებად მარტივი არ იყოს, თუმცა ფაქტია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ხალხი საუბრობდა ძალადობაზე — დღეზე, როდესაც ისინი იბრძოდნენ თეთრკანიანებთან და დაიბრუნებდნენ საკუთარ ქვეყანას, და ჩვენ, „ანკ“-ის ლიდერები, მიუხედავად ამისა, ყოველთვის ვარწმუნებდით მათ, რომ თავი აერიდებინათ ძალადობისთვის და მშვიდობიანი მეთოდებისთვის მიემართათ. როდესაც ზოგიერთი ჩვენგანი ამის შესახებ ვმსჯელობდით, არ შეიძლება უარვყოთ, რომ ჩვენმა პოლიტიკამ, არაძალადობრივი გზით მიგვეღწია არარასისტული სახელმწიფოსთვის, შედეგად არაფერი გამოიღო და რომ ჩვენი მიმდევრები ამ პოლიტიკისადმი რწმენას კარგავდნენ და ტერორიზმის შემაშფოთებელ იდეებს ავითარებდნენ.

ჩემო ბატონო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დროისთვის ძალადობა, ფაქტობრივად, სამხრეთ აფრიკის პოლიტიკური სცენისთვის დამახასიათებელი გახდა. ძალადობა იყო 1957 წელს, როდესაც ზეერუსტელ ქალებს აიძულებდნენ სპეციალური დოკუმენტები ეტარებინათ. ძალადობა იყო 1958 წელს, ბანტუს მმართველების ზემოქმედებით და მსხვილფეხა საქონლის დახოცვით სექუკუნელენდში. ძალადობა იყო 1959 წელს, როდესაც კატო მანორის ხალხი საპასპორტო რეიდებს აპროტესტებდა. ძალადობა იყო 1960 წელს, როდესაც ხელისუფლებამ პონდოლენდში ბანტუს მმართველების მეშვეობით სცადა ძალა გამოეყენებინა. ოცდაცხრამეტი აფრიკელი დაიღუპა ამ არეულობებისას პონდოლენდში. 1961 წელს ვორმბატსში იყო აჯანყებები და მთელი ამ დროის განმავლობაში, ჩემო ბატონო, თრანსკეიში მასობრივი არეულობა მძვინვარებდა. წესრიგის თითოეული დარღვევა ნათლად მიანიშნებდა აფრიკელთა შორის შეუქცევადად მზარდ იმ რწმენაზე, რომ ძალადობა იყო ერთადერთი დარჩენილი გზა — ამან აჩვენა, რომ

ხელისუფლება, რომელიც იყენებს ძალას არსებული წესრიგის შესანარჩუნებლად, ჩაგრულებს ასწავლის, წინააღმდეგობისთვის ძალა გამოიყენონ. ამ დროისთვის, ქალაქურ დასახლებებში უკვე აღმოცენებული იყო პატარა ჯგუფები, რომლებიც თვითნებურად აწყობდნენ პოლიტიკური ბრძოლის ძალადობრივი ფორმებით განხორციელების გეგმებს. ახლა გაიზარდა საფრთხე, რომ ეს ჯგუფები გამოიყენებენ ტერორიზმს, როგორც აფრიკელების, ისე თეთრკანიანების წინააღმდეგ, თუ სათანადოდ არ იქნებოდა შეფასებული. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ძალადობის ფორმა აფრიკელებს შორის, რომელიც წარმოიშვა ისეთ ადგილებში, როგორიცაა ზეერუსტი, სექუქუნელენდი და პონდოლენდი. იგი სულ უფრო და უფრო იღებდა ისეთ ფორმას, რომელიც არ იყო ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ — მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამან მისცა ბიძგი მას — არამედ სამოქალაქო დაპირისპირება პროსახელისუფლებო ლიდერებსა და მათ მონინააღმდეგეებს შორის, რომელიც იმართებოდა ისეთი ფორმით, რომ სხვა არაფერს გამოიღებდა შედეგად, გარდა სიცოცხლის დაკარგვისა და სიმწრისა.

1961 წლის ივნისის დასაწყისში, სამხრეთ აფრიკის მდგომარეობის ხანგრძლივი და მლეღვარე შეფასების შემდეგ, მე და ზოგიერთი ჩემი თანამებრძოლი მივედით დაკვნამდე, რომ რამდენადაც ძალადობა ამ ქვეყანაში იყო შეუქცევადი, აფრიკელი ლიდერებისთვის არარეალური და მცდარი იქნებოდა, ექადაგათ მშვიდობა და არაძალადობრიობა იმ დროს, როცა ხელისუფლება ჩვენს მშვიდობიან მოთხოვნებს ძალადობით ხვდებოდა.

ჩემო ბატონო, ამ დასკვნამდე მისვლა მარტივი არ იყო. ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სხვა ყველაფერმა მარცხი განიცადა, როდესაც მშვიდობიანი პროტესტის ყველა ფორმა ჩაახშვეს. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბრძოლის ძალადობრივი ფორმების შემოღებისა და „ერის შუბის“ ჩამოყალიბების თაობაზე. ჩვენ ასე მოვიქეციით არა იმიტომ, რომ მსგავსი მიმართულებით სვლა გვენადა, არამედ მარტოოდენ იმის გამო, რომ ხელისუფლებამ სხვა არჩევანი არ დაგვიტოვა. 1961 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნებულ „ერის შუბის“ მანიფესტში, რომელიც ნივთიერი მტკიცებულებაა, ჩვენ განვაცხადეთ: „ნებისმიერი ერის ცხოვრებაში დგება დრო, როცა მხოლოდ ორი არჩევანი არსებობს — დამორჩილება ან ბრძოლა. ეს დრო ახლა სამხრეთ აფრიკაშიც დადგა. ჩვენ არ დავმორჩილებით, ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი,

გარდა იმისა, რომ, რაც არ უნდა იყოს, მთელი სიძლიერით, საპირისპირო დარტყმა განვახორციელოთ ჩვენი ხალხის დასაცავად, ჩვენი მომავლისა და თავისუფლებისათვის“.

ასეთი იყო ჩვენი განწყობა 1961 წლის ივნისში, როცა გადავწყვიტეთ, ღიად გაგვეცხადებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკის ცვლილების თაობაზე. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მორალურ ვალდებულებას ვგრძნობდი, გამეკეთებინა ის, რაც გავაკეთე.

ჩვენ, ვინც ეს გადაწყვეტილება მივიღეთ, დავინწყეთ სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის, „ანკ“-ის ლიდერებთან კონსულტაციის წარმოება. არ ვიტყვი, ვის ველაპარაკეთ, ან რა თქვეს მათ, მაგრამ მსურს, ვისაუბრო ბრძოლის ამ ფაზაში „აფრიკის ნაციონალური კონგრესის“ როლსა და „ერის შუბის“ პოლიტიკასა და მიზნებზე.

რამდენადაც საუბარი იყო „ანკ“-ზე, შეიქმნა მასზე მკაფიო წარმოდგენა, რომელიც შესაძლებელია შემდეგნაირად შეჯამდეს:

a) ის იყო პოლიტიკური დანიშნულების განსახორციელებლად შექმნილი მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია;

b) ყოველივე ამის გამო, იგი ვერ და არ იქნებოდა ძალადობის წამომწყები. ეს აუცილებლად უნდა იყოს ხაზგასმული. დაუშვებელია, ეს ერთობა წარმოჩინდეს პატარა, დახურული ტიპის ორგანიზაციად, რომელიც საბოტაჟისთვის იღვწოდა. ეს არც პოლიტიკური თვალსაზრისით იქნებოდა მართებული, რადგან ამით გამოიხატებოდა, რომ წევრები თავს ანებებენ ამ არსებითი საქმიანობის — პოლიტიკური პროპაგანდის და ორგანიზაციის, ბოლომდე მიყვანას. არც ის იყო შესაძლებელი, რომ ორგანიზაციის არსი სრულიად შეცვლილიყო;

c) მეორე მხრივ, ჩემ მიერ აღწერილი სიტუაციის გავალისწინებით, „ანკ“ მზად იყო, საკუთარ ორმოცდაათწლიან არაძალადობრივ პოლიტიკაზე ამ მოცულობით უარი ეთქვა, რითაც იგი აღარასდროს დაგმობდა სათანადოდ კონტროლირებად საბოტაჟს. ამ დროიდან, ის წევრები, რომლებიც ამგვარ საქმიანობას წამოიწყებდნენ, „ანკ“-ის მხრიდან დისციპლინური წესით აღარ დაისჯებოდნენ. მე ვამბობ „სათანადოდ კონტროლირებად საბოტაჟს“, რადგან ნათლად ვაჩვენე, რომ, თუ მე დამეხმარებოდნენ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში, მე დავუქვემდებარებდი მას „ანკ“-ის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და ვერ მოვკიდებდი ხელს აქტივიზმის რომელიმე განსხვავებულ ფორმას, რომელიც „ანკ“-ის თანხმობის გარეშე

იქნებოდა მოფიქრებული. და ახლა ვეტიყვი სასამართლოს, თუ როგორ გავხდით იძულებულნი, ძალადობის იმ ფორმისთვის მიგვემართა.

ამ გადანყვეტილების საფუძველზე ჩამოყალიბდა „ერის შუბი“, 1961 წლის ნოემბერში. როდესაც ჩვენ მივიღეთ ეს გადანყვეტილება და შემდეგ შევადგინეთ გეგმები, არაძალადობრიობისა და რასობრივი ჰარმონიის „ანკ“-სეული მემკვიდრეობა ჩვენთვის ძალზე ახლობელი იყო. ვგრძნობდით, რომ ქვეყანა თანდათან სამოქალაქო ომისკენ მიემართებოდა, სადაც შავკანიანები და თეთრკანიანები ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოლებდნენ. სამოქალაქო ომი იქნებოდა იმის განადგურება, რასაც „ანკ“ მხარს უჭერდა; სამოქალაქო ომის პირობებში რასობრივი მშვიდობის მიღწევა უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე არასდროს. ჩვენ უკვე გვქონდა ომის შედეგების მაგალითები სამხრეთ აფრიკის ისტორიაში. ორმოცდაათ წელზე მეტი დასჭირდა სამხრეთ აფრიკული ომის ნაიარევების გაქრობას. რა დრო დასჭირდებოდა რასებს შორის სამოქალაქო ომის ნაიარევების აღმოფხვრას, რომელიც ვერ იწარმოებოდა ორივე მხრიდან სიცოცხლის დიდი დანაკარგის გარეშე?

სამოქალაქო ომის თავიდან აცილება იყო წარმმართველი ჩვენი მსჯელობისას, მაგრამ როცა გადაწყვიტეთ, აგვერჩია საბოტაჟი, როგორც ჩვენი პოლიტიკის ნაწილი, გავანალიზეთ, რომ ერთ დღესაც შეიძლებოდა ამგვარი ომის პერსპექტივის წინაშე დავმდგარიყავით. ეს უნდა გაგვეთვალისწინებინა ჩვენი გეგმების შედგენისას. გვესაჭიროებოდა გეგმა, რომელიც იქნებოდა მოქნილი და რომელიც მოგვცემდა შესაძლებლობას, გვემოქმედა დროის მოთხოვნების შესაბამისად; ზემოაღნიშნულის გარდა, გეგმის მიხედვით, სამოქალაქო ომი უნდა აღიარებულიყო უკანასკნელ საშუალებად და მომავლისთვის ამ საკითხს გადანყვეტილს დატოვებდა. ჩვენ არ გვსურდა სამოქალაქო ომის დაწყება, მაგრამ გვინდოდა, მზად ვყოფილიყავით, თუ ის გარდაუვალი იქნებოდა.

შესაძლებელია არსებობდეს ოთხი სახის ძალადობა. არსებობს საბოტაჟი, არსებობს პარტიზანული ომი, არსებობს ტერორიზმი და არსებობს ღია რევოლუცია. ჩვენ გადაწყვიტეთ პირველი მეთოდის ათვისება და მისი სრულად გამოყენება, სანამ რომელიმე სხვა გადანყვეტილებას მივიღებდით.

ჩვენი პოლიტიკური წარსულის გათვალისწინებით, არჩევანი ლოგიკური იყო. საბოტაჟი სიცოცხლის დაკარგვას არ მოიცავს და

ის გვთავაზობდა რასებს შორის მომავალი ურთიერთობების საუკეთესო იმედს. გააგება უნდა დაყვანილიყო მინიმუმამდე და თუ ეს პოლიტიკა შედეგს გამოიღებდა, დემოკრატიული ხელისუფლება შესაძლოა რეალობად ქცეულიყო. ესა ის, რასაც ვგრძნობდით იმ დროს და აი, რას ვამბობდით ჩვენს მანიფესტში: „ჩვენ, „ერის შუბის“ წევრები, ყოველთვის ვცდილობდით, გათავისუფლებისთვის მიგვეღწია სისხლისღვრისა და სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე. ჩვენ ამ დრომდეც კი ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პირველი მოქმედებები ყველას ნათლად დაანახებს იმ კატასტროფულ სიტუაციას, რომელიც ნაციონალისტურ პოლიტიკას მოაქვს. იმედი გვაქვს, ხელისუფლებასა და მის მხარდამჭერებს გონს მოვიყვანოთ, სანამ ძალიან გვიანი არაა, იმგვარად, რომ ხელისუფლება და მისი პოლიტიკა მანამ შეიცვლება, სანამ საკითხი აშკარა სამოქალაქო დაპირისპირების მდგომარეობას მიაღწევს“.

პირველადი გეგმა დაფუძნებული იყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის საგულდაგულო ანალიზზე. გვჯეროდა, რომ სამხრეთ აფრიკა დიდწილად დამოკიდებული იყო უცხოურ კაპიტალსა და ვაჭრობაზე. ვგრძნობდით, რომ ელექტროსადგურების დაგეგმილი განადგურება და სარკინიგზო და სატელეფონო კომუნიკაციების ფუნქციონირების შეფერხება, ხელს შეუწყობდა ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას, გაართულებდა ინდუსტრიული ზონებიდან საზღვაო პორტებამდე საქონლის დროულად მიწოდებას და გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას მძიმე დარტყმა მიადგებოდა. ამგვარად შესაძლებელი იქნებოდა, გვეიძულებინა ქვეყნის ამომრჩევლები, თავიანთი მიდგომა გადაესინჯათ.

ქვეყნის ეკონომიკურ მიმართულებაზე თავდასხმები უნდა დაკავშირებოდა სახელისუფლებო შენობებისა და აპარტიდის სხვა სიმბოლოების დივერსიას. ეს თავდასხმები იქნებოდა ჩვენი ხალხის შთაგონების წყარო და უბიძგებდა მათ, მონაწილეობა მიეღოთ ისეთ არაძალადობრივ მასობრივ აქტივობებში, როგორცაა გაფიცვები. ამას გარდა, ეს გამოსავალს აპოვნინებდა იმ ხალხს, ვინც დაყინებით მოითხოვდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას და შესაძლებლობას მოგვცემდა, ჩვენი მომხრეებისთვის კონკრეტული მტკიცებულება წარგვედგინა, რომ განვავითარეთ უფრო ძლიერი მიმართულება და ვიბრძოდით ხელისუფლების ძალადობის წინააღმდეგ.

ამასთანავე, ჩვენ ვგრძნობდით, რომ თუ მასობრივი აქტივიზმი და რეპრესალები წარმატებით იქნებოდა ორგანიზებული, ეს სხვა ქვეყნებში გამოიწვევდა სოლიდარობას ჩვენი საერთო საქმის მიმართ და უფრო დიდი წნეხის ქვეშ მოაქცევდა სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებას.

ჩემო ბატონო, ასეთი იყო იმჟამინდელი გეგმა. „ერის შუბი“ აწყობდა საბოტაჟს, ხოლო მის წევრებს დასაწყისშივე მიეცათ მკაცრი ინსტრუქციები, არავითარ შემთხვევაში არ მიეყენებინათ ზიანი ან დაეხოცათ ხალხი ოპერაციების დაგეგმვისა და შესრულების დროს. ეს ინსტრუქციები განხილული იყო “X” და “Z” ჩვენებებში.

„ერის შუბის“ მიერ განხორციელებული საქმეები კონტროლდებოდა და მოემართებოდა უმაღლესი ეროვნული მთავარსარდლობიდან, რომელსაც ჰქონდა ძალაუფლება, მასში ჩარეულიყო და რომელსაც შეეძლო და ნიშნავდა კიდევ რეგიონულ მთავარსარდლობებს. უმაღლესი მთავარსარდლობა იყო ორგანო, რომელიც ადგენდა სტრატეგიებსა და სამიზნეებს და პასუხისმგებელი იყო მომზადებასა და ფინანსებზე. უმაღლესი მთავარსარდლობის გავლენის ქვეშ არსებობდა რეგიონული მთავარსარდლობები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ლოკალური დივერსიული ჯგუფების მიმართულებებზე. უმაღლესი ეროვნული მთავარსარდლობის მიერ დადგენილ ფარგლებში, რეგიონულ მთავარსარდლობებს ჰქონდათ იმ ობიექტების არჩევის შესაძლებლობა, რომლებზეც თავდასხმა უნდა განხორციელებულიყო. რაც არ უნდა ყოფილიყო, მათ არ ჰქონდათ უფლება, გასცდენოდნენ დაწესებულ ფარგლებს და ამდენად, არ ჰქონდათ უფლება, ისეთი მოქმედებები წამოეწყოთ, რომლებიც საფრთხეში ჩააგდებდა სიცოცხლეს, ან რომელიც საბოტაჟის გეგმასთან მთლიანობაში არ იქნებოდა თავსებადი. მაგალითად, „ერის შუბის“ წევრებს აკრძალული ჰქონდათ ოპერაციაში შეიარაღებული წასვლა ნებისმიერ დროს. შემთხვევით, ტერმინები „უმაღლესი მთავარსარდლობა“ და „რეგიონული მთავარსარდლობა“, გადმოიღეს ებრაული ნაციონალური იატაკქვეშა ორგანიზაციიდან — „ებრაული მიწის ნაციონალური სამხედრო ორგანიზაცია“, რომელიც ისრაელში 1944-1948 წლებში მოქმედებდა.

„ერის შუბს“ პირველი ოპერაცია 1961 წლის 16 დეკემბერს ჰქონდა, როცა განხორციელდა თავდასხმა სახელისუფლებო შენობებზე

იოჰანესბურგში, პორტ-ელისაბედსა და დურბანში. არჩეული სამიზნეები იმ პოლიტიკის დადასტურებაა, რომელზეც მე მივუთითეთ. ჩვენ რომ სიცოცხლის ხელყოფა გვქონოდა მიზნად, ისეთ შენობებს ავარჩევდით, სადაც შეკრებილი იქნებოდა ხალხი და არა ცარიელ შენობებსა და ელექტროსადგურებს. 1961 წლის 16 დეკემბრამდე განხორციელებული საბოტაჟი ეკუთვნოდა განცალკევებულ ჯგუფებს, რომელთაც „ერის შუბთან“ არაფერი აკავშირებდათ. ფაქტობრივად, ჩემო ბატონო, ზოგიერთი ეს და შემდგომი მოქმედებები სხვა ორგანიზაციებმა განახორციელეს.

ახლა, ჩემო ბატონო, ამ სტადიაზე, მსურს, მოკლედ შევეხო ზოგიერთ ამონარიდს გაზეთებიდან. ჩემი განზრახვა არაა მათი დეტალური განხილვა, არამედ მარტოოდენ მსურს მათი მოშველიება ჩემ მიერ დასმული საკითხის განმარტებისთვის, რომ 1961 წლის დეკემბრამდე, გარეუბნებსა და მთელი ქვეყნის მასშტაბით, საზოგადოდ ცნობილი იყო, რომ „ერის შუბის“ გარდა არსებობდა ორგანიზაციები, რომლებიც გეგმავდნენ და ახორციელებდნენ დივერსიულ აქტებს და რომ საბრალდებო ოქმში ასახული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ზოგიერთი აქტი, ფაქტობრივად, სხვა ორგანიზაციებს ეკუთვნის.

ჩემო ბატონო, პირველი ამონარიდი გაზეთიდან, რომელსაც მინდა შევეხო, არის 1961 წლის 22 დეკემბრის “Rand Daily Mail”. სტატია, რომელიც პირველ გვერდზე ჩნდება — სათაური, ჩემო ბატონო, შემდეგნაირად იკითხება: „ჩვენ ავაფეთქეთ ორი პილონი, აცხადებს დაჯგუფება“. და შემდეგ, ჩემო ბატონო, მსურს განვიხილო მხოლოდ ორი პასაჟი: „რემბრანდტის პარკში, იოჰანესბურგში, ოთხშაბათ საღამოს ორი მძლავრი პილონის აფეთქება, “Rand Daily Mail“-ის საშობაო ჯეკპოტის ყუთში ოთხშაბათ საღამოს ან გასულ დილით ჩაგდებულ ჩვეულებრივ ფურცელზე ნაბეჭდი დოკუმენტის მიხედვით, გათავისუფლების ეროვნულმა კომიტეტმა განახორციელა“. და შემდეგ სტატიის კიდევ ერთი პასაჟი შემდეგნაირად იკითხება: „განცხადებაში ნათქვამია, რომ „გეკ“ და „ერის შუბი“ არ არის ერთი და იგივე. დაჯგუფება პასუხისმგებლობას იღებს ამ კვირის ბოლოს განხორციელებულ ძალმომრეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი მხარს უჭერდა განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამასთან, გაცხადებული იყო, რომ „გეკ“ იყო არარასისტული“.

ეს არის პირველი ამონარიდი, რომელიც მსურს ვახსენო, თქვენო ღირსებავ. მეორე არის 1963 წლის 15 აპრილის “Rand Daily Mail”-ის ასლი, ხოლო სტატია, რომელსაც მინდა შევეხო, მეორე გვერდზეა. ის ძალიან პატარა სტატიაა, ჩემო ბატონო. მე წავიკითხავ მას: „ორმოცდასამი პირი ჩართული იყო მოლოტოვის კოქტილის ინციდენტში. ორმოცდასამ აფრიკელს ამ მომენტში აკავებს იოჰანესბურგის პოლიცია, გასულ კვირას იოჰანესბურგში, პრიტჩარდის ქუჩაზე, მოლოტოვის კოქტილით მალაზიაზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით. აფრიკელთა უმრავლესობა დააპატიმრეს იოჰანესბურგის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში. სავარაუდოდ, მათ დააშინეს ღამის დარაჯი, უთხრეს რა, რომ ტანისამოსის მიტაცება სურდათ. პოლიციამ თქვა, რომ კიდევ ხუთი აფრიკელი დააპატიმრეს ქინგ უილიამს თაუნის სიახლოვეს ქალაქის პოლიციის განყოფილებაზე თავდასხმის შემდეგ. ეს დაკავებების საერთო რაოდენობას ორმოცდაერთამდე ზრდის. აფრიკელები, რომლებიც ორი ინციდენტის შემდეგ დააპატიმრეს, სავარაუდოდ, ორგანიზაცია „პოქოს“ წევრები არიან. თუმცა მიჩნეულია, რომ „პოქოს“ წევრების ნაწილი დააპატიმრეს რიფზე და სხვა ადგილებში, გასულ საღამოს კონკრეტული რიცხვი არ დასახელებულა. პოლიცია კვლავაც აგრძელებს გამოძიებას და „პოქო“-ს ეჭვმიტანილების საბოლოო რიცხვი, რომლებიც დააპატიმრეს, ჯერჯერობით ცნობილი ვერ იქნება“.

მესამე, ჩემო ბატონო, კვლავაც 1963 წლის 9 ნოემბრის “Rand Daily Mail”-ის ასლია. უშუალოდ სტატია, ჩემო ბატონო, მეათე გვერდზეა მოცემული. თქვენი უმაღლესობა ალბათ გაიხსენებს ამ მასალას. იგი მოიხსენიებს მეორე შუამდგომლობის მტკიცებისას ბრალდების გასაბათილებლად. როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარემ მიუთითა ბ-ნი მოსამართლე ვან ჰიირდენის გადაწყვეტილებაზე, კაპლანდის პროვინციის განყოფილებიდან. ჩემო ბატონო, ამ საქმეში ბრალდებულები 1963 წლის 12 ივლისს დააპატიმრეს. მიღებული შეტყობინებისა და არსებული მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ იყო, რომ იგი 1963 წლის 12 ივლისამდე ჩაიდინეს. და ვვარაუდობ, რომ იგი საბრალდებო ოქმში ასახულ პერიოდს დაფარავს. ეს „იუ ჩი ჩანის პარტიზანული ომის კლუბს“ უკავშირდება. და ამ შეტყობინების თანახმად, მე არ წავიკითხავ მას, ჩემო ბატონო, თუმცა მხოლოდ აღვნიშნავ, ისინი გეგმავდნენ

რევოლუციასა და პარტიზანულ ომს. მსურს მივეუთითო 1962 წლის 29 ნოემბრის “Rand Daily Mail”-ის ფოტოასლზე. ჩვენ ვერ შევძელით რეალური ასლის მოტანა. და სტატია, რომელიც მინდა განვიხილო, პირველივე გვერდზე ჩნდება. კვლავ მსურს მხოლოდ ორი პასაჟის მოხმობა: „აფეთქების შემდეგ პოლიციამ მკაცრი მეთვალყურეობა დაანება. უსაფრთხოების პოლიციამ შემოავლო მჭიდრო კორდონი ესკომის მძლავრ პილონს, რომელიც ადრეული დილის საათებში ააფეთქეს და რომლითაც ზიანი მიადგა სარკინიგზო სამსახურებს ჯერმისთონსა და პრეტორიაში. პოლიციის უფროსმა წარმომადგენელმა განაცხადა: „ეჭვი არაა, რომ ეს საბოტაჟი იყო“. ხოლო უკანასკნელი აბზაცი შემდეგნაირად იკითხება: „გასულ ღამით “Rand Daily Mail”-ში დარეკა ქალბატონმა, რომელმაც განაცხადა: „ფუთფონთაინში გასულ ღამეს მომხდარი აფეთქება გათავისუფლების ეროვნულმა კომიტეტმა განახორციელა“. შემდეგ მან ყურმილი დაკიდა“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემო ბატონო, არსებობდნენ ორგანიზაციები, რომლებიც საბრალდებო ოქმში ასახული პერიოდის განმავლობაში გეგმავდნენ და ახორციელებდნენ დივერსიებს.

ამასთან, ჩემო ბატონო, ოპერაციის დაწყების დღეს განხილვის საგანი იყო „ერის შუბის“ მანიფესტი. ჩვენს მოქმედებებსა და მანიფესტზე თეთრკანიან მოსახლეობას დამახასიათებლად მრისხანე რეაქცია ჰქონდა. ხელისუფლება მკაცრი ღონისძიებებით იმუქრებოდა და თავის მხარდამჭერებს სიმტკიცისა და აფრიკელთა მოთხოვნების უარყოფისაკენ მოუწოდებდა. თეთრკანიანებმა ცვლილებების შემოთავაზება ვერ მოახერხეს; მათ ჩვენს მოწოდებას სამხედრო ბანაკებს ამოფარებით უპასუხეს.

საპირისპიროდ, აფრიკელთა პასუხი დამაჯერებელი იყო. მოულოდნელად კვლავ გაჩნდა იმედი. რალაც ხდებოდა. ქალაქის გარეუბნებში მცხოვრებნი უკვე მოუთმენლად ელოდნენ პოლიტიკურ სიახლეებს. სანყისმა წარმატებამ განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია და ხალხი უკვე ფიქრობდა, რამდენად ჩქარა მოიპოვებდნენ თავისუფლებას.

თუმცა ჩვენ, „ერის შუბში“, თეთრკანიანების პასუხი გვაშფოთებდა. ივლებოდა ხაზები, რომელთა გადაკვეთასაც არ დაუშვებდნენ. თეთრკანიანები და შავკანიანები განცალკევებულ ბანაკებში მკვიდრდებოდნენ, ხოლო სამოქალაქო ომის თავიდან აცილების შანსები მცირდებოდა. თეთრკანიანთა მხარდამჭერი გაზეთები

აქვეყნებდნენ ცნობებს, რომ საბოტაჟზე სასჯელი სიკვდილით დასჯა იქნებოდა. თუ ეს ასე იყო, როგორ შეგვეძლო აფრიკლების ტერორიზმისგან დისტანცირება?

ჩემო ბატონო, ახლა მინდა მივუბრუნდე შეკითხვას პარტიზანულ ომზე და იმაზე, თუ როგორ დაიწყო მისი გათვალისწინება. 1961 წლისთვის რასობრივი კონფლიქტის შედეგად მრავალი აფრიკელი იყო დაღუპული. 1920 წელს, როდესაც სახელოვანი ლიდერი, მასაბალალა, პორტ-ელისაბედის ციხეში ჩასვეს, პოლიციამ და თეთრკანიანმა მოქალაქეებმა დახოცეს ოცდაოთხი აფრიკელი, რომლებიც მის გათავისუფლებას ითხოვდნენ. ასზე მეტი აფრიკელი დაიღუპა ბულჰოკოში. 1924 წელს მოკლეს ორასი აფრიკელი, როდესაც სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მმართველმა გაგზავნა სამხედრო ძალები იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომელმაც ე.წ. „ძაღლების გადასახადის“ შემოღება გააპროტესტა. 1950 წლის 1 მაისს, გაფიცვის დროს, პოლიციის მხრიდან სროლის შედეგად დაიღუპა თვრამეტი ადამიანი. 1960 წლის 21 მარტს, სამოცდაცხრა შეუიარაღებელი აფრიკელი დაიღუპა შარპვილში.

კიდევ რამდენი შარპვილი იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში? და კიდევ რამდენი შარპვილის განმავლობაში შეძლებს ქვეყანა, დარჩეს ძალადობისა და ტერორის დღის წესრიგში დაყენების გარეშე. და რა ბედი ენება ჩვენს ხალხს, როდესაც ამ ფაზას მივაღწევთ? ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვგრძნობდით, რომ წარმატება აუცილებელი იყო, მაგრამ რა ფასად უნდა დაგვეჯდომოდა ეს ჩვენ და დანარჩენ ქვეყანას? და თუ ეს მოხდებოდა, როგორ შეძლებდნენ შავკანიანები და თეთრკანიანები ოდესმე კიდევ ეცხოვრათ ერთად მშვიდობასა და ჰარმონიაში? ამ პრობლემებს შევეჩხეთ ჩვენ, და ასეთი იყო ჩვენი გადწყვეტილებები.

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ წინააღმდეგობა ხელისუფლებას აძლევს ჩვენი ხალხის განურჩევლად ხოცვის შეუზღუდავ შესაძლებლობებს. მაგრამ ეს იყო სწორედ იმიტომ, რომ სამხრეთ აფრიკის მინა უკვე გაჟღენთილია უდანაშაულო აფრიკელების სისხლით და ჩვენ ვგრძნობდით ვალდებულებას, დაგვეწყო ხანგრძლივი სამზადისი, რათა ძალადობისგან თავის დასაცავად ასევე ძალა გამოგვეყენებინა. თუ ომი გარდაუვალი იქნებოდა, გვსურდა, მზად ვყოფილიყავით დროის დადგომისა და იმ ბრძოლისათვის, რომელიც ჩვენი ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე წარიმართებოდა. ბრძოლა, რომელიც გვთავაზობდა საუ-

კეთესო შანსებს, ორივე მხარეს სიცოცხლის ხელყოფის ყველაზე მცირე რისკს, პარტიზანული ომი იყო. ამისათვის, გადაწყვეტით, მომავლისთვის მზადებისას პარტიზანული ომის შესაძლებლობა გაგვეთვალისწინებინა. ყველა თეთრკანიანი სავალდებულო სამხედრო წვრთნას გადიოდა, თუმცა მსგავსი მომზადების შესაძლებლობა აფრიკელებს არ მისცემიათ. ჩვენი წარმოდგენით, არსებითად მნიშვნელოვანი იყო მებრძოლთა ბირთვის შექმნა, რომელიც შეძლებდა ხელმძღვანელობას პარტიზანული ომის დაწყების შემთხვევაში. ჩვენ უნდა მოვმზადებულიყავით მსგავსი სიტუაციისთვის, სანამ ძალიან გვიანი არ იქნებოდა სათანადო სამზადისის განევა. ასევე, აუცილებელი იყო ისეთი ბირთვის ჩამოყალიბება, რომლებიც მოემზადებოდნენ საჯარო სამსახურის სფეროსა და სხვა პროფესიებში, იმგვარად, რომ აფრიკელები აღჭურვილიყვნენ საჭირო უნარ-ჩვევებით, რათა მონაწილეობა მიეღოთ ამ ქვეყნის ხელისუფლების მართვაში რაც შეიძლება ჩქარა, როგორც კი ეს ნებადართული იქნებოდა.

ჩემო ბატონო, ამ სტადიაზე, „ანკ“-მა გადაწყვიტა, რომ მე უნდა დავსწრებოდი პანაფრიკული გათავისუფლების მოძრაობის კონფერენციას, რომელიც 1962 წელს ადის-აბეებაში უნდა გამართულიყო და ასევე, გადაწყდა, რომ კონფერენციის შემდეგ უნდა დამეწყო აფრიკული სახელმწიფოებში მოგზაურობა ჩვენი საქმიანობისთვის მხარდაჭერის დაფიქსირების მიზნით და უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი აფრიკელებისთვის სტიპენდიების მოსაპოვებლად. ამავდროულად, „ერის შუბმა“ გადაწყვიტა, რომ მე უნდა შემესწავლა, თუ რამდენად ხელსაყრელი პირობები იყო მეომრების წვრთნისათვის, რაც პარტიზანული ომისთვის მზადების პროცესში პირველ ნაწილს წარმოადგენდა. ორივე გარემოში წვრთნა იყო საჭირო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხრეთ აფრიკაში ცვლილებები მშვიდობიანი გზით განხორციელდებოდა. როგორც ახლა განვმარტე, საჭირო იყვნენ ისეთი მმართველები, რომლებიც მზად იქნებოდნენ და შეეძლებოდათ კიდევ ემართათ არარასისტული სახელმწიფო, და ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთი სახელმწიფოს არმიასა და პოლიციას გააკონტროლებდნენ. ამ განწყობით დავტოვე სამხრეთ აფრიკა და გავემგზავრე ადის-აბეებაში, როგორც „ანკ“-ის დელეგატი. ჩემი მოგზაურობა მოსალოდნელზე ბევრად წარმატებული აღმოჩნდა. სადაც წავედი, ყველგან დამხვდა თანაგრძნობა ჩვენი საქმისადმი და დახმარების პირობები. მთელი აფრი-

კა ერთიანი იყო თეთრი სამხრეთ აფრიკისადმი წინააღმდეგობის საკითხში და მე ლონდონშიც კი მივიღე დიდი სოლიდარობა პოლიტიკური ლიდერებისგან, როგორებიც არიან ბ-ნი ჰიუ გეითსკილი და ბ-ნი გრიმონდი. აფრიკაში მხარდაჭერა აღმითქვეს ისეთმა ადამიანებმა, როგორებიც არიან — ბ-ნი ჯულიუს ნაირერე, ტანგანიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი; ბ-ნი კავავა, შემდგომ ტანგანიკის პრემიერ-მინისტრი; ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე; გენერალი აბუდი, სუდანის პრეზიდენტი; ჰაბიბ ბორგება, ტუნისის პრეზიდენტი; ბენ ბელა, ალჟირის ამჟამინდელი პრეზიდენტი; მოდიბო კეიტა, მალის პრეზიდენტი; ლეოპოლდ სენჰორი, სენეგალის პრეზიდენტი; სიკაუ ტურე, გვინეის პრეზიდენტი; ლიბერიის პრეზიდენტი ტუმბანი; და მილტონ ობოტე, უგანდის პრემიერ-მინისტრი და კენეთ კაუდა ჩრდილოეთ როდეზიის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი. ბენ ბელამ მიმინვია უჯდაში, ეროვნული გათავისუფლების ალჟირის არმიის მთავარ სამმართველო ცენტრში, რაც აღვწერე ჩემს დღიურში, რომელიც ერთ-ერთი სამხილია.

მე უკვე დანყებული მქონდა ომისა და რევოლუციის შესახებ გულმოდგინე კვლევა-ძიება, როცა საზღვარგარეთ სამხედრო სწავლების მიმართულებას გავეცანი. თუ პარტიზანული ომი იქნებოდა, მსურდა ჩემი ხალხის გვერდით ვმდგარიყავი და მებრძოლა და მათთან ერთად გამეზიარებინა ომის საშიშროება. ლექციების ჩანაწერები ეთიოპიიდან და ალჟირიდან მოცემულია მტკიცებულების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებში. ასევე, წარმოდგენილია პარტიზანული ომისა და სამხედრო სტრატეგიის შესახებ წიგნების შინაარსი. მე უკვე აღვნიშნე, რომ ეს დოკუმენტები მოცემულია ჩემს ნაწერებში და ვაღიარებ, რომ გამოვიკვლიე ისინი, რათა მომეზადებინა საკუთარი თავი იმ ფუნქციის შესასრულებლად, რომლის შესრულებაც შესაძლოა დამჭირებოდა, თუ დაპირისპირება პარტიზანულ ომში გადაიზრდებოდა. ამ საკითხს ისე მივუდექი, როგორც უნდა გააკეთოს ყველა აფრიკელმა ნაციონალისტმა. მე ვიყავი სრულიად ობიექტური. სასამართლო დაინახავს, რომ ვცადე ამ საკითხზე ყველა ტიპის ავტორიტეტული წყაროს შესწავლა — აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, დანყებული კლაუზევიცის კლასიკური ნაშრომებიდან, გაგრძელებული ისეთი პირებით, როგორიცაა, ერთი მხრივ, მათ ძედუნი და ჩე გევარა და მეორე მხრივ, ბურების მეორე ომის შესახებ ნაწერები. რა თქმა უნდა, ეს ჩანაწერები, ჩემო ბატონო, ჩემ მიერ ნაკითხული წიგნების მხოლოდ

შინაარსია და ჩემს პირად ხედვებს არ შეიცავს. მე, ასევე, განვახორციელე ღონისძიებები ჩვენი ახალწვეულებისთვის, რათა მათ სამხედრო მომზადება გაეწყოთ. მაგრამ აქ, ჩემო ბატონო, შეუძლებელი იყო რაიმე გეგმის ორგანიზება „ანკ“-ის აფრიკულ ოფისებთან თანამშრომლობის გარეშე. სწორედ ამიტომ, მივიღე „ანკ“-ის ნებართვა სამხრეთ აფრიკაში ამის გასაკეთებლად. ამ მოცულობით, შესაბამისად, „ანკ“-მა გადაუხვია თავდაპირველ გეგმას, რომ იგი არ მიიღებდა მონაწილეობას ბრძოლის ძალადობრივი მეთოდებით წარმართვაში, მაგრამ ის გამოიყენებოდა მხოლოდ სამხრეთ აფრიკის მიღმა. ახალწვეულთა პირველი ჯგუფი ნამდვილად ჩავიდა ტანგანიკაში, როდესაც მე შევჩერდი ამ ქვეყანაში სამხრეთ აფრიკაში დაბრუნების გზაზე.

დავბრუნდი სამხრეთ აფრიკაში და მოვუყევი ჩემს კოლეგებს მოგზაურობის შესახებ. დაბრუნების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ პოლიტიკურ სცენაზე მცირედი ცვლილება მომხდარიყო იმ კუთხით, რომ საბოტაჟისთვის სიკვდილით დასჯის მუქარა უკვე ფაქტი გამხდარიყო. „ერის შუბში“ ჩემი კოლეგების დამოკიდებულება ისეთივე იყო, როგორც ჩემს წასვლამდე. ისინი საკუთარ გზას ფრთხილად აფასებდნენ და გრძნობდნენ, რომ დიდი დრო იქნებოდა საჭირო, სანამ საბოტაჟის ალბათობა გაქრებოდა. თავისი დამოკიდებულება არც „ანკ“-ს შეუცვლია. ფაქტობრივად, ჩემო ბატონო, ზოგიერთმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ახალწვეულების მომზადება ნაადრევი იყო. ეს მე ჩანერილი მაქვს დოკუმენტში, რომელიც არის სამხილი R14, რომლებიც სხვების მიერ გაკეთებული ძალიან უხეშად დაუმუშავებელი კომენტარების ჩანაწერებია ჩემს მოხსენებაზე სრული დისკუსიის შემდეგ, თუმცა, საბოლოოდ გადაწყდა სამხედრო წვრთნის გეგმის მიხედვით მოქმედება იმ ფაქტის გამო, რომ პარტიზანული კამპანიის დასაწყებად საჭირო, საფუძვლიანად მომზადებული მებრძოლების ბირთვის ჩამოყალიბება დიდ დროს წაიღებდა, და რაც არ უნდა მომხდარიყო, სწავლება გარკვეული მნიშვნელობისა იქნებოდა.

ახლა მინდა შევეხო გარკვეულ საკითხებს მოწმე “X”-ის ჩვენებიდან. უშუალოდ ჩემს დაპატიმრებამდე, 1962 წლის აგვისტოში, მე დურბანში შევხვდი რეგიონული მთავარსარდლობის წევრებს. ეს შეხვედრა ასახულია “X”-ის ჩვენებაში. განმარტებებიდან ბევრი რამ არსებითად სწორია, მაგრამ, ასევე, ბევრი რამაა დამახინჯებული და არაობიექტური და ზოგიერთ მნიშვნელოვან შემ-

თხვევაში — აშკარად არასარწმუნო. მინდა, რაც შეიძლება მოკლედ შევუხებო ჩვენებას.

a) მე ვუთხარი მათ, რომ ქვეყანა ერთი წლის წინ დავტოვე, რათა დავსწრებოდი “PAFMECSA”-ის კონფერენციას, რომ კონფერენცია გახსნა ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიემ, რომელმაც გააკრიტიკა სამხრეთ აფრიკის ხელისუფლების რასისტული პოლიტიკა და რომელმაც მხარდაჭერა აღუთქვა აფრიკელ ხალხს ამ ქვეყანაში. მე, ასევე, მივანოდე მათ ინფორმაცია მხარდაჭერის დაპირების თაობაზე და ერთსულოვანი რეზოლუციის შესახებ, რომელიც აფრიკელი ხალხის მიმართ სასტიკ მოპყრობას გმობდა. მე ვუთხარი მათ, რომ იმპერატორმა გულმხურვალე მოკითხვა დამაბარა ჩემს ლიდერ, მეთაურ ლუთულისთან;

b) მაგრამ მე არასდროს მითქვამს მათთვის განელებისა და სამხრეთ აფრიკელი ახალწვეულების შედარების შესახებ და ვერც გავაკეთებდი ამას მარტივი მიზეზების გამო. იმ დროისთვის, როცა მე ეთიოპია დავტოვე, პირველ აფრიკელ ახალწვეულთა ჯგუფს ჯერ არ მიეღწია იმ ქვეყანამდე. და განელმა ჯარისკაცებმა, რამდენადაც მე ვიცი, სამხედრო მომზადება დიდ ბრიტანეთში გაიარეს. ეს არის ფაქტი და ჩემი ახსნა, — მე არც კი შემეძლო მეფიქრა რეგიონული მთავარსარდლობისთვის იმის თქმა, რომ ეთიოპიის იმპერატორი ფიქრობდა, ჩვენი მომსახურეები უკეთესები იყვნენ ვიდრე განელები;

c) შესაბამისად, ეს განცხადებები აშკარად მოიგონეს მანამ, სანამ ამაზე “X” ისაუბრებდა, იმ განზრახვით, რომ მცდარი სურათი შექმნილიყო;

d) მე მოვახსენე მათ ეთიოპიასა და აფრიკის სხვა ნაწილებში მიღებული ფინანსური მხარდაჭერის შესახებ. რასაკვირველია, არ მითქვამს, თითქოს კონკრეტული აფრიკული სახელმწიფოები დაგვიპირდნენ თავიანთი ბიუჯეტის ერთი პროცენტის შემოწირვას. ერთი პროცენტის შემოწირვის წინადადებები არასდროს წამოწეულა ჩემი ვიზიტის განმავლობაში. რამდენადაც მე ვიცი, პირველად ეს მოხდა კონფერენციაზე 1963 წლის მაისში, იმ დროს, როცა მე უკვე ათი თვე ციხეში ვიყავი;

e) მიუხედავად “X”-ის მიერ ამის საეჭვოდ დავინწყებისა, მე ვისაუბრე ეთიოპიაში დაპირებული სტიპენდიების თაობაზე. ჩვენი

ხალხისთვის მსგავსი ზოგადი განათლების მიღება, როგორც აღვნიშნე, ჩვენი გეგმის მნიშვნელოვანი ასპექტი იყო;

ფ) მე მათ ვუთხარი, რომ ვიმოგზაურე აფრიკის მასშტაბით და მიმიღეს სახელმწიფოს მეთაურებმა და დავასახელე ყველა მათგანი. მე, ასევე, მათ ვუთხარი პრეზიდენტ ბენ ბელას მიპატიჟების შესახებ ოჯდაში, სადაც შევხვდი ალჟირის არმიის ოფიცრებს, მათი უმაღლესი მთავარსარდლის, პოლკოვანის ბოუმედიენის ჩათვლით. ასევე, ვთქვი, რომ ალჟირლები დაგვპირდნენ ხელშეწყობას წვრთნასა და შეიარაღებაში. მაგრამ მე, რა თქმა უნდა, არ მითქვამს, რომ მათ უნდა დაეძალათ ფაქტი თავიანთი კომუნისტობის შესახებ, რადგან არც ვიცოდი, ისინი კომუნისტები იყვნენ თუ არა. რაც მე ვთქვი იყო ის, რომ არცერთ კომუნისტს არ უნდა გამოეყენებინა საკუთარი პოზიცია „ერის შუბში“ კომუნიზმის პროპაგანდისთვის, არც სამხრეთ აფრიკაში ან მის საზღვრებს გარეთ, რადგან ერთიანობის მიზანი არსებითი იყო თავისუფლების მისაღწევად. ჩვენი მიზანი იყო ხმის მიცემის უფლების მოპოვება ყველასთვის და ამ საფუძველზე შეგვეძლო მიგვემართა ნებისმიერი სოციალური ჯგუფისთვის სამხრეთ აფრიკაში და გვექონოდა აფრიკული სახელმწიფოებიდან მაქსიმალური მხარდაჭერის მოლოდინი. “X” უარყოფს, რომ მე სხვა არაფერზე შემეძლო სიტყვის თქმა, გარდა ნამდვილი მიზნისა და არც შეიძლებოდა არსებულიყო რაიმე შესაძლო მიზეზი ამის დასამალად;

გ) ამავე კონტექსტში იყო, რომ მე ვისაუბრე “New Age”-სა და მათ კრიტიკაზე ეგვიპტის ხელისუფლების მიმართ. ეგვიპტეში ჩემს ვიზიტზე მსჯელობისას ვთქვი, რომ ვიზიტი მარშალ ტიტოსას დაემთხვა და რომ არ შემეძლო მომეცადა მანამ, სანამ გენერალ ნასერს ექნებოდა დრო ჩემთან სასაუბროდ. ვთქვი, რომ ის ოფიციალური პირები, რომლთაც ვესაუბრე, გამოხატავდნენ კრიტიკას “New Age”-ში გამოქვეყნებულ იმ სტატიებზე, რომლებიც შეეხებოდა გენერალ ნასერის თავდასხმებს კომუნიზმზე. მაგრამ მე მათ ვუთხარი, რომ “New Age” გარდაუვლად არ გამოხატავს ჩვენი მოძრაობის პოლიტიკას და რომ მე ამ საკითხს “New Age”-თან განვიხილავ და ვეცდები და გამოვიყენებ ჩემ გავლენას მათი ხაზის შესაცვლელად, რადგან ჩვენი ფუნქცია არ იყო იმის თქმა, თუ რა საშუალებით უნდა მიაღწიოს რომელიმე ქვეყანამ თავისუფლებას;

h) მე ვუთხარი რეგიონულ კომიტეტს, რომ არ ვწვეულებარ კუბას, მაგრამ შევხვდი ამ ქვეყნის ელჩებს ეგვიპტეში, მაროკოსა და განანაში. მე ვისაუბრე იმ თბილ დამოკიდებულებაზე, რომელიც ამ საელჩოებში მივიღე და რომ ჩვენ მივიღეთ შემოთავაზება ყველა ფორმით დახმარებაზე, ახალგაზრდების სტიპენდიების ჩათვლით. თეთრკანიან და აზიელ ახალწვეულებთან არსებულ შეკითხვასთან დაკავშირებით, მე ვთქვი, რომ რამდენადაც კუბა იყო მულტირასობრივი სახელმწიფო, ლოგიკური იქნებოდა ასეთი ადამიანების ამ ქვეყანაში გაგზავნა, რამდენადაც ეს ახალწვეულები იქ უფრო მარტივად შეეგუებოდნენ, ვიდრე შავკანიან ჯარისკაცებთან ერთად აფრიკულ სახელმწიფოებში;

i) მაგრამ მე შეხვედრავ ანასდროს მისაუბრია ერიკ მთშალისთან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ ვიცოდი მის შესახებ, სანამ “X” არ ახსენებდა მის სახელს ამ საქმეში. აფრიკის კონტინენტის მოვლის შემდეგ, ტანგანიკაში დაბრუნებისას, შევხვდი დაახლოებით ოცდაათ აფრიკელ ახალგაზრდას, რომლებიც ეთიოპიაში მოსამზადებლად მიდიოდნენ. ვუსურვე მათ დისციპლინა და კარგი ხასიათი საზღვარგარეთ. შესაძლოა ერიკ მთშალი ყოფილიყო ამ ახალგაზრდებს შორის, მაგრამ ნებისმიერ შემხვევაში, თუ იყო, ეს უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ იგი ესტუმრებოდა რომელიმე აფრიკულ ქვეყანას, გარდა ტანგანიკისა. და ტანგანიკაში მას არ მოუწევდა შიმშილი ან რთულ მდგომარეობაში ყოფნა, რამდენადაც იქ არსებული ჩვენი ოფისი იზრუნებდა მასზე. აბსურდი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სამხრეთ აფრიკული ოფისი დარ-ეს-სალამში განსხვავებულად მოეპყრობოდა მას იმ საფუძვლით, რომ იგი კომუნისტი იყო;

j) რა თქმა უნდა, ვახსენე „ერის შუბი“, მაგრამ არ შეიძლება მართებული იყოს იმის თქმა, რომ მათ ჩემგან გაიგეს პირველად, რომ ეს იყო სახელი, ან რომ ის იყო „ანკ“-ის შეიარაღებული ფრთა — ფრაზა, რომელიც ხშირად გამოიყენება ბრალდების მხარის მიერ. 1961 წლის 16 დეკემბერს „ერის შუბმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რითაც ორგანიზაციის არსებობის შესახებ იტყობინებოდა და მისი სახელი ცნობილი იყო ამ შეხვედრის დადგომამდე შვიდი თვის განმავლობაში. და მე, რა თქმა უნდა, ანასდროს მომიხსენიებია ის, როგორც „ანკ“-ის შეიარაღებული ფრთა. მას ყოველთვის განვიხილავდი, როგორც განცალკევებულ ორგანიზაციას და მის ასეთად შენარჩუნებას ვცდილობდი;

კ) მე მათ ვუთხარი, რომ „ერის შუბის“ მოქმედებები შესაძლოა ორი მიმართულებით განვითარებულიყო, სახელდობრ: დივერსიული აქტები და შესაძლო პარტიზანული ომი, თუ ეს აუცილებელი გახდებოდა. მე ორივე მიმართულების პრობლემები განვიხილე, მაგრამ არ მითქვამს, რომ ხალხი იკვლევდა პარტიზანული ომისთვის შესაფერის ადგილებს, რადგან იმ დროს მსგავსი რამ არ კეთდებოდა. მე ხაზს ვუსვამდი, როგორც მან თქვა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ისტორიის შესწავლა — ჩვენი საკუთარი ისტორიის და ჩვენი საკუთარი მდგომარეობისა. რა თქმა უნდა, ასევე, უნდა გამოგვეკვლია სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. და ამის კეთებისას, უნდა შეგვესწავლა არა მხოლოდ ის შემთხვევები, როცა რევოლუციებმა გაიმარჯვა, არამედ ისეთი შემთხვევებიც, როცა რევოლუციები ჩაახშეს. მაგრამ მე არ განმიხილავს აღმოსავლეთ გერმანიაში ხალხის სწავლების პროცესი, როგორც ამას “X” ამტკიცებს;

1) მე არ წარმიდგენია რაიმე ფოტოსურათი “Spark”-ში ან “New Age”-ში, როგორც “X” ირწმუნება. ეს ფოტოები მხოლოდ 1963 წლის 21 თებერვალს გამოქვეყნდა, მას შემდეგ, რაც ციხეში ჩამსვეს. სანამ “X”-ის ჩვენებას შევეხები, მსურს ერთი ფაქტი ვახსენო. “X”-მა თქვა, რომ საბოტაჟი, რომელიც 1962 წლის 15 ოქტომბერს ჩაიდინეს, ჩემი დამნაშავედ ცნობის გასაპროტესტებლად განხორციელდა და მსგავსი საბოტაჟის განხორციელების გადანყვეტილება მიიღეს დამნაშავედ ცნობის დროსა და მსჯავრდების დროს შორის. მან, ასევე, თქვა, რომ საბოტაჟი რამდენიმე დღით გადადეს, რადგან იფიქრეს, რომ პოლიცია ფხიზლად იქნებოდა ჩემთვის მსჯავრის დადების დღეს. ეს ყველაფერი მცდარი უნდა იყოს. ჩემო ბატონო, მე დამნაშავედ მცნეს 1962 წლის 7 ნოემბერს და იმავე დღეს მომისაჯეს ხუთწლიანი პატიმრობა კატორღულ სამუშაოსთან ერთად. მაშასადამე, 1962 წლის ოქტომბრის საბოტაჟს არანაირი საერთო არ უნდა ჰქონოდა ჩემ დამნაშავედ ცნობასა და მსჯავრდებასთან.

ჩემო ბატონო, ახლა მინდა შევასწორო გარკვეული ზოგადი განცხადებები, რომლებიც ამ საქმეში ბრალდების მხარემ გააკეთა. თუმცა სანამ ასე მოვიქცევი, მსურს, დავუბრუნდე კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებზეც მოწმეებმა ისაუბრეს, რომ პორტელისაბედსა და ისთ-ლონდონში მოხდა. ვგულისხმობ პროსახელისუფლებო ადამიანების კერძო სახლების აფეთქებას დეკემბრის განმავლობაში, სექტემბრის განმავლობაში, 1962 წლის ოქტომბერსა

და ნოემბერში. არ ვიცი რით ამართლებდნენ ამ მოქმედებებს, ან რამ გამოიწვია ისინი, მაგრამ თუ ჩემს მიერ აქამდე ნათქვამი მიღებულ-ლია, მაშინ ნათელია, რომ ამ მოქმედებებს არაფერი ჰქონდათ საერთო იმ პოლიტიკასთან, რასაც „ერის შუბი“ ახორციელებდა. ერთ-ერთი მთავარი მტკიცება საბრალდებო ოქმში არის, რომ „ანკ“ იყო საბოტაჟის განხორციელების, საერთო შეთქმულების მონაწილე. მე უკვე განვმარტე არა მარტო ის, თუ რატომაა ეს მცდარი, არამედ ის, თუ როგორ ხდებოდა გარეშე მხრიდან „ანკ“-ის მიერ თავდაპირველად დასახული მიზნიდან გადახვევა. ჩემო ბატონო, რა თქმა უნდა, ასევე იყო ფუნქციებიდან გადახვევა შიგნიდანაც, რადგან არსებობს განსხვავება საკომიტეტო ოთახში მიღებულ რეზოლუციასა და იმ სირთულეებს შორის, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის ველზე წარმოიშვება. უფრო მოგვიანებით, დამოკიდებულებაზე გავლენა მოახდინა აკრძალვებმა, შინა-პატიმრობებმა და ადამიანებმა, რომლებიც ქვეყანას ტოვებდნენ, რათა პოლიტიკური საქმიანობა საზღვარგარეთ ეწარმოებინათ. ამან ცალკეულ პირებს განსხვავებულად მუშაობისკენ უბიძგა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამას შესაძლოა გაურკვეველი გაეხადა განსხვავება „ერის შუბსა“ და „ანკ“-ს შორის, ის არავითარ შემთხვევაში არ გააქრობდა განსხვავებას. დიდი ძალისხმევა გაიღეს, რათა სამხრეთ აფრიკაში შენარჩუნებულიყო განსხვავება ორი ორგანიზაციის საქმიანობაში. „ანკ“ დარჩა მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად აფრიკელებისთვის, რომლებიც აგრძელებდნენ პოლიტიკური საქმიანობის იმ ფორმას, რასაც 1961 წლამდე მიყვებოდნენ. „ერის შუბი“ დარჩა პატარა ორგანიზაციად, რომელიც იმატებდა წევრებს სხვადასხვა რასიდან და ორგანიზაციებიდან და საკუთარი ცალკეული მიზნების მიღწევას ცდილობდა. ის ფაქტი, რომ „ერის შუბის“ წევრები „ანკ“-დან მოდიოდნენ და ფაქტი, რომ ემსახურებოდნენ ორივე ორგანიზაციას ადამიანები, როგორც სალომონ მბანჯვა, ჩვენი აზრით, არ ცვლიდა „ანკ“-ის არსს და მის პოლიტიკას ძალადობრივ ხასიათს არ სძენდა. მიუხედავად ამისა, თანამდებობის პირების მსგავსი გადაკვეთა უფრო მეტად გამოწვეული იყო, ვიდრე წესი. სწორედ ამიტომ, ჩემო ბატონო, რომ ადამიანები, როგორებიცაა “X” და “Z”, რომლებიც იყვნენ მათი სამეთვალყურეო არელების რეგიონულ მთავარსარდლობაში, მონაწილეობას არ იღებდნენ „ანკ“-ის რომელიმე კომიტეტის საქმიანობაში ან მოქმედებებში, და თუ რატომ ვერ გაიგეს საბოტაჟის

შესახებ „ანკ“-ის შეხვედრებზე ისეთმა ადამიანებმა, როგორებიც ბენელ მაშიანე და რეჯინალდ ენდიუბია.

კიდევ ერთი უსაფუძვლო განცხადება საბრალდებო ოქმში არის ის, თითქოს რივონია იყო „ერის შუბის“ სამეთაურო ცენტრი. იმ დროს, როცა მე იქ ვიყავი, ასე არ იყო. რა თქმა უნდა, მითხრეს და ვიცოდი, რომ იქ კომუნისტური პარტიის გარკვეული მოქმედებები ხორციელდებოდა, მაგრამ ეს არ იყო მიზეზი, როგორც ახლა განვმარტავ, რატომაც მე იმ ადგილს არ ვიყენებდი. იქ შემდეგ-ნაირად მოვხვდი:

a) როგორც უკვე აღინიშნა, ადრეული 1961 წლის აპრილში იატაკქვეშ გადავინაცვლე, რათა მაისის საყოველთაო გაფიცვისათვის ორგანიზება გამეწია. ჩემი სამუშაო მოიცავდა ქვეყნის გარშემო მოგზაურობას, ცხოვრებას აფრიკულ გარეუბნებში, შემდეგ სოფლებში და კვლავ ქალაქებში. წლის მეორე ნახევრის განმავლობაში მე ვსტუმრობდი ბ-ნ არტურ გოლდრიხის სახლს პარკთაუნში, სადაც საიდუმლოდ ვხვდებოდი ჩემს ოჯახს. მიუხედავად იმისა, რომ არ მქონდა პირდაპირი პოლიტიკური კავშირი მასთან, მე ვიცნობდი ბ-ნ გოლდრიხს საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან 1958 წლიდან;

b) ოქტომბერში ბ-ნმა გოლდრიხმა მაცნობა, რომ ის ქალაქიდან მიდიოდა და შემომთავაზა იქ საიდუმლო ადგილი. რამდენიმე დღის შემდეგ, იგი შეხვდა ბ-ნ მაიკლ ჰარმელს, შეთქმულების კიდევ ერთ თანამონაწილეს ამ საქმეში, რივონიაში ჩემ წასაყვანად. მე, ბუნებრივია, რივონია იდეალურ ადგილად მივიჩნიე იმ კაცისთვის, ვინც კანონგარეშედ იყო გამოცხადებული. იმ დრომდე, იძულებული ვიყავი, დღის განმავლობაში სახლიდან არ გამოვსულიყავი და მხოლოდ სიბნელის ჟამს მემოქმედა. თუმცა ლილიზლიფში განსხვავებულად ცხოვრების და ბევრად უფრო რაციონალურად მუშაობის შესაძლებლობა მომეცა;

c) ცხადი მიზეზების გამო, მომიწია შენიღბვა და დავირქვე ყალბი პირობითი სახელი — დევიდი. დეკემბერში, ასევე, გადმოვიდნენ ბ-ნი გოლდრიხი და მისი ოჯახი. ჩემო ბატონო, იქ ვიმყოფებოდი მანამ, სანამ 1962 წლის 11 იანვარს საზღვარგარეთ წავიდოდი. როგორც უკვე აღინიშნა, დავბრუნდი 1962 წლის ივლისში და დამაპატიმრეს 5 აგვისტოს ნათალში;

d) ჩემს დაპატიმრებამდე ლილიზლიფის მამული არც „ერის შუბის“ და არც „აფრიკის ნაციონალური კონგრესის“ შტაბ-ბინა არ

ყოფილა. ჩემს გარდა იქ არ ცხოვრობდა ორგანიზაციების არცერთი ხელმძღვანელი ან წევრი, არ იმართებოდა მმართველი ორგანოების შეხვედრები და არცერთი მოქმედება, რომელიც მათთან იყო დაკავშირებული, ორგანიზება არ განეულა და არც მოემართებოდა იქიდან. ლილიზლიფის მამულში ჩემი ყოფნისას, არაერთხელ შევხვედი როგორც „ანკ“-ის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე უმაღლეს ეროვნულ მთავარსარდლობას, მაგრამ ეს შეხვედრები იმართებოდა სხვაგან და არა მამულში;

ე) ლილიზლიფის მამულში ყოფნისას ხშირად მივდიოდი ბ-ნ გოლდრიხთან მთავარ სახლში და ისიც მესტუმრებოდა ხოლმე ჩემს ოთახში. ჩვენ გვექონდა მრავალი პოლიტიკური დისკუსია სხვადასხვა თემაზე. განვიხილავდით იდეოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებს, კონგრესის ალიანსს, „ერის შუბს“ და მათ მოქმედებებს ზოგადად და მისი, როგორც ჯარისკაცის, გამოცდილებას პალმასში, ჰაგანას შეიარაღებულ ფრთაში. ჰაგანა იყო პალესტინაში ებრაელთა ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანო.

ფ) იმის გათვალისწინებით, რაც მე ბ-ნი გოლდრიხის შესახებ ვიცოდი, სამხრეთ აფრიკაში დაბრუნებისას გავეცი რეკომენდაცია, რომ იგი განეწვერიანებულიყო „ერის შუბში“. პირადად მე არ მაქვს ინფორმაცია, განხორციელდა თუ არა ეს;

გ) სანამ აფრიკაში მოგზაურობას დავიწყებდი, „ჩვენება A“-ს მიხედვით, მე მეთორმეტე ოთახში ვცხოვრობდი. დაბრუნებისას, 1962 წლის ივლისში, ვცხოვრობდი ჩალით გადახურულ კოტიჯში. ჯოსეფ მაშეფეინის ჩვენება, რომ ვცხოვრობდი მეთორმეტე ოთახში იმ პერიოდში, როცა ის იქ იყო, მამულში, მცდარია.

ბრალდების მხარე, ასევე, ამტკიცებს, რომ „ანკ“-ისა და კომუნისტური პარტიის მიზნები ერთი და იგივეა. მსურს, ვისაუბრო ამაზე და ჩემს პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე. „ანკ“-თან მიმართებით მტკიცება მცდარია. ეს არის ძველი განცხადება, რომელიც ვერ დამტკიცდა სახელმწიფო ღალატის პროცესზე და რომელმაც კვლავ იჩინა თავი. მაგრამ, რამდენადაც კიდევ ერთხელ განაცხადეს, მეც განვიხილავ მას „ანკ“-ისა და კომუნისტური პარტიის და „ერის შუბისა“ და ამ პარტიის კავშირში.

„ანკ“-ის იდეოლოგიური მრწამსი არის და ყოველთვის იყო აფრიკული ნაციონალიზმი. ეს არ არის აფრიკული ნაციონალიზმის ის იდეა, რომელიც გამოიხატება მონოდებაში — „გადაყარეთ თეთრკანიანები წყალში“. აფრიკული ნაციონალიზმი, რომელსაც „ანკ“

უჭერს მხარს, არის აფრიკელი ხალხისთვის საკუთარ მიწაზე თავისუფლების იდეის სრულყოფა. „ანკ“-ის მიერ ოდესმე მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი „თავისუფლების ქარტიაა“. იგი არავითარ შემთხვევაში არ არის სოციალისტური სახელმწიფოს პროექტი. ის მოითხოვს მიწის რედისტრიბუციას და არა ნაციონალიზაციას; ის ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის, ბანკებისა და მონოპოლიური ინდუსტრიების ნაციონალიზაციას, რადგან მონოპოლიები, მსხვილი მონოპოლიები, კონკრეტული რასის კუთვნილება და ნაციონალიზაციის გარეშე რასობრივი დომინაცია უკვდავყოფილი იქნება, პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელების მიუხედავად. უშედეგო იქნებოდა აფრიკელების სანინალმდეგო „ოქროს კანონის“ აკრძალვების გაუქმება, როცა მთელი ოქროს საბადოები ევროპული კომპანიების საკუთრებაა. ამ მხრივ, „ანკ“-ის პოლიტიკა შეესატყვისება თანამედროვე ნაციონალისტური პარტიის ძველ პოლიტიკას, რომელსაც, წლების განმავლობაში, საკუთარი პროგრამის ნაწილად ჰქონდა ოქროს საბადოების ნაციონალიზაცია, რომელიც იმ დროს უცხოური კაპიტალის მიერ კონტროლდებოდა. „თავისუფლების ქარტიის“ შესაბამისად, ნაციონალიზაცია განხორციელდებოდა კერძო მენარმეობაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში. „თავისუფლების ქარტიის“ რეალიზება გახსნიდა ახალ შესაძლებლობებს აფრიკული მოსახლეობის ყველა კლასისთვის, საშუალო კლასის ჩათვლით. „ანკ“ თავისი ისტორიის არცერთ პერიოდში იყო ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში რევოლუციური ცვლილების მომხრე და რამდენადაც მე მახსოვს, მას კაპიტალისტური საზოგადოება არასდროს დაუგმია.

რამდენადაც საქმე კომუნისტურ პარტიას ეხება და თუ მე მათი პოლიტიკა სწორად მესმის, იგი მხარს უჭერს მარქსიზმის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ის მზადაა იმუშაოს „თავისუფლების ქარტიისთვის“, როგორც თეთრკანიანთა ბატონობით გამოწვეული პრობლემების მოკლევადიანი გადაჭრის გზისთვის, იგი „თავისუფლების ქარტიას“ საკუთარი პროგრამის დასაწყისად განიხილავს და არა დასასრულად.

„ანკ“, კომუნისტური პარტიისგან განსხვავებით, წევრებად მხოლოდ აფრიკელებს იღებდა. მისი მთავარი მიზანი იყო და არის აფრიკელი ხალხისთვის ერთიანობისა და სრული პოლიტიკური უფლებების მოპოვება. მეორე მხრივ, კომუნისტური პარტიის ძი-

რითადი ამოცანა იყო კაპიტალისტური სისტემის დამხობა და მისი შეცვლა მუშათა კლასის მმართველობით. კომუნისტური პარტია ცდილობდა კლასობრივი განსხვავებულობისთვის ხაზგასმას მაშინ, როცა „ანკ“ მათ ჰარმონიზებას ცდილობს. ესაა, ჩემო ბატონო, არსებითი განსხვავება.

სიმართლეა, რომ „ანკ“ და კომუნისტური პარტია ხშირად თანამშრომლობდა. თუმცა თანამშრომლობა არის მხოლოდ საერთო მიზნის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი — ამ შემთხვევაში თეთრკანიანთა ბატონობის აღმოფხვრა — და არა ინტერესთა სრული ერთობის მტკიცებულება.

ჩემო ბატონო, მსოფლიოს ისტორია სავსეა მსგავსი მაგალითებით. შესაძლოა ყველაზე თვალშისაცემი ილუსტრაცია იყოს დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ჰიტლერის წინააღმდეგ. მხოლოდ ჰიტლერი თუ გაბედავდა იმის თქმას, რომ ამგვარი თანამშრომლობა ჩერჩილს ან რუზველტს კომუნისტებად ან კომუნისტების იარაღად გადააქცევდა, ან რომ ბრიტანეთი და ამერიკა ცდილობდნენ მსოფლიო კომუნიზმისკენ წაეყვანათ.

ჩემო ბატონო, ეს მაგალითები იმიტომ მომყავს, რომ ისინი დაკავშირებულია იმ განცხადებასთან, თითქოს ჩვენი საბოტაჟი იყო კომუნისტური შეთქმულების ნაყოფი, ანდა ე.წ. აგიტატორების ნამოქმედარი. იმიტომ, რომ, ჩემო ბატონო, მსგავსი თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითი სწორედ „ერის შუბში“ მოიპოვება. „ერის შუბის“ დაარსებიდან მალევე, რამდენიმე წევრმა შემატყობინა, რომ კომუნისტური პარტია მხარს დაუჭერდა „ერის შუბს“, რაც შემდეგ გამოვლინდა კიდევ. ბოლო პერიოდში მხარდაჭერა ღიად დაფიქსირდა.

მჯერა, კომუნისტები ყოველთვის აქტიურ როლს თამაშობდნენ კოლონიური სახელმწიფოების წინააღმდეგ თავისუფლებისთვის ბრძოლაში, რადგან კომუნიზმის მოკლევადიანი მიზნები ყოველთვის შეესატყვისება გამათავისუფლებელი მოძრაობების გრძელვადიან მიზნებს. ამგვარად, ჩემო ბატონო, კომუნისტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მალიში, ალჟირსა და ინდონეზიაში თავისუფლებისთვის მიმდინარე ბრძოლებში, ამასთან, არცერთი ეს სახელმწიფო დღეს კომუნისტური არაა. ამის მსგავსად, კომუნისტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გასული მსოფლიო ომის პერიოდში ევროპაში გავრცელებულ იატაკქვეშა წინააღმდეგობის მოძ-

რაობებში. გენერალი ჩან კაი-შიც კი, რომელიც დღესდღეობით კომუნისტების ერთ-ერთი მძვინვარე მტერია, კომუნისტებთან ერთად იბრძოდა მმართველი კლასის წინააღმდეგ იმ დაპირისპირებაში, რომელიც წარუძღვა მას ძალაუფლების მოპოვებისკენ 1930-იანი წლების ჩინეთში.

კომუნისტებსა და არაკომუნისტებს შორის თანამშრომლობის ეს ნიმუში განმეორდა სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კომუნისტური პარტიის აკრძალვამდე, კომუნისტური პარტიისა და კონგრესის მოძრაობების ერთობლივი კამპანიები მიღებული პრაქტიკა იყო. აფრიკელ კომუნისტებს შეეძლოთ და ხდებოდნენ კიდევ „ანკ“-ის წევრები, ზოგიერთი მათგანი კი მსახურობდა ნაციონალურ, პროვინციულ და ადგილობრივ კომიტეტებში. მათ შორის, ვინც უმაღლეს ორგანოებში მსახურობდა, არიან ალბერტ ნზულა, კომუნისტური პარტიის ყოფილი მდივანი, კიდევ ერთი ყოფილი მდივანი ედვინ მოფათსანიამა და ჯ.ბ. მარკსი, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრი.

მე 1944 წელს გავწევრიანდი „ანკ“-ში და 1952 წელს გავხდი ტრანსვაალის პრეზიდენტი და „ანკ“-ის ვიცე-პრეზიდენტი. სანყის პერიოდში მივიჩნევდი, რომ „ანკ“-ში კომუნისტების მიღების პოლიტიკა და ახლო თანამშრომლობა, რომელიც დროდადრო არსებობდა „ანკ“-სა და კომუნისტურ პარტიას შორის ცალკეულ საკითხებზე, აფრიკული ნაციონალიზმის იდეას დააკნინებდა. იმ დროს, მე ვიყავი „აფრიკის ნაციონალური კონგრესის“ ახალგაზრდული ლიგის წევრი და ერთ-ერთი იმ ჯგუფიდან, რომელიც კომუნისტების „ანკ“-დან გაშვებას მოითხოვდა. ეს წინადადება ცალსახად უარყვეს, ხოლო ისინი, ვინც ამ შეთავაზების წინააღმდეგ მისცეს ხმა, აფრიკული პოლიტიკური აზრის ზოგიერთი ყველაზე კონსერვატიული მიმართულება იყო. მათ ეს პოლიტიკა იმ საფუძვლით გაამართლეს, რომ დასაწყისიდანვე „ანკ“ ჩამოყალიბდა და განვითარდა არა როგორც პოლიტიკური პარტია, რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური მოძღვრებით, არამედ როგორც აფრიკელი ხალხის პარლამენტი, რომელიც ერთად შეკრებდა სხვადასხვა პოლიტიკური აზრის მქონე ხალხს იმ რწმენით, რომ ისინი ეროვნული გათავისუფლების საერთო მიზნის გარშემო გაერთიანდებოდნენ. საბოლოოდ, მეც ამ მოსაზრებისკენ გადავიხარე და დღემდე ამ აზრზე ვრჩები.

შესაძლოა, რთულია თეთრკანიანი სამხრეთ აფრიკელებისთვის, რომელთა შორისაც მყარადაა ფესვგადგმული კომუნიზმის საწინააღმდეგო დამოკიდებულება, იმის გაგება, თუ როგორ მიიღეს გამოცდილმა აფრიკელმა პოლიტიკოსებმა ასე მარტივად კომუნისტები თავიანთ მეგობრებად. მაგრამ ჩვენთვის მიზეზი აშკარაა. თეორიული აზრთა სხვადასხვაობები მათ შორის, ვინც ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძვის, ფუფუნებაა, რომელზეც ვერც კი ვიოცნებეთ. ამასთან, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ათწლეულების განმავლობაში კომუნისტები ერთადერთი პოლიტიკური ჯგუფი იყო სამხრეთ აფრიკაში, რომლებიც მზად იყვნენ, მოპყრობოდნენ აფრიკელებს, როგორც ადამიანებს და მათ თანასწორებს; რომლებიც მზად იყვნენ, ჩვენთან ერთად ეჭამათ; ჩვენთან ერთად ესაუბრათ, ჩვენთან ერთად ეცხოვრათ და ჩვენთან ერთად ემუშავათ. ისინი იყვნენ ერთადერთი პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც მზად იყვნენ, აფრიკელებთან ერთად მდგარიყვნენ პოლიტიკური უფლებების მიღწევისა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში. ამის გამო, დღესდღეობით, ბევრი აფრიკელია, რომელიც განიზრახავს, კომუნიზმთან ერთად მიაღწიოს თანასწორობასა და თავისუფლებას. ამ რწმენაში მათ მხარს უჭერს ლეგისლატურაც, რომელიც დემოკრატიული ხელისუფლებისა და აფრიკული თავისუფლების ყველა ნიშანს კომუნისტებად აცხადებს და „კომუნიზმის აკრძალვის შესახებ“ კანონის საფუძველზე დევნის ბევრ ისეთ პირს, რომლებიც არ არიან კომუნისტები. ჩემო ბატონო, მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვარ კომუნისტი და არასდროს ვყოფილვარ კომუნისტური პარტიის წევრი, მეც კანონგარეშედ გამომაცხადეს იმ მავნებელი კანონის სახელით, იმ წვლილის გამო, რაც მე შევიტანე დაუმორჩილებლობის კამპანიაში. მე, ასევე, მსჯავრი დამდეს იმ კანონის საფუძველზე.

ჩვენ მხოლოდ შიდა პოლიტიკაში არ განვიხილავთ კომუნისტებს იმათ შორის, ვინც მხარს უჭერს ჩვენს საქმიანობას. საერთაშორისო ასპარეზზე კომუნისტური ქვეყნები ყოველთვის გვინვდიდნენ დახმარების ხელს. გაერთიანებულ ერებსა და მსოფლიოს სხვა ორგანიზაციებში კომუნისტურმა ბლოკმა მხარდაჭერა გამოუცხადა აფრო-აზიურ ბრძოლას კოლონიალიზმის წინააღმდეგ და ხშირად უფრო სოლიდარული ჩანს ჩვენი მდგომარეობისადმი, ვიდრე დასავლეთის ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ აპარტიდს საყოველთაო განაჩენი აქვს გამოტანილი, კომუ-

ნისტური ბლოკი ბევრად ხმამაღლა საუბრობს მის წინააღმდეგ, ვიდრე დასავლური სამყაროს უმეტესი ნაწილი. ასეთ ვითარებაში სისულელე იქნებოდა, ახალგაზრდა პოლიტიკოსს, როგორც მე ვიყავი 1949 წელს, გამოეცხადებინა, რომ კომუნისტები ჩვენი მტრები არიან.

ჩემო ბატონო, ახლა მინდა, საკუთარი პოზიცია მოგახსენოთ. მე უარყავი, რომ კომუნისტი ვარ და ვფიქრობ, ამ გარემოებებში ვალდებული ვარ, ზუსტად ჩამოვაცალიბო, თუ როგორია ჩემი პოლიტიკური შეხედულებები, რათა ავხსნა, თუ რა იყო ჩემი პოზიცია „ერის შუბში“ და რა დამოკიდებულება მაქვს ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მე, საკუთარ თავს, პირველ ყოვლისა, ყოველთვის აფრიკელ პატრიოტად მივიჩნევდი. ბოლოს და ბოლოს, მე დავიბადე უმტატაში, ორმოცდაექვსი წლის წინ. ჩემი მეურვე იყო ჩემი ბიძაშვილი, ვინც იმ დროს ტემბულანდის მთავარი მმართველი იყო და მე დაკავშირებული ვარ როგორც საბატა დალინდიებოსთან, დღევანდელ მთავარ მმართველთან, ისე კაიზერ მატანზიმასთან), რომელიც თრანსკეის მთავარი მინისტრია.

დღესდღეობით, მე მიზიდავს უკლასო საზოგადოების იდეა. ეს ლტოლვა, ერთი მხრივ, ნასაზრდოებია მარქსისტული ლიტერატურით და მეორე მხრივ, ადრეული აფრიკული საზოგადოებების სტრუქტურისა და ორგანიზაციის მომხიბლაობით ამ ქვეყანაში. მინა, წარმოების უმთავრესი საშუალება, იმ დროს ტომის საკუთრებას წარმოადგენდა. იქ არ არსებობდა მდიდარი ან ღარიბი და არ არსებობდა ექსპლუატაცია.

სიმართლეა, როგორც უკვე აღვნიშნე, რომ ჩემზე გავლენა მარქსისტულმა ნააზრევმა მოახდინა. მაგრამ ეს, ასევე, სიმართლეა ბევრი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ლიდერთან მიმართებით. ისეთი რადიკალურად განსხვავებული პიროვნებები, როგორებიც არიან, განდი, ნერუ, ნკრუმა და ნასერი, — ყველა აღიარებდა ამ ფაქტს. ჩვენ ყველა ვთანხმდებით სოციალიზმის გარკვეული ფორმის საჭიროებაზე, რათა ჩვენს ხალხს შესაძლებლობა მიეცეს, მიუახლოვდეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს და გადალახოს უკიდურესი სიღარიბის მემკვიდროება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მარქსისტები ვართ.

მართლაც, ჩემო ბატონო, ჩემს დამოკიდებულებასთან კავშირში, ღიად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, უწევს თუ არა რაიმე განსაზღვრული

როლის თამაში კომუნისტურ პარტიას ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის ამ კონკრეტულ ეტაპზე. ამ მომენტისთვის ძირითადი ამოცანაა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა, დემოკრატიული უფლებების განხორციელება „თავისუფლების ქარტიის“ საფუძველზე და ბრძოლა, რომელიც ძლიერი „ანკ“-ის მიერ საუკეთესოდ წარიმართება. ამ მომენტამდე, ჩემო ბატონო, რამდენადაც ეს პარტია ამ ამოცანას მიყვება, მე მივესალმები მათ თანადგომას. მე ვაანალიზებ, რომ ეს არის ერთ-ერთი მთავარი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ყველა რასის ხალხი შეიძლება ჩაებას ჩვენს ბრძოლაში.

თუმცა, მარქსისტული ლიტერატურის კითხვისა და მარქსისტებთან საუბრის შემდეგ, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კომუნისტები დასავლეთის საპარლამენტო სისტემას არადემოკრატიულად და რეაქციონულად მიიჩნევენ. მაგრამ მე, პირიქით, ასეთი სისტემის მოტრფიალე ვარ.

„თავისუფლების დიდი ქარტია“, „პეტიცია უფლებათა შესახებ“, „უფლებათა ბილი“ დოკუმენტებია, რომლებსაც დემოკრატები მთელ მსოფლიოში თაყვანს სცემენ.

მე დიდ პატივს ვცემ ბრიტანულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს და ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემას. ბრიტანულ პარლამენტს მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიულ ინსტიტუტად მივიჩნევ და ჩემი თაყვანისცემა მისი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისადმი არასდროს შესუსტებულა.

ამერიკის კონგრესი, იმ ქვეყნის ძალაუფლების გამიჯვნის დოქტრინა, ისევე, როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, ჩემში მსგავს გრძნობებს აღძრავს.

მე შთაგონებული ვიყავი როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიერ. ამ ყველაფერმა მაგრძნობინა, რომ პოლიტიკური ფორმულის ძიებისას აბსოლუტურად მიუკერძოებელი და ობიექტური უნდა ვყოფილიყავი. საკუთარი თავი არ უნდა მივაკუთვნო საზოგადოების რომელიმე კონკრეტულ სისტემას, გარდა ამგვარი სოციალიზმისა. მე თავისუფალი უნდა ვიყო ყოველივე საუკეთესოს გაზიარებაში როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან. ახლა მინდა, ვისაუბრო ზოგიერთ მტკიცებულებაზე. ბევრი მტკიცებულება ჩემი ხელითაა დაწერილი. ყოველთვის ჩვევად მქონდა იმ მასალის წერილობით გადმოცემა, რომელსაც შევისწავლიდი.

მტკიცებულებები R20, 21 და 22 მოხსენებების ჩემი ხელით გაკეთებული მონახაზია, მაგრამ პირველადი ნააზრევი მე არ მეკუთვნის. ისინი შემდეგ გარემოებებში დაინერა:

წლების განმავლობაში, ძველი მეგობარი, ვისთანაც ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობდი „ანკ“-თან დაკავშირებულ საკითხებზე და ვინც დაიკავა მნიშვნელოვანი პოზიციები როგორც „ანკ“-ში, ისე კომუნისტურ პარტიაში, ცდილობდა ჩემ განვერიანებას კომუნისტურ პარტიაში. ჩვენ ხშირად ვკამათობდით, თუ რა როლი შეიძლებოდა ჰქონოდა კომუნისტურ პარტიას ჩვენი ბრძოლის ამ ეტაპზე. ჩემი პოლიტიკური რწმენის შესაბამისად, მე მასთანაც იმავე შეხედულებებს ვავითარებდი, რაც უკვე განვიხილეთ ნინა განცხადებაში. იმისათვის, რომ კომუნისტურ პარტიაში შესვლაზე დავერწმუნებინე, იგი დროდადრო მაძლევდა მარქსისტულ ლიტერატურას წასაკითხად, რომელსაც, ფიქრობდა, არ მქონდა — ყოველთვის გამოვნახავ დროს ამის გასაკეთებლად. ჩვენ ორივე მყარად ვიდექით საკუთარ პოზიციებზე იმის თაობაზე, უნდა გავწვერიანებულიყავი თუ არა კომუნისტურ პარტიაში. ის იცავდა იმ მოსაზრებას, რომ მხოლოდ თავისუფლების მიღწევით ვერ შეიძლებდით სიღარიბისა და უთანასწორობის პრობლემების გადაჭრას კომუნისტური სახელმწიფოს დაფუძნების გარეშე და ამის გასაკეთებლად ჩვენ სათანადოდ განსწავლული მარქსისტები გვჭირდებოდა. მე ვრჩებოდი პოზიციასზე, რომ არც ერთი იდეოლოგიური მიმართულება არ უნდა გაცხადებულიყო, სანამ თავისუფლებას არ მივალწევდით. მე მას სხვადასხვა გარემოებაში ვხვდებოდი ლილიზლიფის მამულის ტერიტორიაზე და ერთ-ერთ უკანასკნელ ასეთ შეხვედრაზე იგი დაკავებული იყო წერით, მის გარშემო კი წიგნები ელაგა. როდესაც ვკითხე, თუ რას აკეთებდა, მითხრა, რომ იგი წერდა მოხსენებებს კომუნისტურ პარტიაში გამოსაყენებლად და მათი წაკითხვა შემომთავაზა. იქ იყო რამდენიმე მოხსენების მონახაზი. როდესაც წავიკითხე, ვუთხარი, რომ ჩვეულებრივი მკითხველისთვის ისინი ზედმეტად ჩახლართულად გამოიყურებოდა, რამდენადაც ენა იყო აბსტრაქტული და ჩვეული კომუნისტური კლიშეებითა და ჟარგონებით გაჯერებული. თუ სასამართლო ჩახედავს ზოგიერთ სტანდარტულ მარქსისტულ ნაშრომს, ჩემს მიერ დასმული აქცენტი სარწმუნო იქნება. მან თქვა, რომ შეუძლებელი იყო ენის გამარტივება იმ ეფექტის დაკარგვის გარეშე, რომლის ხაზგასმასაც ავტორი ცდილობდა. მე არ დავეთანხმე მას,

რის შემდეგაც შემეკითხა, შევძლებდი თუ არა აღნიშნული მოხსენებების შესაბამისი ფორმით გამარტივებას. დახმარებაზე დავთანხმდი და სამუშაოს გულმოდგინედ შევეუდექი, მაგრამ ვერ დავამთავრე, რამდენადაც მოგვიანებით სხვა პრაქტიკულ საქმიანობას მოვკიდე ხელი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იყო. მას შემდეგ აღარასდროს მინახავს ეს ხელნაწერი, სანამ ამ პროცესზე არ წარმოადგინეს. მსურს განვაცხადო, რომ მტკიცებულება R23-ში დაფიქსირებული ხელნაწერი მე არ მეკუთვნის, იგი აშკარად შესრულებულია იმ პიროვნების მიერ, ვინც მოხსენება მოამზადა.

ჩემო ბატონო, არსებობს კონკრეტული ჩვენებები, რომლებიც მიანიშნებს, თითქოს ჩვენ უცხოეთიდან ვიღებდით ფინანსურ მხარდაჭერას და ახლა მსურს, ეს საკითხი განვიხილო.

ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა ყოველთვის შიდა წყაროებიდან ფინანსდებოდა — ჩვენი ხალხისა და ჩვენი მხარდამჭერებისგან მიღებული ფულადი სახსრებიდან. როცა ჩვენ გვექონდა სპეციალური კამპანია ან მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარემოება, ვიღებდით ფინანსურ მხარდაჭერას სოლიდარული პირებისა და დასავლურ ქვეყნებში არსებული ორგანიზაციებიდან. ჩვენ არასდროს გვიგრძენია საჭიროება, გავცდენოდით ამ წყაროებს.

თუმცა, 1961 წელს, როცა „ერის შუბი“ ჩამოყალიბდა და ბრძოლის ახალი ეტაპი გაცხადდა, გავანალიზეთ, რომ ეს ლონისძიებები მძიმე ტვირთად დაანგებოდა ჩვენს მწირ რესურსებს და რომ ჩვენი აქტივობების ინტენსივობა შეიზღუდებოდა ფულადი სახსრების სიმცირის გამო. ჩემი ერთ-ერთი დავალება, როცა 1962 წლის იანვარში საზღვარგარეთ წავედი, აფრიკული სახელმწიფოებიდან კაპიტალის მოზიდვა იყო.

უნდა დავამატო, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას ვესაუბრებოდი აფრიკაში არსებული პოლიტიკური მოძრაობების ლიდერებს და აღმოვაჩინე, რომ თითქმის ყველა მათგანს, იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ვერ მივლენით დამოუკიდებლობისთვის, მიიღეს ყველა სახის მხარდაჭერა სოციალისტური ქვეყნებიდან, ისევე როგორც დასავლეთიდან, ფინანსური დახმარების ჩათვლით. მე, ასევე, აღმოვაჩინე, რომ ზოგიერთი კარგად ნაცნობი აფრიკული სახელმწიფო, რომლებიც არაკომუნისტურები და ანტიკომუნისტურებიც კი იყო, ასევე იღებდნენ მსგავს დახმარებას.

რესპუბლიკაში დაბრუნების შემდეგ, მე გავეცი მკაცრი რეკომენდაცია „ანკ“-ის მიმართ, რომ ჩვენ არ უნდა შემოვფარგლული-

ყავით მხოლოდ აფრიკითა და დასავლური სახელმწიფოებით, არამედ, ასევე, გაგვეგზავნა დელეგაციები სოციალისტურ ქვეყნებში ფულადი სახსრების მოსაზიდად, რაც სასწრაფოდ გვჭირდებოდა.

მე მითხრეს, რომ ჩემი გასამართლების შემდეგ, ასეთი დელეგაცია გააგზავნეს.

როგორც ვხვდები, სახელმწიფო ბრალდების და კონკრეტულად “X”-ის ჩვენების მიხედვით, „ერის შუბი“ შთაგონების წყარო იყო კომუნისტური პარტიისთვის, რომელიც წარმოსახვით უსამართლობაზე მანიპულირებით ცდილობდა აფრიკელი ხალხის განეერინებას არმიამი, რომელიც, ერთი შეხედვით, იბრძობდა აფრიკული თავისუფლებისთვის, თუმცა რეალურად კომუნისტური სახელმწიფოსთვის იბრძოდა. ყოველივე ზემოაღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება. ფაქტობრივად, ეს მოსაზრება აბსურდულია. „ერის შუბი“ ჩამოაყალიბეს აფრიკელებმა, რათა უფრო წინ წაენიათ თავისუფლებისთვის ბრძოლა. კომუნისტები და სხვები მხარს უჭერდნენ მოძრაობას და ჩვენ მხოლოდ ის გვსურდა, რომ საზოგადოების უფრო მეტი სეგმენტი შემოგვეერთებოდა. ჩვენი ბრძოლა მიმართულია არა წარმოსახვითი, არამედ რეალური პრობლემების, ან სახელმწიფო ბრალმდებლის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ე.წ. „პრობლემების“, წინააღმდეგ. არსებითად, ჩემო ბატონო, ჩვენ ვიბრძვით ორი მახასიათებლის წინააღმდეგ, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში აფრიკელების შავი ლაქაა და რომლებიც გამყარებულია კანონმდებლობის მიერ, რომლის გაუქმებისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. ეს მახასიათებლებია სიღარიბე და ადამიანის ღირსების უგულვებლყოფა და ჩვენ არ გვჭირდება კომუნისტები ან ე.წ. „აგიტატორები“ იმისათვის, რომ ეს ვითარება აგვიხსნან.

სამხრეთ აფრიკა ყველაზე მდიდარი ქვეყანაა აფრიკაში და უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა მსოფლიოში. მაგრამ იგი უკიდურესობებისა და დასამახსოვრებელი კონტრასტების მიწაა. თეთრკანიანები ცხოვრების ერთ-ერთი უმაღლესი სტანდარტით სარგებლობენ მაშინ, როცა აფრიკელები სიღარიბესა და ტანჯვაში ცხოვრობენ. აფრიკელთა ორმოცი პროცენტი უმოწყალოდ გადააჭედო და ზოგ შემთხვევაში, გვალვიან ადგილებში ცხოვრობს, სადაც ნიადაგის ეროზია და მიწის გადამეტებული დამუშავება მიწაზე სათანადოდ არსებობას შეუძლებელს ხდის. ოცდაათი პროცენტი არის მუშა, დაქირავებული მუშა და მოჯამაგირე თეთრკანიანების ფერმებში, ისინი მუშაობენ და ცხოვრობენ იმავე პირობებში,

როგორც შუა საუკუნეების ყმები. სხვა ოცდაათი პროცენტი ცხოვრობს ქალაქებში, სადაც მათ ეკონომიკური და სოციალური ყოფა განავითარეს, რამაც ისინი თეთრკანიანების ცხოვრების სტანდარტთან დაახლოვა. ამის მიუხედავად, აფრიკელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ, ამ ჯგუფშიც კი, დაბალი შემოსავლებითა და ცხოვრების სიძვირის გამო დაუძღვრებულა.

აფრიკული საქალაქო ცხოვრების ყველაზე მაღალშემოსავლიანი და წარმატებული სეგმენტი იოჰანესბურგშია. თუმცა მათი რეალური მდგომარეობა მაინც უიმედოა. უკანასკნელი მონაცემები გამოაქვეყნა ბ-ნმა კარმა, იოჰანესბურგის არაევროპულ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, 1964 წლის 25 მარტს. სიღარიბის მაჩვენებელი საშუალო აფრიკული ოჯახისთვის იოჰანესბურგში, ბ-ნ კარის დეპარტამენტის მიხედვით, არის 42,84 რენდი* თვეში. მან წარმოაჩინა, რომ საშუალო თვიური ხელფასი არის 32.24 რენდი და რომ იოჰანესბურგში, აფრიკული ოჯახების ორმოცდაექვსი პროცენტი ვერ გამოიმუშავენს საკმარისს, რათა საქმიანობა გააგრძელონ.

სიღარიბე თანაარსებობს ცუდ კვებასთან და დაავადებებთან ერთად. კვების უკმარისობისა და მისით გამოწვეული დაავადებების შემთხვევები ძალიან მაღალია აფრიკელებს შორის. ტუბერკულოზი, პელაგრა, კვაშიორკორი, გასტროენტერიტი და სურავავანდი სიკვდილსა და ჯანმრთელობის განადგურებას იწვევს. ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები ერთ-ერთი მაღალია მსოფლიოში. პრეტორიის ჯანმრთელობის დაცვის სამედიცინო ინსპექტორის მიხედვით, შეფასებულია, რომ ტუბერკულოზით კვდება ორმოცი ადამიანი დღეში, რომელთაგან თითქმის ყველა აფრიკელია და 1961 წელს, დაავადების 58 491 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. ეს დაავადებები, ჩემო ბატონო, არა მარტო ანადგურებს სხეულის სასიცოცხლო ორგანოებს, არამედ, არამდგრადი ფსიქიკური მდგომარეობის, ინცივატივის ნაკლებობისა და კონცენტრაციის შემცირებული უნარების შედეგია. ასეთი მდგომარეობის მეორეული შედეგები გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებასა და აფრიკელების მიერ განეული შრომის სტანდარტზე.

თუმცა აფრიკელთა უკმაყოფილების მიზეზი არ არის მხოლოდ ის, რომ ისინი ღარიბები არიან და თეთრკანიანები — მდიდრები, არ-

* სამხრეთ აფრიკული ფულის ერთეული.

ამედ ის, რომ თეთრკანიანების მიერ მიღებული კანონები ამ მდომარეობის შენარჩუნებისკენაა მოწოდებული.

სიღარიბის დაძლევის ორი გზა არსებობს. პირველი მიიღწევა ფორმალური განათლებით, ხოლო მეორე — მშრომელის მიერ საკუთარ სამუშაოში უფრო მეტად დაოსტატებით და ამგვარად, უფრო მაღალი გასამრჯელოს მიღებით. აფრიკელებთან მიმართებით, განვითარების ორივე გზა კანონმდებლობით მიზანმიმართულად მოჭრილია.

ვთხოვ სასამართლოს, ახსოვდეს, ამჟამინდელი ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა დაბრკოლებების შექმნას აფრიკელებისთვის, რომლებიც განათლების მიღებას ცდილობდნენ. მათი ერთ-ერთი პირველი ქმედება, ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, იყო აფრიკული სკოლების კვების სუბსიდირების შეწყვეტა. ბევრი აფრიკელი ბავშვი, რომლებიც სკოლაში დადიოდნენ, ამ დახმარებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. ეს იყო სასტიკი მოქმედება. თეთრკანიანი ბავშვებისთვის არსებობს ფაქტობრივად უფასო სავალდებულო განათლება, მიუხედავად იმისა, მათი მშობლები მდიდრები არიან თუ ღარიბები. ამგვარი პირობებით სარგებლობის შესაძლებლობა არა აქვთ აფრიკელ ბავშვებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მსგავს დახმარებას იღებს. თუმცა აფრიკელ ბავშვებს, ჩვეულებრივ, უფრო მეტის გადახდა უნევთ სწავლისთვის, ვიდრე თეთრკანიანებს. 1963 წელს, რასებს შორის ურთიერთობების სამხრეთ აფრიკული ინსტიტუტის მიერ საკუთარ ჟურნალში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ასაკობრივი ჯგუფის აფრიკელი ბავშვების დაახლოებით ორმოცი პროცენტი სკოლაში არ დადის. მათთვის მინიჭებული სტანდარტები, ვინც სკოლაში დადის, თეთრკანიანი ბავშვებისგან დიდად განსხვავდება. 1960-1961 წლებში, სახელმწიფო სუბსიდიაზე მყოფ სკოლებში, ერთ აფრიკელ სტუდენტზე განეული დანახარჯი იყო 12,46 რენდი. იმავე წლებში, კაპლანდის პროვინციაში (რომელიც ერთადერთი ხელმისაწვდომი მონაცემია ჩემთვის) ერთ თეთრკანიან ბავშვზე 144,57 რენდი დაიხარჯა. თუმცა სხვა მონაცემები ჩემთვის ხელმისაწვდომი არაა, შეიძლება ითქვას, ეჭვგარეშეა, რომ თეთრკანიანი ბავშვები, რომლებზეც 144,57 რენდი იხარჯებოდა, უფრო შეძლებული ოჯახებიდან იყვნენ, ვიდრე ბავშვები, რომლებზეც 12.46 რენდი იხარჯებოდა.

განათლების ხარისხი ასევე განსხვავებულია. ბანტუს სა-განმანათლებლო ჟურნალის მიხედვით, 1962 წელს, მთელ სამხრეთ აფრიკაში, მხოლოდ 5 660 აფრიკელმა ბავშვმა აიღო დაბალი ხარისხის მოწმობა, ხოლო იმ წელს უმაღლესი ხარისხისა — მხოლოდ 362-მა. ეს გამომდინარეობს ბანტუს განათლების პოლიტიკიდან, რომლის შესახებაც ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბანტუს განათლების ბილის თაობაზე კამათისას, 1953 წელს, რადროსაც იგი ადგილობრივ საქმეთა მინისტრი იყო, განაცხადა: „როცა მექნება კონტროლი ადგილობრივ განათლებაზე, მე მას იმგვარად გარდავემნი, რომ ადგილობრივებს ბავშვობიდან ასწავლიან იმის გაანალიზებას, რომ ევროპელებთან თანასწორობა მათთვის არ არსებობს. ადამიანები, რომელთაც თანასწორობის სჯერათ, არ არიან სასურველი მასწავლებლები ადგილობრივებისთვის. როცა ჩემი დეპარტამენტი ადგილობრივ განათლებას გააკონტროლებს, ცნობილი გახდება, რა ხარისხის უმაღლესი განათლება არის შესაბამისი ადგილობრივისთვის და ექნება თუ არა მას ცხოვრებაში შესაძლებლობა, თავისი ცოდნა გამოიყენოს“.

აფრიკელის ეკონომიკური განვითარებისთვის სხვა მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა „ინდუსტრიული ფერადი ბარიერი“, რომლის ძალითაც უკეთესად ანაზღაურებადი და უკეთესი სამრეწველო სამუშაოები მხოლოდ თეთრკანიანებისთვისაა ხელმისაწვდომი. უფრო მეტიც, აფრიკელებს, არაკვალიფიცირებულ და საშუალოდ კვალიფიცირებულ საქმიანობებში, რომლებიც მათთვისაა ხელმისაწვდომი, უფლება არა აქვთ, ჩამოაყალიბონ პროფკავშირები, რაც „ინდუსტრიული თანხმობის აქტიდან“ გამომდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ აფრიკელი მშრომელების გაფიცვები არალეგალურია და მათთვის უარყოფილია კოლექტიური ხელშეკრულებები, რაც ნებადართულია უკეთ ანაზღაურებადი თეთრკანიანი მშრომელებისთვის. სამხრეთ აფრიკული ხელისუფლებების თანმიმდევრული, დისკრიმინაციული პოლიტიკა აფრიკელი მშრომელების მიმართ, მტკიცდება ე.წ. „ცივილიზებული შრომის პოლიტიკით“, რომლის ძალითაც არაკვალიფიცირებული სახელისუფლებო სამუშაოები ხელმისაწვდომია იმ თეთრკანიანი მშრომელებისთვის, რომლებიც მრეწველობაში წარმატებას ვერ აღწევენ, მათი ხელფასები კი ბევრად აღემატება მრეწველობაში დასაქმებული საშუალო აფრიკელის შემოსავალს. ხელისუფლება კრიტიკას ყოველთვის იმით პასუხობს, რომ აფრიკელები სამხრეთ აფრიკაში ეკონომიკურად ბევრად

შეძლებულები არიან, ვიდრე აფრიკის სხვა ქვეყნების მცხოვრებნი. მე არ ვიცი ეს განცხადება სიმართლეა თუ არა და ვეჭვობ, რამდენად შეიძლება რაიმე შედარების გაკეთება მსგავს ქვეყნებში საარსებო მინიმუმის ინდექსის განხილვის გარეშე. მაგრამ თუნდაც სიმართლე იყოს, რამდენადაც აფრიკელ ხალხზეა საუბარი, ეს არარელევანტურია. ჩვენი პრეტენზია ის არ არის, რომ ჩვენ სხვა ქვეყნების ხალხთან შედარებით ღარიბები ვართ, არამედ ის, რომ ჩვენ ღარიბები ვართ ჩვენივე ქვეყანაში თეთრკანიანებთან შედარებით და რომ კანონმდებლობით მოსპობილი გვაქვს შესაძლებლობა, აღმოვფხვრათ ეს შეუსაბამობა.

აფრიკელთა მიერ გამოცდილი ადამიანის ღირსების უპატივცემულობა თეთრკანიანთა ბატონობის პოლიტიკის პირდაპირი შედეგია. თეთრკანიანთა ბატონობა შავკანიანების დაქვემდებარებას ნიშნავს. კანონმდებლობა მონოდებულია, შეინარჩუნოს თეთრკანიანების ბატონობა, რომელიც ამ ქვეყანაში მყარდება. სამხრეთ აფრიკაში შავ სამუშაოებს უცვლელად ახორციელებენ აფრიკელები. როდესაც რაიმე გადასატანი ან გასანმენდია, ამის გასაკეთებლად თეთრკანიანები აფრიკელებს ეძებენ, მიუხედავად იმისა, მათ მიერ არიან დასაქმებულები თუ არა. ამგვარი ურთიერთობის გამო, თეთრკანიანები თანდათან ისე უყურებენ აფრიკელებს, როგორც განცალკევებულ მოდგმას. ისინი არ უყურებენ მათ, როგორც ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი ოჯახი აქვთ; ისინი არ აანალიზებენ, რომ ჩვენ გვაქვს ემოციები — რომ ჩვენც გვიყვარდება ისევე, როგორც თეთრკანიანებს; რომ ჩვენც ისევე გვსურს საკუთარ ცოლ-შვილთან ყოფნა, როგორც მათ; რომ ჩვენ გვსურს ფულის გამოიმუშავება, საკმარისი ფულისა იმისათვის, რათა სათანადოდ დავეხმაროთ ჩვენს ოჯახებს, გამოვკვებოთ და შევმოსოთ ისინი, გავგზავნოთ სკოლაში. და როგორ შეუძლია „სახლის ბიჭს“ ან „ბაღის ბიჭს“ ან შავ მუშას ოდესმე ამის იმედი ჰქონდეს?

საპასპორტო კანონები, რომლებიც აფრიკელებისთვის კანონმდებლობის ყველაზე საძულველი ნაწილია სამხრეთ აფრიკაში, ნებისმიერ აფრიკელს ნებისმიერ დროს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ აყენებს. ვეჭვობ, სამხრეთ აფრიკაში იყოს ერთი აფრიკელი მამაკაცი მაინც, რომელსაც გარკვეულ პერიოდში არ მოსვლია დაპირისპირება პოლიციასთან მისი პასპორტის გამო. ყოველწლიურად ასობით და ათასობით აფრიკელს სვამენ ციხეში საპასპორტო კანონების საფუძველზე. ამაზე უარესი ის ფაქტია, რომ საპასპორ-

ტო კანონები ქმრებსა და ცოლებს ერთმანეთისგან აცალკევებს და ისინი ოჯახური ცხოვრების დანგრევამდე მიჰყავს.

სიღარიბესა და ოჯახური ცხოვრების დანგრევას აქვთ მეორეული ეფექტები. ბავშვები დაეხეტებიან გარეუბნების ქუჩებში, რადგან არ სწავლობენ სკოლებში, ან არ აქვთ ფული, რათა სკოლაში წასვლა შეძლონ, ან არ ჰყავთ მშობლები სახლში, რათა მათ თვალი ადევნონ, რომ ისინი სკოლაში დადიან, რადგან ორივე მშობელს, თუ ორივე ჰყავთ, უწევთ მუშაობა ოჯახის სარჩენად. ამას მივყავართ მორალური სტანდარტების რღვევამდე, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობის შემამოფოთებელ ზრდამდე და მზარდ ძალადობამდე, რომელიც არა მხოლოდ პოლიტიკურ ველზე, არამედ ყველგან ვრცელდება. გარეუბნებში ცხოვრება სახიფათოა. დღე არ გაივლის ვინმეზე თვდასხმის ან ფიზიკური ძალადობის გარეშე. ძალმომრეობა ხორციელდება თეთრკანიანებით დასახლებულ გარეუბნებში. ხალხს ეშინია დაბნელების შემდეგ ქუჩაში მარტო სიარული. მატულობს სახლების გაქურდვისა და ძარცვის შემთხვევები იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ამგვარი დანაშაულისთვის ახლა შესაძლოა სიკვდილით დასჯა დაწესდეს. სიკვდილით დასჯის განაჩენები დაჩირქებულ ჭრილობას ვერ განკურნავს.

განკურნების ერთადერთი საშუალება იმ გარემოებათა შეცვლაა, რომელთა გამოც აფრიკელებს აიძულებენ, იცხოვრონ და თვალი გაუსწორონ კანონიერ უსამართლობას. აფრიკელებს სურთ, უხდიდნენ საარსებო მინიმუმს. აფრიკელებს სურთ, განახორციელონ ის სამუშაო, რომლის შესრულების სათანადო უნარებსაც ფლობენ, და არა ის, რომელსაც ხელისუფლება მათთვის შესაფერისად გამოაცხადებს. ჩვენ გვინდა, შეგვეძლოს იქ ცხოვრება, სადაც ვმუშაობთ და არ გამოგვდევნონ იმ ტერიტორიიდან იმის გამო, რომ იქ არ დავბადებულვართ. გვინდა, გვექნდეს უფლება და არ ვიყოთ ვალდებულნი, ვიცხოვროთ დაქირავებულ სახლებში, რომლებსაც ვერასდროს დავუძახებთ საკუთარს. გვინდა, ვიყოთ საერთო მოსახლეობის ნაწილი და არ ვიყოთ შეზღუდულნი ჩვენს გეტოებში ცხოვრებით. აფრიკელ მამაკაცებს სურთ, რომ თავიანთ ცოლებთან და ბავშვებთან ერთად იცხოვრონ იქ, სადაც მუშაობენ და არ აიძულონ მამაკაცების საერთო საცხოვრებელში არაბუნებრივი ყოფა. ჩვენს ქალებს სურთ თავიანთ მამაკაცებთან ყოფნა და არა მარტო დარჩენა. გვინდა, შეგვეძლოს საღამოს თერთმეტი საათის შემდეგ გარეთ გასვლა და არ ვიყოთ მიჯაჭვულნი ჩვენს ოთახებს, როგორც

პატარა ბავშვები. გვინდა, შეგვეძლოს ჩვენივე ქვეყანაში მოგზაურობა და სამუშაოს ძიება იქ, სადაც გვსურს, სადაც გვინდა და არა იქ, სადაც შრომის ბიურო გვეტყვის. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ გავიზიაროთ მთელი სამხრეთ აფრიკა; გვინდა უსაფრთხოება და ღირსეული ადგილი საზოგადოებაში.

უმთავრესად, ჩემო ბატონო, ჩვენ თანასწორი პოლიტიკური უფლებები გვსურს, რადგან მათ გარეშე ჩვენი ჩაგვრა სამუდამო იქნება. მე ვიცი, რომ თეთრკანიანებისთვის ამ ქვეყანაში ეს რევოლუციურად ჟღერს, რადგან ამომრჩეველთა უმრავლესობა აფრიკელები იქნებიან. ეს თეთრკანიანებს დემოკრატიის შიშს უქმნის.

თუმცა, დაუშვებელია, ეს შიში გადაგვეღობოს იმ ერთადერთი გამოსავლის ძიების გზაზე, რომელიც უზრუნველყოფს რასობრივ ჰარმონიასა და თავისუფლებას ყველასთვის. არაა მართალი, რომ პოლიტიკური უფლებების ყველასთვის მინიჭება რასობრივ ბატონობას გამოიწვევს. კანის ფერზე დაფუძნებული პოლიტიკური დაყოფა სრულიად ხელოვნურია და როცა ის აღმოიფხვრება, ასევე, გაქრება ერთი ფერის ჯგუფის მიერ მეორეზე ბატონობა. „ანკ“-მა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ნახევარი საუკუნე გაატარა. როცა ის გაიმარჯვებს, რაც უსათუოდ უნდა მოხდეს, იგი ამ პოლიტიკას არ შეცვლის.

ეს არის ის, რისთვისაც „ანკ“ იბრძვის. ჩვენი ბრძოლა ჭეშმარიტად ეროვნულია. იგი აფრიკელი ხალხის ბრძოლაა, შთაგონებული ჩვენივე ტანჯვისა და ჩვენივე გამოცდილებისგან. ესაა ბრძოლა სიცოცხლის უფლებისათვის.

ჩემი ცხოვრება აფრიკელი ხალხის ამ ბრძოლას მივუძღვენი. მე ვიბრძოდი თეთრკანიანების ბატონობის წინააღმდეგ და ვიბრძოდი შავკანიანების ბატონობის წინააღმდეგ. მე სათუთად ვუვლიდი დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების იდეალს, სადაც ყველა ერთად იცხოვრებს ჰარმონიაში, თანასწორი შესაძლებლობებით. ეს არის იდეალი, რომლისთვისაც, ვიმედოვნებ, ვიცოცხლებ და განხორციელებულს ვიხილავ. თუმცა, ჩემო ბატონო, თუ საჭიროა, ეს ის იდეალია, რომლის გამოც მზად ვარ, მოვკვდე.

თავისუფლება ან სიკვდილი

ემელაინ ფანქშურსთი

მარიამ ნათენაძისა და მარი კუტუბიძის თარგმანი

მისის ჰეფბერნ, ქალბატონებო და ბატონებო:

ბევრი ადამიანი მოვიდა ჰართფორდიდან, რომ დაესწროს შეხვედრებს, როგორც ზოგიერთი რეფორმის მხარდამჭერი. ამ საღამოს ჩემი მიმართვა არ ეძღვნება იმ რეფორმის დაცვას, რომლის თაობაზეც ჰართფორდში შეხვედრისას სიტყვით გამოვედი. მე აქ არ მოვსულვარ როგორც დამცველი, რადგან როგორი პოზიციაც არ უნდა ეკავოს ქალების ხმის მიცემის უფლების მხადამჭერთა მოძრაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში იგი უკვე გაცდა დაცვის ფარგლებს და პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში გადავიდა. ის გახდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის საგანი, ასე რომ, ამ საღამოს მე არ ვარ აქ იმისთვის, რომ დავიცვა ქალთა ხმის უფლება. ამერიკელ უფლებადამცველებს ამის გაკეთება თავადაც კარგად შეუძლიათ.

მე აქ ვარ როგორც ჯარისკაცი, რომელმაც დროებით დატოვა ბრძოლის ველი იმისათვის, რომ ნათელი გახადოს — უცნაურად ჟღერს და აუცილებელია, განიმარტოს — როგორ მიმდინარეობს ქალების მიერ წარმოებული სამოქალაქო ომი. მე არ ვარ აქ, როგორც მხოლოდ ჯარისკაცი, რომელმაც ბრძოლის ველი დროებით მიატოვა; მე აქ ვარ, — და ვფიქრობ, ეს არის ჩემი გამოვლის ყველაზე უცნაური ნაწილი — მე აქ ვარ, როგორც ადამიანი, ვისაც, ჩემი ქვეყნის მართლმსაჯულების გადანყვეტილებით, საზოგადოებისათვის არანაირი ღირებულება არ გააჩნია: და ჩემი სახიფათო პიროვნების გამო ვარ მსჯავრდებული, რომელსაც მიესაჯა კატორღული სამუშაოები ციხეში. ასე რომ, როგორც ხედავთ, ასეთი უჩვეულო ადამიანის მიმართვის მოსმენის განსაკუთრებული ინტერესი არსებობს. გავბედავ და ვიტყვი, ბევრი თქვენგანის გონებაში — ალბათ მომიტევეთ ამგვარ პიროვნულ შეხებას — მე დიდად არც მებრძოლს ვგავარ და არც გასამართლებულს და მაინც, ორივე ვარ.

დღეს, უპირველეს ყოვლისა, მსურს, გაგაგებინოთ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გარდაუვალობა თუნდაც ქალების მხრიდან, როდესაც მიაღწევთ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეულ ეტაპს. სრულებითაც არაა რთული რუსეთიდან, ჩინეთიდან ან მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ნერტილიდან ჩამოსული რევოლუციონერი მამაკაცებისთვის, 5 წუთში აგისხნან რევოლუციის მათეული ხედვა. არაა რთული, გაგაცნონ რევოლუციური მეთოდები, რამდენადაც ისინი სწორედ მამაკაცების მიერაა დანერგილი.

ბევრმა თქვენგანმა გამოხატა სიმპათია, შესაძლოა სიმპათია გამოხატა მოქმედებაშიც, რუსეთში მომხდარი რევოლუციების მიმართ. გავბედავ და ვიტყვი, რომ თქვენ აგიყოლიათ დიდმა ინტერესმა იმ ამბის მიმართ, თუ როგორ გადმოიტანა ჩინელმა რევოლუციონერმა, სუნ იატ-სენმა, რევოლუცია ინგლისიდან ჩინეთში. ამერიკულ გაზეთებში კვლავ აღმოვაჩინე დიდი მითქმა-მოთქმა იმ ფაქტის თაობაზე, რომ ერთ-ერთმა ლიდერმა, მოხერხებულობის წყალობით, მონაწილეობა მიიღო პარიზში ჩატარებულ ქალთა რევოლუციის წარმართვაში. თქვენთვის უფრო ადვილად აღსაქმელი და მისახვედრი იქნებოდა — და ჩემი ახსნაც აღარ დაგჭირდებოდათ — რევოლუციის სურვილი იმ შემთხვევაში, თუ ვიქნებოდი მამაკაცი, მათ შორის ნებისმიერ ამ ქვეყანაში, ბრიტანეთის იმპერიის იმ ნაწილშიც კი, რომელიც თქვენთვის ირლანდიის სახელითაა ცნობილი. თუ ირლანდიელი რევოლუციონერი დაესწრებოდა ამ შეხვედრას, და ბევრი მათგანი ბოლო ოცი ან ოცდაათი წლის განმავლობაში ესწრებოდა კიდევ შეხვედრებს მთელი შეერთებული შტატების მასშტაბით, მისთვის საჭირო არ იქნებოდა რევოლუციის აუცილებლობის ახსნა იმის თქმის შემდეგ, რომ მის ქვეყანაში ადამიანები ხალხის — უფრო ზუსტად, მამაკაცების — მიერ იღვევებიან და უარს იღებენ მმართველობაში მონაწილეობის უფლებაზე. ეს ყველაფერს ნათელს მოჰფენს. თუ მე ვიქნებოდი კაცი და გეტყოდით, „მე ვარ იმ ქვეყნიდან, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა, ჰყოლოდა წარმომადგენლობითი ინსტიტუტები და ჯერ კიდევ უარყოფს გადასახადების გადამხდელის, ამ ქვეყნის ბინადრის, ჩემს წარმომადგენლობით უფლებებს“, თქვენ საბოლოოდ დარწმუნდებოდით, რომ ამ ადამიანის, ამ მამაკაცის მიერ წარმომადგენლობითი ინსტიტუტების შემოღებისთვის რევოლუციის მეთოდების გამოყენება გამართლებულია. მაგრამ ვინაიდან მე ვარ ქალი, მეოცე

საუკუნეშიც კი აუცილებელია, ავხსნა, რატომ გამოიყენეს ქალებმა რევოლუციის მეთოდი სამოქალაქო უფლებების მოსაპოვებლად.

როგორც ხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი მოვისმინეთ ამერიკელი ქალების შესახებ, რომლებსაც არაფერი უჭირთ საიმისო, რომ რევოლუციის მეთოდებს მიმართონ, მამაკაცების უმეტესობა შეერთებული შტატებიდან საკმაოდ მშვიდად ხვდება ფაქტს, რომ საზოგადოების წევრთა ნახევარს სამოქალაქო უფლებები სრულად ჩამორთმეული აქვს და ჩვენ, ქალები, ყოველთვის, როდესაც ვცდილობთ, ნათელი გავხადოთ საქმის არსი, ჩვენი სათქმელი დამსწრე მამაკაცებამდე მივიტანოთ, როგორც ერთ-ერთი არგუმენტი, ვარწმუნებთ მათ ერთ ჭეშმარიტებაში — ძალიან მარტივ ჭეშმარიტებაში — რომ ქალები ადამიანები არიან. აშკარაა, ბევრი თქვენგანი ვერ აცნობიერებს ამას, სხვა შემთხვევაში, არც იქნებოდა საჭირო კამათი იმასთან დაკავშირებით, რომ ქალები, რომლებიც გაუსაძლისი უსამართლობისგან იტანჯებიან, შეიძლება რევოლუციაში ჩაებან. პირველ ყოვლისა, უნდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და ვიმედოვნებ, შეეძლებ მივალწიო ამას საღამოს მსვლელობისას, სანამ დავჯდები, თუმცა მანამდე მსურს, წარმოგიდგინოთ რამდენიმე პოლიტიკური შინაარსის არგუმენტი — არგუმენტი არა ხმის მიცემის უფლებასთან დაკავშირებით, რადგან, როგორც დასაწყისში ვთქვი, დღეს აქ ამისთვის არ ვარ, — არამედ არგუმენტი, რომელიც პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას გაამართლებს.

უამრავი თქვენგანი ზოგიერთი უშინაარსო საგაზეთო სტატიით დაარწმუნეს, რომ ინგლისში მიმდინარეობს უცნაური მანიფესტაცია, რომ ისტერიის ახალმა ტალღამ მოიცვა ამ კუნძულების ფემინისტი მოსახლეობის ნაწილი, და ეს მანიფესტაცია იღებს სრულიად უპასუხისმგებლო ფორმებს ფანჯრების მსხვრევით, წერილების დანვით, საყოველთაო შეწუხებით იმ პატივსაცემი, კეთილსინდისიერი მშრომელი ადამიანებისა, რომლებსაც უბრალოდ თავიანთი საქმის კეთება სურთ. ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რასაც თქვენ ამბობთ: თუნდაც ამ ქალბატონებს ჰქონოდათ საკმარისი განათლება, აღექვათ, რას სჩადიოდნენ და მართლაც სურდათ, ხმის უფლება მიეღოთ, მათ მიმართეს მეტად არაგონივრულ გზას ამ უფლების მოსაპოვებლად. „როგორ აპირებენ ისინი ფანჯრების ჩამტვრევით დაარწმუნონ ხალხი, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ხმის

უფლება?“ — ამბობთ თქვენ. ახლა თუ ამას ამბობთ, ეს მოწმობს, რომ საერთოდ ვერ გაგიგიათ ჩვენი რევოლუციის მნიშვნელობა და მინდა გაჩვენოთ, რომ ქონების განადგურებით, სულაც არ ვცდილობთ ხალხის ყურადღება ქალთა ხმის უფლებებისკენ მივავა-ყროთ. ამ ქმედებებს რეალურად პოლიტიკური ხასიათის დატვირ-თვა აქვს, ხმის უფლების არმქონე ადამიანებისთვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭების ერთადერთ ხერხად ქალებისთვის ხმის უფლების მინიჭება მიგვაჩნია.

ჰართფორდში მცხოვრებმა მამაკაცებმა უკმაყოფილების ნი-ადაგზე საჩივრით მიმართეს ლეგისლატურას, რომელიც ჯიუტად უარყოფდა მოესმინა მათთვის და რამე ელონა მათი უკმაყო-ფილების მიზეზის აღმოსაფხვრელად. რა იქნებოდა პრობლემის გადაჭრისთვის შესაფერისი, კონსტიტუციური და ქმედითი გზა? ერთი სიტყვით, ზედმინვენით ნათელია, რომ მომდევნო საყოველ-თაო საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებზე ჰართფორდში მცხოვრები საკმაოდ ბევრი მამაკაცი ზურგს შეაქცევს მოქმედი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს და აირჩევს ახალ კა-ნონმდებლებს: წარმომადგენლობითი ორგანოს სრულებით გა-ნახლებულ, შეუპოვარ შემადგენლობას, რომელიც ამ მამაკაცების მოთხოვნებს არ უგულებელყოფს. ძალიან მარტივი და მო-სახერხებელი იქნება ამომრჩევლებისთვის მათი უკმაყოფილების მიზეზის აღმოფხვრა, თუ იმოქმედებენ შეთანხმებულად და შექმ-ნიან ლეგისლატურის მოდელს, საკანონმდებლო ორგანოში როლების გადათამაშების მეშვეობით, იმ მიზნით, რომ პარლა-მენტში უკეთესმა ადამიანებმა ჩაანაცვლონ ისინი, ვინც უკანონოდ მოქმედებენ.

მაგრამ ვთხოვთ ჰართფორდში მცხოვრებ მამაკაცებს, წარ-მოიდგინონ, რომ მათ აღარ აქვთ ამომრჩევლების როლი, რომ მათ მართავენ თანხმობის მიღების გარეშე, რომ მათ მოთხოვნებს ხელისუფლება ყურს არ უგდებს, რას მოიმოქმედებდნენ ისინი ამ შემთხვევაში? ისინი უკან ვერ გამოიწვევდნენ ლეგისლატურას. მათ მოუწევდათ არჩევანის გაკეთება; მოუწევდათ, აერჩიათ ორ ბორო-ტებას შორის ერთ-ერთი: შეგუებოდნენ უსამართლო ვითარებას გაურკვეველი პერიოდით, ან უნდა გამოფხიზლებულიყვნენ და მიე-მართათ მოძველებული ხერხისთვის, რომლის საშუალებითაც მამაკაცებმა წარსულში თავიანთი მოთხოვნების შესრულებას მიაღ-

წიეს. ჩვენ ვიცით რა მოხდა დიდი ხნის წინ, როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მოინდომეს, მოეპოვებინათ წარმომადგენლობა საგადასახადო სისტემაში. როდესაც ისინი მიხვდნენ, რომ მოცდა აღარ შეიძლებოდა, როდესაც მათ ბრიტანეთის დაუმორჩილებელ მთავრობას წარუდგინეს ყველა არგუმენტი, რისი მოფიქრებაც კი შეიძლებოდა და როდესაც მათი არგუმენტები სრულიად უარყვეს. როცა ყველა ცდა წარუმატებლად დასრულდა, მათ დაიწყეს ბოსტონური ჩაისის სმიდან და არ გაჩერდნენ მანამ, სანამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობა არ მოიპოვა. ასე ხდებოდა ძველ დროში.

ნებისმიერი მოაზროვნე გონებისთვის უდავოდ ცხადია, რომ როდესაც გაქვს უფლება, ხმათა საკმარისი რაოდენობის სწორად გამოყენებით, ურთიერთშეთანხმების წყალობით შესაძლოა თავიდან მოიშორო ნებისმიერი სახელისუფლო ორგანო, რომელსაც მოინდომებ. ხოლო თუ ამას ვერ აღწევ, შეგიძლია აიძულო ის, მიხედოს თავის საქმეს და სამაგიეროდ აირჩიო ის ხალხი, ვინც უფრო ყურადღებით მოეკიდება შენს მოთხოვნებს. მაგრამ შედარებით დაბალი სოციალური შეგნების მქონეთათვისაც ცხადია, რომ თუ ხმის უფლება არ გაგაჩნია, ან უნდა დაემორჩილო სამართლიან თუ უსამართლო კანონებს, სამართლიან თუ უსამართლო მმართველობას, ან გარდაუვალი იქნება აჯანყება უსამართლობის წინააღმდეგ და გამოიყენებ ძალადობრივ მეთოდებს ამ უსამართლობისთვის ბოლოს მოსაღებად. საღ აზრს მოკლებული არაა ის, რასაც დღეს პოლიტიკოსებისაგან რევოლუციის თანდაყოლილი უფლებისა და აუტანელი უსამართლობით ტანჯული ადამიანების დაუმორჩილებლობის შესახებ ვისმენტ, ხოლო დღეს ინგლისში ვხედავთ მამაკაცების მიერ შექმნილ ვითარებას, რომელიც ამ შემთხვევას ზუსტად ასახავს. დღეს ირლანდიაში ძალიან რთული მდგომარეობის მომსწრენი ვართ. მე მომსწრე ვარ ფაქტის, რომ ირლანდიელი აგიტატორების, ირლანდიელი კანონდამრღვევების, ირლანდიელი კრიმინალების თაობები, რომლებსაც ინგლისის ციხეებში გრძელვადიანი პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი, გადმოდიოდნენ ამერიკაში და იქ მცხოვრებ ხალხს ფულს სთხოვდნენ ირლანდიის აჯანყების დაფინანსებისთვის, რომელიც სხვადასხვა რეფორმის გატარების მიზნით ეწყობოდა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ირლანდიურმა დაუმორჩილებლობამ, როგორც იქნა, მოექცა რა პოლიტიკის ფარგლებში და ჰპოვა სათანადო გამოხატულება, რომელმაც თემთა პალატასა და ლორდთა პალატაში შეაღწია, მიაღწია იმას, რასაც ირლანდიელი ხალხი ამდენ ხანს ელოდა, იქმნება ირლანდიის შიდა კანონმდებლობა. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მომდევნო ივნისს დუბლინში შეიკრიბება პარლამენტი, ირლანდიური პარლამენტი, რომელიც ირლანდიის საქმეებს ლონდონის მთავრობისგან ჩაურევლად წარმართავს. ირლანდიელი მამაკაცების უმრავლესობას სწორედ ეს სურდა, შესაძლოა ირლანდიელი ქალების უმეტესობაც უსიტყვოდ დაეთანხმა ამ სურვილს, მაგრამ მათთვის ამის თაობაზე არავის უკითხავს. უდავოა, რომ ირლანდიური აჯანყებების სერიაში ქალებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს; და ასევე, მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მიიწიათ თქვენი ყურადღება გავამახვილო, — როდესაც ირლანდიელმა მსჯავრდებულმა მამაკაცებმა პოლიტიკური დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს, მათ განიხილავდნენ როგორც პოლიტიკურ პატიმრებს; მაგრამ ყველა ის ირლანდიელი ქალი, რომელიც მამაკაცებს ეროვნული კანონის მიღებაში ეხმარებოდა, გაასამართლეს როგორც ჩვეულებრივი კრიმინალი და მოექცნენ როგორც რიგით დამნაშავეს. ქალბატონებო, თქვენ ხედავთ, დაუმორჩილებლობის დროსაც კი სჯობს, იყოთ ამომრჩევლები, რადგან თუ არ იქნებით, მიიღებთ იმაზე უარეს სასჯელს, ვიდრე ისინი, ვისაც ხმის უფლება აქვთ, თუნდაც ამ დროს დანაშაულს სჩადიოდნენ. ამგვარად, დღევანდელი მდგომარეობით, ირლანდიის კანონმდებლობა ძალაში შევა მომავალი წლის დანაშაულისთვის, ან მომდევნო წლის განმავლობაში.

მაგრამ არსებობს ირლანდიის ნაწილი, რომელსაც არ სურს საკუთარი კანონმდებლობა. არსებობს ირლანდიის ნაწილი, რომელსაც ლონდონის მმართველობა ურჩევნია. ეს არის ჩრდილოეთ ირლანდია, ულსთერის საგრაფო. რასობრივი, რელიგიური, ეკონომიკური მიზეზების გამო აქ მცხოვრებთა უმრავლესობას საერთოდ არ უნდა საკუთარი კანონმდებლობა. ისინი თავიანთ თავს ლოიალისტებს, უნიონისტებს უწოდებენ და სურთ, დიდ ბრიტანეთთან ერთობა ამჟამინდელი სახით შეინარჩუნონ. როგორც კი კანონპროექტი მიიღეს და ცნობა გავრცელდა, რომ შიდა კანონმდებლობა ექნებოდათ, ამ ხალხმა მაშინვე აჯანყება წამოიწყო. მათ ლიდერი ჰყავდათ, კაცი, რომელმაც ჩამოაყალიბა ბოლო კონსერვატიული

ადმინისტრაციის ნაწილი, სერ ედუარდ ქარსონი. გამოჩენილი ადვოკატი, გამოჩენილი სახელმწიფო მოხელე: ის ირლანდიელია. სერ ედუარდ ქარსონი ულსთერის აჯანყების ლიდერი გახდა. იგი ამართლებდა სამოქალაქო ომს; არა მხოლოდ ამართლებდა, არამედ მოუწოდებდა ულსთერის მამრობით მოსახლეობას წვრთნისა და მზადებისკენ, თუ სამოქალაქო ომი კარს მოადგებოდათ. აჯანყების პირველი ეტაპი მოიცავდა მთელი გაერთიანების სახელით დიდი დეკლარაციის ტექსტის ხელმოწერას. აღსანიშნავია, რომ ამ დეკლარაციას არა მხოლოდ კაცებმა, არამედ ქალებმაც მოაწერეს ხელი; ულსთერში მცხოვრები ქალები მიიწვიეს, რათა კაცებთან ერთად მოეწერათ ხელი დეკლარაციაზე. ხოლო იმათ გასაგონად, ვინც ამბობენ, რომ ქალთა მოდგმა შორსაა პოლიტიკისგან და ქალთა ბუნებას პოლიტიკით დაინტერესება არ ახასიათებს, მინდა ვთქვა, უფრო მეტმა ქალმა მოაწერა ხელი ამ დეკლარაციას, ვიდრე კაცმა, თვალშისაცემად მეტმა.

ამგვარად, ამ ბრძოლის ბოლო ეტაპი, როდესაც მან თავის კულმინაციას მიაღწია, შემდეგია: სერ ედუარდ ქარსონი გამოდის სიტყვით, რომელშიც ის კანონის დარღვევას ხოტბას ასხამს; მან გამოიწვია ბრიტანეთის მთავრობა მის დასაპატიმრებლად; საომარი ძალები ირლანდიაში გადასხეს; და აქ ვერ იპოვიდით ვერცერთ კლუბს, ახალგაზრდების, მუშათა კლასის, საშუალო ან თუნდაც მაღალი ფენის კლუბს, სადაც სამოქალაქო ომისთვის მზადება და წვრთნა არ მიმდინარეობდა. კანონი უკვე დარღვეული იყო, რადგან ამბოხების შესამჩნევი ნიშნები უკვე იკვეთებოდა ბელფასტის ქუჩებში, იყვნენ დალუპულებიც და ახლა, ამ შეხვედრაზე მინდა გკითხოთ, რამდენ თქვენგანს სმენია ამერიკული გაზეთებიდან ყოველივე ამის შესახებ? გსმენიათ ინგლისური გაზეთების ხმამაღალი კრიტიკის გამოძახილი თქვენს გაზეთებში? — არა; პრესაც და თქვენც საკმაოდ მშვიდად შეხვდით ფაქტს, რომ ირლანდიაში რევოლუცია მზადდებოდა და არცერთ თქვენგანს, არა აქვს მნიშვნელობა, იქნებით გაზეთის მთავარი რედაქტორი, რომელიც წამყვან სტატიებს წერს თავის თავშესაფარში, თუ ბიზნესმენი ან უბრალოდ პროფესიონალი თქვენს საქმეში, არცერთ თქვენგანს არ გასჩენია კითხვა ულსთერში მყოფი ადამიანების უფლებებთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ადამიანები ამომრჩევლები არიან და აქვთ მიყენებული ზიანისთვის ანაზღაურების მოთხოვნის კონსტიტუციური უფლება, თუნდაც რევოლუციის

მონყობის უფლება თუ სხვა ყველა საშუალება უშედეგო აღმოჩნდება.

ამგვარად, გვაქვს ახალი სურათი, ახალი კონტრასტი, რომლის დახატვაც მინდა. ჩვენს წინაშეა სერ ედუარდ ქარსონი, რევოლუციის მქადაგებელი და სისხლისღვრის ქომაგი იმ დროს, როდესაც იცავენ, მისი თქმით, ულსთერის ზრდასრულთა უფლებას, უფლებას, იყვნენ მართულნი ისე, როგორც ამას თავად აირჩევენ. მას არ უყოყმანია, როდესაც სისხლისღვრა გაამართლა, რადგან მისი თქმით, სისხლის დაღვრა, შენი ან სხვა ადამიანების სისხლის დაღვრა მოქალაქეობრივი უფლების დაცვის საზღაურია, საზღაური უფლებისა, აირჩიო ის მთავრობა, რომელიც შენ გსურს. სერ ედუარდ ქარსონი არ დაუპატიმრებიათ; სერ ედუარდ ქარსონისთვის არ წაუყენებიათ ბრალდება შეთქმულებისთვის; სერ ედუარდ ქარსონი ციხეში არ ჩაუსვამთ. იგი გამოდიოდა ზუსტად ისეთივე სიტყვით, როგორითაც მე ბოლოს, მარტის თვეში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, როდესაც იგი რევოლუციის დროს სისხლისღვრას დასაშვებად მიიჩნევს, მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენი მიზნის განხორციელების გზაზე ვერაფერი მაიძულებს, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გავამართლო. ჩემსა და მის გამოსვლებს შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ იგი ესარჩლება და ამართლებს ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევას, მაშინ, როდესაც ჩემს მიერ რაიმეს განადგურების გამართლება საკუთრებასა და უსულო საგნებს არ სცდება. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ადამიანის სიცოცხლე წმინდათა წმინდაა, რომ ქალთა რევოლუციის დროს ჩვენ პატივს ვცემთ ადამიანის სიცოცხლეს და უკან ვიხევთ, როგორც კი მას საფრთხე ემუქრება.

ხოლო ახლა, იმათ გასაგონად, ვინც ამბობს, რომ კანონის დარღვევისას ქალებს კაცებზე ლმობიერად ექცევიან, მათთვის, ვინც მიიჩნევს, რომ ქალებს არ სჭირდებათ რევოლუციისთვის მიმართვა, მინდა თვალნათლივ წარმოვადგინო კონტრასტი: ჩვენ წინაშეა სერ ედუარდ ქარსონი, კაცი, რომელიც, თავისი განათლებისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, კანონების მიმართ უფრო პატივისცემით უნდა იყოს განმსჭვალული, ვიდრე ისინი, ვისაც არაფერი გაეგებათ არც კანონებსა და არც იმათ არჩევაზე, ვინც ამ კანონებს ქმნის. თქვენს წინაშეა სერ ედუარდ ქარსონი, პრივილეგირებული არამზადა, რომელიც ინგლისსა და ირანდიაში დასეირნობს და ამ სიტყვებით გამოდის; და თქვენს

წინაშე ვარ მე, ქალი, რომელიც დააპატიმრეს, მიუსაჯეს გრძელვადიანი პატიმრობა ზუსტად იმის კეთებისთვის, რაც მან გააკეთა, მაშინ, როცა, ჩემგან განსხვავებით, მას არ ჰქონდა ამ ყველაფრის გამამართლებელი მიზეზი. თქვენი ყურადღება კიდევ ერთხელ უნდა მივაპყრო იმ გარემოებას, რომ სერ ედუარდ ქარსონს და მის მეგობრებს ხმის უფლება ჰქონდათ, მაშასადამე ჰქონდათ ლეგიტიმაცია და შესაფერისი გზა იმ ზიანის ანაზღაურებისთვის, რაც მათ მიადგათ, მაშინ, როდესაც არც მე და არც სხვა ქალს არ გვაქვს კონსტიტუციური გარანტია და ლეგიტიმაცია, არ გვაქვს კანონიერი გზა, ავინაზღაუროთ მოყენებული ზიანი. ერთადერთი გზა რევოლუცია და ძალადობაა დარჩა.

ამგვარად, ახლა მინდა, თქვენთან ერთად განვიხილო, რამდენად მართებულია ის გზა, რომელიც ავირჩიეთ; მინდა, ყოველივე, რაც თქვენთვის გაუგებარია, გასაგები გავხადო: მინდა, ავიხსნათ, თუ რა გეგმა გქონდა კამპანიისთვის, რადგან ყოველთვის ვგრძნობდი, თუ შეძლებ დაარწმუნო ხალხი, რომ ადამიანების უმეტესობის გულები სწორად ძგერს, ადამიანების შეგნება ნათელია და მათი ქმედება მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული, საქმის არსისთვის ნათლის მოფენას შეძლებ.

ახლა მინდა, დავუბრუნდე იმ ნაწილს, სადაც ვთქვი, რომ თუ ჰართფორდში მცხოვრებ კაცებს ექნებოდათ მოთხოვნა, მაგრამ არ ექნებოდათ საშუალება მის დასაკმაყოფილებლად, თუ ეს უკმაყოფილება მათ მთლიანად მოიცავდა, ისინი იძულებულნი გახდებოდნენ, სხვა გზისთვის მიემართათ. ყოველივე ამას იმ მეთოდების ახსნის საჭიროებისკენ მივყავარ, რომლთა გაგების შესაძლებლობასაც თქვენ მოკლებული იყავით. მოგვიანებით მოთხოვნებზე ვაპირებ საუბარს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ სამოქალაქო ომი, რომელიც ქალებმა წამოიწყეს, არ იყო ისტერიული მანიფესტაცია, როგორც ამას თქვენ ფიქრობდით, არამედ იყო ფრთხილად და ლოგიკურად გააზრებული ქმედება და ვფიქრობ, როდესაც ჩემს გამოსვლას დავამთავრებ, ჩვენი მოთხოვნების აღიარებით, ჩვენი არგუმენტების სიძლიერის გათვალისწინებით იტყვი, რომ სხვა არაფრის გაკეთება შეგვეძლო, რომ სხვა გზა არ არსებობდა... ან აუტანელი უსამართლობა უნდა მიგველო და ქალთა მოძრაობის უკან დახევა დაგვეშვა, აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ვიდრე დავინწყებდით, უარესი მდგომარეობა იყო, ან უნდა გაგვეგრძელებინა ამ გზით სიარული მანამ, სანამ

გამარჯვებას არ მოვიპოვებდით; და ასევე, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს გზა გამარჯვებამდე მიგვიყვანს, რადგან რევოლუციის გზაზე დადგომას ორი გამართლება რჩება, — საჭიროება ან სურვილი. პირველი არის კარგი მიზეზი ამ გზას დასადგომად, ხოლო მეორე — მის გასაგრძელებლად, რამდენადაც ბრძოლის გრძელ გზაზე, რომელზეც გულწრფელი სიმამაცე მარცხდება და ბრძოლის უნარი იკარგება, სწორედ ძლიერი სურვილი გეხმარება გამარჯვებისთვის ბრძოლის გაგრძელებაში.

ძალიან დიდ დროს ნაგვართმევს ქალების მიერ წარმოებული პირველი საბრძოლო მოქმედებების კვალს მიყოლა, რადგან დაახლოებით რვა წელია გასული მას შემდეგ, რაც სიტყვა „საბრძოლო“ პირველად გამოიყენეს ჩვენი მოქმედებების აღსაწერად. დაახლოებით რვა წელია გასული ქალების მიერ საბრძოლო მოქმედებების პირველად ჩატარებიდან. თუმცა ეს ქმედებები საერთოდ არ ყოფილა აგრესიული, გარდა იმისა, რომ მან მოახდინა საბრძოლო ნაწილების იმ დანაყოფების პროვოცირება, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდნენ. როდესაც ქალებმა დასვეს კითხვები პოლიტიკურ შეხვედრებზე და ვერ მიიღეს პასუხები, მათ აგრესიული ქმედებებისთვის არ მიუშართავთ. პოლიტიკური ხასიათის საჯარო შეხვედრებზე დამსწრეთა მიერ კითხვის დასმის უფლება არის საყოველთაოდ ცნობილი უფლება; ცხადია, ჩემს ქვეყანაში კაცები ამას ყოველთვის ახერხებდნენ და იმედი მაქვს, ამერიკაშიც შეძლებენ იმავეს, რადგან მჯერა, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წევრების არჩევისას, იმის გაგების გარეშე, თუ რას აპირებენ თანამდებობის დაკავების შემდეგ, შეუძლებელია მონიჭებული სამოქალაქო უფლებების გონივრულად გამოყენება და დაკისრებული სამოქალაქო ვალდებულების პირნათლად შესრულება. ბრიტანეთში დროთა განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციაა, რომ პარლამენტის წევრობის კანდიდატებსა და მთავრობის წევრებს ყოველთვის უსვამენ კითხვებს. პოლიტიკურ ასპარეზზე „ხმის უფლება ქალებისთვის“ მოძრაობის გამოჩენამდე არც ერთი კაცი წარმდგარა კითხვით საჯარო შეხვედრებზე. პირველები, ვინც საჯარო პოლიტიკურ შეხვედრებზე კითხვის დასმა გაბედეს, ქალები იყვნენ; მათ სასტიკად მოეპყრნენ; მათ თავი ციხეში ამოყვეს, სადაც 24 საათის გატარება მოუწიათ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსების მიერ შეკვეთილი გაზეთები ქალებისთვის შეურაცხყოფის მიმცენებელ

ადამიანებს მოძალადეებს არქმევენ და ჰკიცხავენ, თუ ცხადია ამას გაკიცხვას დავარქმევთ, რეალურად სწორედ ქალებს მიიჩნევენ მოძალადეებად და დამნაშავეებად. რამდენად განსხვავებულად მიმდინარეობს კაცების მიერ წამონყებულის მსჯელობა, როდესაც, ერთი მხრივ, განიხილება კაცის საქმიანობა, ხოლო სხვა შემთხვევაში — ქალის. ნუთუ კაცები იყვნენ ისინი, ვინც პირველად დასვეს კითხვები, ან იქნებ მათ მიიღეს სასტიკი უარყოფა ამის გამო? თქვენ აუცილებლად მოკრავდით ყურს იმ ადამიანების ნაწილის ერთსულლოვან გაკიცხვას, რომლებმაც ამ კითხვებზე პასუხის გაცემას თავი აარიდეს. მაგრამ, რამდენადაც ისინი, ვინც კითხვები დასვეს, ქალები იყვნენ, პლატფორმაზე მდგომ სიტყვით გამომსვლელებს, ან თუნდაც კარისკაცებს კი არ უნდა გაეცათ პასუხი, თუ ვინ იყო დამნაშავე, არამედ საბრალო ქალებს, დაღურჯებულ, ნაგვემ, დასახიჩრებულ ქალებს, რომლებიც სრულიად არაფრისთვის ჩასვეს ციხეში, გარდა იმისა, რომ ყველაფრის ჩამთავრების შემდგომ საპროტესტო აქციით გამოვიდნენ ქუჩაში. თუმცა ამის გამო ჩვენ მეზრძოლებს გვინოდებდნენ, ჩვენ კი მონდომებულები ვიყავით, ეს სახელი გაგვემართლებინა, რადგან ჩვენთვის ბრძოლა წარსულის საჩუქარია; თქვენ გაქვთ მეზრძოლი ეკლესია, და ჩვენ, ბრძოლის ჟინით შეპყრობილები, ნამდვილად მეზრძოლები ვართ. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ ქალების პოლიტიკური უფლებების შესახებ საკითხი დღის წესრიგში დავაყენოთ იმ ეტაპზე, როდესაც პოლიტიკოსების მხრიდან შევიწროებულნი აღარ ვიქნებით, როგორც ეს იყო დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინათ, იმ დროის განმავლობაში, როდესაც ქალები მოთმინებით წირავდნენ ყველა საარსებო წყაროს, რომ პოლიტიკური უფლებები მოეპოვებინათ.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესახებ ყველა შესანიშნავი ფრაზა მიემართებოდა მამრობით სქესს, თუმცა არც ერთ შემთხვევაში ქალებს. როდესაც ითქვა, რომ გადასახადების დაწესება წარმომადგენლობითი ორგანოს არარსებობის პირობებში ტირანიაა, როდესაც გაცხადებულ იქნა, „კაცების მიერ გადასახადების გადახდა წარმომადგენლობის გარეშე ტირანიაა“, უკლებლივ ყველა საკმაოდ მშვიდად შეეგუა იმ ფაქტს, რომ ქალებმა უნდა გადაიხადონ გადასახადები და მისი გადაუხდელობისთვის ციხეშიც კი მოხვდნენ, — ნამდვილად გამართლებულია. ჩვენ დავრწმუნდით, რომ „ხალხის კუთნილი, ხალხის მიერ არჩეული და ხალხისთვის მოქმედი მთავრობა“, რომე-

ლიც, ასევე, წარსულის გადმონაშთი ლიბერალური პრინციპია, მონოდებული იყო ისევ და ისევ მამაკაცის პოლიტიკური უფლებებისთვის; ხალხის ნახევარი დაივიწყეს; ქალებს ევალებოდათ გადასახადების დაფარვა, კანონის მორჩილება და მოცემულ სიტუაციაში, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სასიამოვნო გარეგნობის შენარჩუნება. ფაქტობრივად, თავისუფლების ყველა პრინციპი, რომელიც კი გაცხადებულა პლანეტის ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, ძალიან მცირე გამოჩვენების გარდა, მიძღვნილი იყო მამრობითი სქესისადმი და როდესაც ქალებმა სცადეს ამ პრინციპების ცხოვრებაში რეალიზება, შედეგად ძალიან, ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

ახლა კი სწრაფად მომოვიხილოთ ყველა ინციდენტი, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც ორი ქალი, რომლებმაც პირველებმა დაუსვეს კითხვები მინისტრთა კაბინეტს, ციხეში ჩასვეს, ხოლო სწორედ მაშინ გამოვიდნენ იქიდან, როდესაც ჩვენმა საომარმა განწყობილებამ ნამდვილი ბრძოლის სახე მიიღო, როდესაც არმიის წყობის წესის მიხედვით მოვენყვეთ ჩვენც, როდესაც ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ თუ საჭირო იქნება, ვიბრძოლოთ ჩვენი უფლებებისთვის ისევე, როგორც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ თავისი უფლებებისთვის. როდესაც ხალხი იმაზე ალაპარაკდა, რომ სამხედრო განწობილებაში და ზოგადად, ბრძოლაში არაფერი ცუდი არ იყო, როდესაც ფიქრობდნენ, რომ ხალხს ეპატიებოდა აჯანყების მოწყობა დაუნდობელი უსამართლობის წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრძოლა ქალების მიერ იყო წამოწყებული, ამ ადამიანებს ეს აბსურდად და სასაცილოდ მიაჩნდათ, რადგან, მათი აზრით, ქალები წარმატებას ვერ მიაღწევდნენ. კაცების მხრიდან მთელი ჩვენი საბრძოლო მოქმედებების კრიტიკის ერთადერთი არგუმენტი ის იყო, რომ ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწევდით. ისინი აცხადებდნენ, „ჩვენ აუცილებლად ვიქნებოდით თქვენთან ერთად, თუ თქვენ ღირსეულად გაართმევდით თავს, მაგრამ აბსურდია ქალებისთვის, რომლებიც სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან, ქალებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი ფართო ინტერესი, ქალებისთვის, რომლებსაც ძალიან ცოტა ფული აქვთ, რომლებსაც მხოლოდ ქალური მოვალეობები აკისრიათ, რომელიც მეტად სუსტ მდგომარეობაში აყენებთ მათ — როგორც არის ბავშვების მოვლა — ამ ქალებისთვის ბრძოლის გზით გამარჯვებასა და უფლებების მოპოვებაზე ფიქრიც კი აბსურდია; თქვენთვის უმჯობესია გაანე-

ბოთ ამას თავი და თქვენს მდგომარეობას შეეგუოთ, რადგან თქვენ ყოველთვის ობიექტები იყავით და ასე იქნება ყოველთვის“. ახლა კი ნამდვილად დადგა ამის შემომწმების დრო. როდესაც ჩვენ, ქალები გადავწყვეტთ ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ მდედრობით სქესს, ქალებს, რომლებსაც სუსტებად მიიჩნევენ, კიდევ შეუძლიათ ბრძოლა და გამარჯვება, მინდა ვაჩვენოთ, ჩვენი მოქმედების გეგმა რამდენად ყურადღებით იყო გააზრებული, თვით საკუთრებაზე თავდასხმაც კი, რაც სხვებისთვის ასე მიუღებელი აღმოჩნდა. მე დავგეგმე ლონდონში ბიზნესმენებთან შეხვედრა, რომლებიც შეხვედრაზე მართლაც ძალიან, ძალიან გაბრაზებული მოვიდნენ, რომლებსაც სატელეფონო კომუნიკაციები რამდენიმე საათით გათიშული ჰქონდათ და სხვა ქალაქში მყოფი ბირჟის ბროკერებისგან ტელეგრამებსაც კი ვერ იღებდნენ, რომლებიც, ბუნებრივია, ძალიან ცუდ გუნებაზე იყვენ, ჩანვდნენ საქმის ვითარებას: და თუ საერთოდ შესაძლებელი იყო მათ მიერ გაგება, თუ რამდენიმე მათგანი მაინც მთლიანად ენთუზიაზმით განენყო ჩვენი მეთოდების მიმართ, თუ შევძელი, მისის ჰეფბერნ, რომ ჰართფორდში შეკრებილი ხალხისთვის ამეხსნა მდგომარეობა, რომლებიც, ყველაფრის შემდეგ, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დაინახონ, განსხვავებით ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები კაცებისგან, რომლებსაც არ შეუძლიათ მთლიანი სურათი აღიქვან, რადგან ძალიან არიან დაკავებულნი უმნიშვნელო დეტალების ცქერით.

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ნათელს მოვფენთ ყველა საკითხს, მინდა ვითხოვო, რომ თუ ამ შეკრებაზე მყოფი რომელიმე კაცი ან ქალი მოიფიქრებს უკეთეს გამოსავალს, იმის მიღწევის უკეთეს გზას, რასაც ჩვენი დაუმორჩილებელი მთავრობისგან ვითხოვთ, გაგვიზიაროს ის, მე ნამდვილად მადლობელი დაგრჩებით.

ჩვენ გვაქვს პოლიტიკური სისტემა, სადაც არც ერთი რეფორმა არ აისახება ძველი ქვეყნის კანონმდებლობაში, სანამ არ იქნება ინიცირებული ქვეყნის მთავრობის, მინისტრთა კაბინეტის, იმ ძალაუფლების მქონე ადამიანების მიერ, ვინც რეალურად მართავს ქვეყანას. არა აქვს მნიშვნელობა, თუ პარლამენტის პრაქტიკულად ყველა წევრი შენს მხარესაა, ვერ მიიღებ სასურველ შედეგს, სანამ მინისტრთა კაბინეტი საკანონმდებლო ინიციატივას არ წარადგენს, — სიტუაცია, როდესაც ერთეული წევრი ვერაფერს წყვეტს, პარლამენტის ერთი ჩვეულებრივი წევრი. შესაძლოა მან წარადგინოს კანონპროექტი, მაგრამ თავადაც კარგად იცის, რომ უბრალოდ

არეგისტრირებს მისი ამომრჩევლებიდან ერთ-ერთის პატიოსან მოსაზრებას; შესაძლოა მას ეკუთვნოდეს ეს აზრი; მაგრამ ეს უწყინარი შეთავაზება ვერასდროს დაიკავებს ადგილს ქვეყნის კანონმდებლობაში, სანამ მთავრობის ძალაუფლებით, პრემიერ-მინისტრისა და მისი კოლეგების ნებით, გააცნობს მთავრობას ამ კანონპროექტის ინიცირების მიზანშეწონილობას. ამგვარად, რეფორმის განხორციელების მხარდამჭერი ხალხის მთელი მიზანი ისაა, რომ განახორციელონ საკმარისი პოლიტიკური ზენოლა მთავრობაზე, რათა ჩამოყალიბდეს ისეთი მმართველობა, რომელიც გაუძღვება მას ინიცირებაში, კანონპროექტის შექმნაში და პირველ ინსტანციაში წარდგენაში, თემთა პალატაში თუ მისი გავლით, ზენოლა განახორციელოს ლორთა პალატაზე, და ბოლოს, უსაფრთხოდ დაასრულოს, უკან მოიტოვოს ყველა წყალდიდობა თუ წყალნაკლებობა პარლამენტის მდინარეში, დაიმკვიდროს ადგილი საკანონმდებლო აქტებში, როგორც პარლამენტის აქტმა. თაობათა ცვლის პარალელურად იცვლებოდა ამომრჩეველთა ვარიაციები ამომრჩეველთა ძალაუფლების მხრივაც კი აესახათ თავიანთი რეფორმები კანონმდებლობაში, მაგრამ მათი ყველა ცდა მარცხით მთავრდებოდა. თქვენი მოტივი უნდა განსაზღვროთ პირველი კატეგორიის საზომით; თქვენ ქვეყანაში ისეთი სიტუაცია უნდა შექმნათ დაჟინებით და ზენოლით, რომ პოლიტიკურად საფრთხის შემცველი იყოს მთავრობის მიერ თქვენი წინადადებების უგულვებლყოფა, მათთვის გამიზნული პოლიტიკური ფანდით უნდა აიძულოთ, გაიაზრონ, რომ სანამ თქვენი მოთხოვნები არ შესრულდება, მომავალ საყოველთაო არჩევნებზე მათი წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება.

ამგვარად, ეს იყო პრობლემა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ, და გავუსწორეთ კიდეც, ქალების მცირე ჯგუფმა. მოგწონთ თუ არა ჩვენი მეთოდები, ჩვენ წარმატებას მივაღწიეთ ქალების საარჩევნო უფლების ერთ-ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მინისტრთა კაბინეტმა ახლა მიიღო და გაურკვეველი მიზეზით ვეღარ უარყოფს. იგი უნდა გადაწყდეს დროის მოკლე პერიოდში. ჩვენი მეთოდის გარდა, სხვა ვერანაირი გზით იქნებოდა ასეთი შედეგი მიღწეული. შესაძლოა წაკითხული გქონდეთ ფინანსთა მინისტრის მიერ, რომელსაც, როგორც ჩანს, თავისუფალ დროს საყვარელ საქმიანობად საგაზეთო სტატიების წერა უქცევია, გაზეთში გამოქვეყნებული სენტიმენტალური სტატია, რომლითაც

გამცნობთ, რომ ქალების საარჩევნო ხმის უფლების მოძრაობისთვის ძალადობრივი მოქმედებები სრულებით უსარგებლოა. მაგრამ ამაზე ჩვენი პასუხია, რომ, ჩემი აზრით, ჩვენი ჯელტმენები ძალიან ბევრს აპროტესტებენ, რადგან ჩვენს მიერ ქალთა უფლებების მოსაპოვებლად ძალადობრივი გზების მიმართვამდე არც ბატონი ლოიდ ჯორჯისთვის, არც სხვა თანამედრობის პირისთვის, არც პარლამენტის რომელიმე წევრისთვის ცნობილი არ იყო ქალთა უფლებების მხედველობაში მიღების საჭიროება. ახლა მათ წინაშე ეს საკითხი გამუდმებით დღის წესრიგში დგას, რომ გვითხრან ჩვენი დარღვეული უფლებებითვის რა სახის ანაზღაურება უნდა მივიღოთ. ყველა მათგანი დაჟინებით გვეუბნება, რომ უნდა გავაანალიზოთ, რამდენად სერიოზულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, როდესაც ქალთა საარჩევნო უფლების საკითხი წამოვჭერით.

ახლა კი, ნება მომეცით, გაგარკვიოთ სიტუაციაში რომელშიც აღმოვჩნდით. ჩვენ ვიგრძენით, რომ აუცილებლად უნდა გამოგვეფხიზლებინა პუბლიკა იქამდე, რომ მიემართა მთავრობისთვის, ქალებისთვის ხმის უფლება მიენიჭებინათ. ჩვენ უნდა გავხედოთ ამომრჩევლები, უნდა გვქონდეს დასაქმების ინტერესი, უნდა დავუფიქროთ პროფესიულ ინტერესებს, უნდა მივალწიოთ იმას, რომ ყველა კაცმა ერთად მიმართოს მთავრობას, უფრო მსუბუქად შეხედოს სიტუაციას და ქალებს ხმის უფლება მისცეს; და ვფიქრობ, პრობლემა ამ შეხვედრაზე ყველაზე გამჭრიახი პოლიტიკოსის პოვნაა. ჩვენ მივალწიეთ ამას; ჩვენ ამას ყოველდღე ვაკეთებთ; და ვფიქრობ, რომ თქვენ განსჯით და გაიაზრებთ ფაქტს, მიხვდებით, რატომ ვესხმოდით თავს კერძო საკუთრებას, რატომ ვესხმოდით თავს კაცებს, რომლებიც ისე არიან დაკავებულნი თავიანთ საკუთრებასა და ბიზნესზე ზრუნვით, რომ ხმის მიცემაც კი გადაავინწყდათ, რატომ ვუშლიდით ხელს მამაკაცებს სიამოვნების მიღებაში, რომლებმაც მთელი თავიანთი ცხოვრება ისედაც გართობას მოახმარეს და რომლებმაც არც კი იციან, რომელ პოლიტიკურ ძალას უპყრია ხელთ ძალაუფლება. ყველა ამ ადამიანს უნდა გაეკეთებინა ყველაფერი, უნდა განეხორციელებინა საკმარისი ზეწოლა მთავრობაზე, ეიძულებინა ისინი, მოეგვარებინათ ქალთა უფლებების საკითხი. სწორედ ეს არის გასაღები. არსებობს ძველი ინგლისური ანდაზა, რომელმაც შესაძლოა ნათლად დაგვანახოს ის მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით: „შეუძლებელია გამოაფხიზლო ბრიტანელი, სანამ მის ჯიბეს არ შეეხები“. სრული

სიმართლეა. შესაძლოა ახლა მიხვდეთ, თუ რატომ ვფიქრობთ ჩვენ, ქალები, რომ აუცილებელია ქონებაზე თავდასხმა, ქონებაზე, რომელიც ყველაზე მეტად ფასობს თანამედროვე ცხოვრებაში, იმისთვის, რომ გამოიღვიძოს ამ ხალხმა და გააანალიზოს, ქალებსაც საარჩევნო უფლებები სურთ, ვაპირებთ მათთვის უფრო შემანუხებელი გავხადოთ ეს ზენოლა, სანამ ქალები არ მიიღებენ ხმის უფლებას, რადგან სასურველი მიზნის მიღწევა შესაძლებელია ხალხისთვის დისკომფორტის შექმნით და არა კომფორტის ზონაში ყოფნით. ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც ყველამ უნდა შევიმეცნოთ.

არ ვიცი, მისის ჰეფბერნ, გამოვიყენე თუ არა შესაფერისი ილუსტრაცია ჰართფორდში, მაგრამ ნამდვილად შესანიშნავია: ღირს კვლავ გამოყენება. ვთქვათ, გყავთ ორი ძალიან მშვენიერი ბავშვი, რომლებსაც უნდათ, რომ აჭამოთ. ერთ-ერთი მომთმენი ბავშვია და უსაზღვროდ შეუძლია მოცდა, სანამ დედამისი მის გამოკვებას შეძლებს. მეორე სულსწრაფია და დაქანცვამდე ტირის, ყვირის, ფეხებს იქნევს და ყველას ანუხებს, სანამ არ აჭმევენ. ყველამ მშვენივრად ვიცით, პირველს რომელს აჭმევენ. ეს არის პოლიტიკის მთელი ისტორია. სენტიმენტების გვერდზე გადადებით, ხალხი, ვისაც ნამდვილად უნდა ცვლილებები, ამ გაკვეთილს ძალიან მალე აითვისებს. მხოლოდ თავისი მდგომარეობით საკმაოდ კმაყოფილი ადამიანები განაგრძობენ ისეთი ხალხის განუსაზღვრელად დაცვას, ვინც პოლიტიკაში მომთმენი ბავშვის როლს თამაშობენ. შენ ნებისმიერ სხვაზე მეტად უნდა იხმაურო, შენ სხვაზე მეტად უნდა იყო ყურადღების ცენტრში, შენ უნდა შეავსო ყველაზე მეტი წერილი, ფაქტობრივად, შენ ყოველთვის იქ უნდა იყო და თვალი ადევნო ქვეშ არ მოგიყოლონ, თუ შენი რეფორმის სისრულეში მოყვანას რეალურად აპირებ. სწორედ ამას ვაკეთებდით და ჩვენი თავგანწირული ბრძოლის განმავლობაში ძალიან ბევრ ადამიანს დისკომფორტი შევუქმენით. ერთ-ერთი ქალი დააკავეს ლონდონში იმ ადგილზე, სადაც უამრავი ფანჯარა იყო ჩამსხვრეული მთავრობის მიერ თაღლითობის ფაქტის გასაპროტესტებლად, რაც წარმოუდგენელი იქნება ორმოცდაათ წელიწადში, როდესაც ამ ქმედებების შესახებ ისტორიებს წაიკითხავენ. ქალებმა პროტესტის ნიშნად ჩაღწეს ფანჯრები: მათ ჩაღწეს მალაზიის მეპატრონეების ფანჯრები; მათ ჩაამსხვრიეს იმ მეპატრონეების ფანჯრები, რომელთა მალაზიებშიც დახარჯეს თავიანთი ფულის დიდი ნაწილი

ქუდებსა და ტანსაცმელში. მათ, ასევე, ჩალენეს ბევრი კლუბის, პიკადილის ფეშენებელური კლუბების ფანჯრები.

ერთ-ერთი იყო „გარდ ქლაბი“. როგორც წესი, ჩვეულებრივი ჯარისკაცები დიდად არ არიან ჩართულნი პოლიტიკაში, მაგრამ ძალიან ხშირად მათ, არისტოკრატიული და სოციალური კავშირების გამო, აქვთ ანგარიშგასანევი გავლენა, თუ ამას გამოიყენებენ. ერთ-ერთმა ქალბატონმა ჩატეხა „გარდ ქლაბის“ ფანჯარა და ამ დროს ის მშვიდად იდგა, სანამ კლუბის კარისკაცი არ მივიდა და მანამ არ გაუშვა, სანამ პოლიციამ არ დააპატიმრა. ბევრი გვარდიელი გამოვიდა, რათა ენახათ ქალი, რომელმაც მათი ფანჯარა ჩატეხა და ამ დროს ხელში შერჩათ საკმაოდ პატარა ქალბატონი. ბედმა გაუღიმა, მსახიობი რომ გახდა ქალი, რომელიც ჩვენს ძალადობრივ მსვლელობას შემოუერთდა, რადგან იცოდა მსახიობი ქალის ცხოვრების თანმდევი სირთულეები, საფრთხე და ცდუნებანი, თუ რამდენად ცუდად ანაზღაურებადი პროფესიაა, საკუთარი მწუხარებითა და გასაჭირით, და იმიტომ შეუერთდა ჩვენს ძალადობრივ ქმედებებს, რომ რაც შეიძლება მალე მოეპოვებინა მსახიობი ქალებისთვის საარჩევნო უფლებები, რადგან ხმის უფლების წყალობით ისინი უკეთესი პირობების მოპოვებას შეძლებენ. ზოგიერთმა გვარდიელმა, რომლებმაც, ვფიქრობ, არ იცოდნენ საშოვარზე გასვლა რა იყო, რომელთაც კაცის ცხოვრების სირთულეების არაფერი გაეგებოდათ, რომ აღარაფერი ვთქვათ ქალის ცხოვრების სირთულეებზე — გამოვიდნენ და ჰკითხეს ამ ქალს: „რატომ ჩაამსხვრიე ჩვენი ფანჯარა? ჩვენ ხომ არაფერი გაგვიკეთებია“. მან უპასუხა: „სწორედ იმიტომ ჩავამსხვრიე, რომ არაფერი გაგიკეთებიათ“. ალბათ, ამ ქალის მიერ ფანჯრის ჩატეხვას მოჰყვა ჩემს ქვეყანაში მცხოვრები მამაკაცების მსვლელობა, სადაც აღმოვაჩინეთ სახელგანთქმული მამაკაცები, რომლებიც ბურების ომში იბრძოდნენ, ახლა ისევე იბრძვიან, როგორც სერ ედუარდ ქარსონი ბელფასტში, მეზრძოლი ქალების დასაცავად გარჯილი კაცები. შესაძლოა „გარდ ქლაბის“ ჩატეხილმა ფანჯარამ ითამაშა დიდი როლი კაცების გამოღვიძებაში ქალების დასაცავად და უსამართლო ვითარების აღმოსაფხვრელად.

შემდეგ მოდიან მაღაზიის მეპატრონეები, რომლებიც ვერ მიმხვდარიყვნენ მიზეზს, თუ რატომ ჩავამსხვრიეთ მათი ფანჯრები. რატომ განენწყებოდნენ ისინი ჩვენს მიმართ სიმპატიით? მაგრამ ამ კითხვის დასმა სხვაგვარადაც შეიძლება, პატივცემულებო – რატომ უნდა დაიმსახურონ მაღაზიის მფლობელებმა მათი კლიენტების

კეთილგანწყობა მათ მიერ პოლიტიკური უფლებების მოპოვებაში დახმარებაზე უარის თქმით, უფლებით, რომლითაც ქალები უკეთეს მდგომარეობას მოიპოვებენ, ის ქალები, რომლებიც მალაზიის მფლობელებს ფულის შოვნაში ეხმარებიან მისი მალაზიის მომსახურების სარგებლობით, თანაც უფრო მარტივად, ვიდრე ეს ხდება დღეს? ზამთრის სეზონის დასაწყისში, როდესაც ზამთრის ყველა ქუდი და ქურქი ვიტრინებშია გამოფენილი, მალაზიის მფლობელებს უწევთ ვიტრინებზე ხის ბარიკადების აღმართვა, რის შემდეგაც ველარავინ შეძლებს ზამთრის სეზონის კოლექციის დათვალიერებას. ისევ გამოუვალი სიტუაცია იქმნება. მეპატრონეები ვერ ჩამოაგდებენ განხეთქილებას თავის მომხმარებელთან, ამის წყალობით, ლონდონის მალაზიების მეპატრონეთა შორის პრაქტიკულად უფრო დიდი კეთილგანწყობით ვსარგებლობთ, ვიდრე ოდესმე, როცა მშვიდი, დამყოლი, კარგად აღზრდილი უფლებადამცველები მშვიდობიანი გზით ითხოვდნენ ქალებისთვის ხმის უფლების მინიჭებას.

ამის შემდგომ იყვნენ განცხრომაში მყოფი კაცები, ან ბიზნესმენები, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში ფულის კეთებით იყვნენ დაკავებულნი და ერთადერთი, რაც მათ ანალვლებდათ, იყო კვირის ბოლოს განტვირთვა, ხოლო ყველაზე დიდ განტვირთვად ინგლისში დღეს გოლფის თამაში ითვლება. მათ იმ დონეზე მოახდინეს გოლფის კავშირების მონოპოლიზება, რომ სპეციალური წესიც კი შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც, ქალბატონებს კვირის ნებისმიერ დღეს შეეძლოთ გოლფის თამაში, თუმცა შაბათს და კვირას გოლფის მოედნები მხოლოდ კაცებს ეკუთვნოდათ: თქვენს წინაშეა სანახაობა, თუ როგორ გადაადგილდებიან მამაკაცები ლონდონიდან გარეუბანში შაბათ-კვირის გოლფის თამაშში გასატარებლად. ქალბატონებო, ისინი არ ინუხებენ თავებს იმაზე ფიქრით, თუ როგორ მართონ ქვეყანა უკეთ თქვენს სასიკეთოდ, თუ რამდენად კარგი კანონის შექმნა შეუძლიათ როგორც თქვენთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის: მაგრამ ისინი სხვაგან არიან, თავიანთ ჯანმრთელობას უფრთხილდებიან, თუმცა კვირის ბოლოა და ვერ ვამტყუნებ. აქედან გამომდინარე, ჩვენ თავს დავესხით გოლფის მოედნებს; გვინდოდა, გვეიძულებინა ისინი, ეფიქრათ, თუ ლონდონში ყოფილხართ და თან გქონიათ კვირის გაზეთი, აუცილებლად წაიკითხავდით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გოლფს თამაშობთ, თავზარდაცემული, რომ მთელი მწვანე საფარი, რომლის შე-

ქმნასაც წლები დასჭირდა, დანაკუნდა და განადგურდა მჟავით, ან უბრალოდ შეუძლებელია პარასკევს საღამოს აქ თამაშის გამართვა, ხოლო ხშირ შემთხვევაში შაბათს და კვირას ამ მოედანზე მნიშვნელოვანი მატჩები ტარდება ხოლმე.

უბრალოდ თქვენს წინაშე იმ მეთოდების ეფექტურობის ილუსტრირებას ვახდენ, რომლებმაც ბრიტანელი კაცები გამოაფხიზლა, აჩვენა მათ, რომ ქალებს სურთ ხმის უფლება და ვაპირებთ კიდევ ამ უფლების მოპოვებას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამის მისაღწევად კაცების მიერ არჩეული გზას არ დავადგებით. მე ვრჩებოდი გოლფის მოედანზე მდებარე სოფლის პატარა სახლში, რომელიც დროებით გადმომცეს, რომ სამსახურისგან თავისუფალ ნებისმიერ დროს მივსულიყავი, რამდენიმეჯერ კვირა დღეს დილით მივიღე სატელეფონო ზარი ჯელტმენისგან, რომელიც აქვე მდებარე გოლფის კლუბის ცნობილი წევრი იყო. ისე მოხდა, რომ იმ გოლფის მოედანს, სადაც მე უქმეებს ვატარებდი, ხელი არ ჰქონდა დაკარებული. ამ მოედნებს პატივისცემით ეპყრობოდნენ, რადგან რამდენიმე გამორჩენილ უფლებადამცველ ქალს გაუმართლა და გოლფის კლუბის წევრთა შორის მოხვდა, ხოლო იმ ქალებმა, რომლებმაც გაანადგურეს მწვანე საფარი — არ ვიცი ვინ იყვნენ ისინი, მაგრამ ეჭვგარეშეა სწორედ ქალების ნამოქმედარი იყო — დაინდეს ის მოედნები, რომლებზეც მათთვის პატივისცემი და სათაყვანებელი ქალბატონები თამაშობდნენ. მოკლედ, ამ დილის შემდეგ მე განუწყვეტლივ ვიღებდი ზარებს ჯელტმენებისგან, რომლებიც მეხვეწებოდნენ გოლფის ამ მოედნების დანდობას, ამბობდნენ: „არ ვიცი, იციან თუ არა შენმა მიმდევრებმა, რომ ჩვენ ყველა უფლებადამცველები ვართ, მთელი ჩვენი გაერთიანება ქალების უფლებადამცველების მიმართ კეთილადაა განწყობილი“. მე კი ვუპასუხე: „არ ფიქრობთ, რომ უმჯობესია ბატონ ასქუითს გაუმეოროთ იგივე, რადგან, თუ მართლაც სუფრაჟისტები ხართ და არაფერს აკეთებთ, ბუნებრივია, ქალების მხრიდან მხოლოდ წყრომას დაიმსახურებთ. თუ მართლა გსურთ თქვენი გოლფის მოედნების გადარჩენა, შეატყობინეთ მისტერ ასქუითს, რომ სწორედ შესაფერისი დროა თავისი პრინციპები მოქმედებაში მოიყვანოს და მისცეს ქალებს ხმის უფლება“. ერთმა ჯელტმენმა დამირეკა და მითხრა: „ჩვენი კომიტეტის წევრები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალთა ხმის უფლებას იცავს, სერიოზულად ფიქრობს ყველა ქალის კლუბიდან გაძევებას, თუ ეს ძა-

ლადობრივი აქტები კიდევ გაგვრძელდება“. „იციტ რა“, — ვუთხარი, — „არ ფიქრობთ, რომ თქვენი უსაფრთხოება გარანტირებული იქნება დაზღვევის სახით ქალების კლუბში დატოვებით, იმ შემთხვევაში, თუ თქვენს გოლფის მოედნებს რაიმე დაემართება?“.

მაგრამ ეს გამოცდილება გაჩვენებთ თქვენ, რომ თუ ნამდვილად გინდათ, რაღაც გაკეთდეს, დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება, დაკარგავთ თუ არა კეთილგანწყობას; კეთილგანწყობა დიდად დამაკმაყოფილებელი რამ არაა, თუ დახმარების სურვილი არაპრაქტიკულია. „ქალთა ხმის უფლებისთვის“ ნამდვილი მებრძოლებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, დაკარგავს თუ არა იმ კეთილგანწყობას, რომელსაც მათთვის არანაირი გამოყენება არ ჰქონია. რაც მას სურს, არის რაიმე ქმედითის გაკეთება და ეს კეთილგანწყობის დამსახურება იქნება თუ შიშის, ან იქნებ იმის, რომ გინდა ისევ კომფორტულად იყო და ამ მხრივ სანერვიულო არაფერი გქონდეს, პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც კი მიზანს მიაღწევ. ორმოცდაათი წლის წინ საკმარისი კეთილგანწყობა გვქონდა; ამას ჩვენთვის არაფერი მოუტანია და ჩვენ ბევრად გვირჩვენია, გვყავდეს გაბრაზებული მამაკაცები, რომლებიც მიდიან მთავრობაში და ეუბნებიან, რომ მათ ბიზნესში ერევიან და აღარ უნდათ ეს ხელის შეშლა კიდევ დიდხანს გაგრძელდეს იმის გამო, რომ ქალებს ხმის უფლებას არ აძლევთ, იმ ჯელტმენებს, რომლებიც წლიდან წლამდე გამოდიან პლატფორმებზე და ლაპარაკობენ ქალთა ხმის უფლებების მიმართ გულმოდგინე კეთილგანწყობაზე.

ახლა კი, ნება მომეცით, მივუბრუნდე მეტად სერიოზულ საკითხს და ზოგიერთ უახლეს მოვლენას. თქვენ იცით, რომ როდესაც ომი გაქვთ, უკლებლივ ყველა ჩვენგანს გვენანება ბევრი რამ, რაც ხდება. ჩვენ არც ისე დიდი ხნის წინ ვიბრძოდით დიდ ომში სამხრეთ აფრიკაში. ომში ქალები მზად იყვნენ, მშვიდად გაესწორებინათ თვალი მათთვის უძვირფასესი დანაკარგისთვის; მზად იყვნენ, საკუთარი თავის განადგურებას შეგუებოდნენ; ისინი მზად იყვნენ, ზუსტად კაცების მსგავსად, ეზღვიათ ომის საფასური იმ ბრძოლისთვის, რომელზეც ქალებისთვის რჩევისთვის არავის მიუმართავთ. როდესაც ომის ობიექტზე ფიქრობთ, ზოგ ჩვენგანს აღშფოთება გვეუფლებს ჩვენი კრიტიკის ორპირობაზე. ამ ომში, თვალნათლივ, ზუსტად იმისთვის იბრძოდნენ, რომ ყველა თეთრკანიანისათვის თანასწორი უფლებები მოეპოვებინათ სამხრეთ აფრიკაში. მთელი ქვეყანა აღელდა. ჩვენ გვჭირდა დაავადება, სახ-

ელად მაფეკა, რადგან, როდესაც მაფეკინგის გამარჯვება მთელი ქვეყნისთვის ნათელი გახდა, ყველა, გარდა ხალხის მცირე ჯგუფისა, რომელიც ცდილობდა, სტაბილურობა შეენარჩუნებინა, კმაყოფილებისგან გადაირია ომისთვის შეწირული ათასობით სიცოცხლის გამო. ამ ომში იბრძოდნენ თეთრკანიანებისთვის ხმის უფლების მოსაპოვებლად სამხრეთ აფრიკაში, რამდენიმე წლით ადრე, სანამ ისინი მათ ასეთ მდგომარეობაში ჩააყენებდნენ და ეს იმ მიზეზით იყო გამართლებული, რათა მიეღწიათ სამხრეთ აფრიკის მთავრობაში მამაკაცების ხმის უფლებისთვის, რომლებიც ისედაც მიიღებდნენ ხუთ ან ექვს წელში ხმის უფლებას, რომ მოეცადათ. ეს მიიჩნეოდა თანამედროვეობის ყველაზე ძვირადღირებული და სისხლიანი ომის საკმარის გასამართლებელ საბუთად.

ძალიან კარგი, მაშინ, როდესაც თავს გადაგხდება ომი, ხალხი იტანჯება; იტანჯებიან როგორც მშვიდობიანი მოსახლეობა, ისე მებრძოლები. ასე ხდება სამოქალაქო ომშიც. როდესაც თქვენმა წინაპრებმა ბოსტონის ნავსადურში ჩაი გადაყარეს, ძალიან ბევრ ქალს მოუწია ჩაის გარეშე წასვლა. უჩვეულოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ არ უპასუხეთ ამ ქმედებას ვისკის გემიდან ზღვაში გადაღვრით; თქვენ განირეთ ქალები; და ძალიან ბევრ ომში რომლებშიც მამაკაცებმა ბევრად გაითქვეს სახელი, სინამდვილეში ქალებმა უფრო დიდი მსხვერპლი გაიღეს, ვიდრე ნებისმიერმა კაცმა. ეს ყოველთვის ასე იყო. ძალაუფლების მქონეთა დიდება, ძალაუფლების მქონეთა გავლენა ბრძანებს დიდი ყურადღების მიპყრობას; იმ ხალხის ჩივილი, რომელსაც ძალაუფლება სრულებით არ გააჩნია, განწირულია დასავიწყებლად. ეს კაცობრიობის უფლებების ისტორიის დასაწყისია.

ჩვენს სამოქალაქო ომში ხალხი იტანჯებოდა, მაგრამ ომლელს ვერ მოამზადებ კვერცხის გატეხის გარეშე; სამოქალაქო ომი ვერ გექნება რალაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. კარგია, როცა ხედავ, რომ აბსოლუტური საჭიროების გარდა, მეტი ზიანი არ დამდგარა, რომ ზუსტად იმდენი გააკეთე, რაც საჭიროა იმ გრძნობის გამოსაღვიძებლად, რომელსაც მშვიდობა მოაქვს, რომელსაც თან სდევს პატივისცემი მშვიდობა ჯარისკაცებისთვის და სწორედ ამას ვაკეთებდით. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც თქვენ ნაიკითხეთ — არ ვიცი რამდენად აკურატილია ამერიკაში ახალი ამბების ქსელები. მე ყოველთვის უმარტივო მეჩვენება, როდესაც ვკითხულობ — მაგრამ თქვენ ბოლო რამდენიმე დღის

განმავლობაში წაიკითხეთ, რომ უფრო მეტი ცარიელი სახლი დაინვა, რომ კაკტუსის სახლი განადგურდა და ზოგიერთი ფასდაუდებელი მცენარე ინახებოდა აქ, რომ დასასვენებელ ადგილებში ზოგიერთი პავილიონი ასევე დაინვა. შეიძლება ითქვას, სრულიად შესაძლებელია ასეც მომხდარიყო.

ვიცი, რომ სანამ აქ ჩამოვიდოდი გლაზგოსა და ლონდონს შორის სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირები მთლიანად შეჩერებული იყო მთელი დღის განმავლობაში. ჩვენ ინგლისში სამოქალაქო ომის დროს უფრო მეტი გავაკეთეთ ერთი ადამიანის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვის გარეშე, ვიდრე მათ ბალკანეთის ქვეყნების ბრძოლაში, როდესაც ადრიანოპოლზე ალყა ჰქონდათ შემორტყმული, რადგან მთელი ალყის განმავლობაში, მთელი პროცესის განმავლობაში, რომელშიც ათასობით ადამიანი მოკვდა და სახლები ნანგრევებად იქცა და განადგურდა, სატელეგრაფო კომუნიკაციები მთელი ამ დროის განმავლობაში მუშაობას განაგრძობდა. თუ ადრიანოპოლში იქნებოდა საფონდო ბროკერი, რომელსაც ლონდონში მყოფ კლიენტთან კომუნიკაცია დასჭირდებოდა, შეძლებდა კიდევ; შესაძლოა ყოფილიყო მცირე შეფერხება, თუმცა ამის გაკეთებას მაინც შეძლებდა, მაგრამ ჩვენ, ჩვენს ომში ერთი დანაკარგის გარეშე, იმის ცდაში, რომ გვეიძულებინა ბიზნესმენები, მიემართათ მთავრობისთვის ჩვენთვის ხმის უფლების მოცემის თაობაზე, რადგან მათ უკიდურეს ვითარებაში შეუძლიათ ამის გაკეთება, მთლიანად აღვკვეთეთ ლონდონის საფონდო ბროკერების მიერ გლაზგოს საფონდო ბროკერებთან დეპეშების გაგზავნა და პირიქით; მთელი დღის განმავლობაში სატელეგრაფო და სატელეფონო კომუნიკაციები სრულად შეწყდა. არ ვაპირებ იმის თქმას, თუ როგორ გაკეთდა ეს, არ მოგიყვებით, თუ როგორ მივიდნენ ქალები მაგისტრალურ ტრანსფორმატორთან და გადაჭრეს კაბელები; მაგრამ ეს მოხდა. ეს მოხდა და დამტკიცდა ამ სუსტი ქალების წინამძღოლების მიერ, ქალთა ხმის უფლების დამცველი ქალების მიერ, როგორსაც მოელიან, რომ ვართ, რომლებსაც გვაქვს საკმარისი გამჭრიახობა, შევქმნათ ამგვარი სიტუაცია. ახლა კი გვეკითხებით, არსებობს კი ჩვენი შესაძლებლობის ზღვარი, გარდა იმ ლიმიტისა, რასაც საკუთარ თავს ვუნწესებთ?

თუ ებრძვით ინდუსტრიულ რევოლუციას, თუ ერთი კლასის ქალები და კაცები დაარწმუნეთ, რომ წინ აღუდგნენ სხვებს, შეგიძლიათ მარტივად იპოვოთ, სად არის სირთულე, დაპირისპირე-

ბა. დიდი ინდუსტრიული გაფიცვის დროს ზუსტად იცი, სად არის ძალადობა, ყველამ იცის, როგორ აწარმოოს ომი. მაგრამ ჩვენს ომში მთავრობის წინააღმდეგ, მას ვერ იპოვით. შეგიძლიათ ამ პლატფორმაზე აგვიყვანოთ მე და მისის ჰეფბერნი, მაგრამ თქმის გარეშე როგორ მიხვდებით, რომ ის არ არის მებრძოლი და მე ვარ? სრულიად შეუძლებელია. თუ აქ დამსწრეთაგან რომელიმე მამაკაცს ქალიშვილები ჰყავს, თუ მას უცხოვრია ინგლისში და თავადაც ინგლისელია, სახლში მისვლისას, როცა ცოლ-შვილს შეხედავდა, ვერ მიხვდებოდა, მის ქალიშვილთაგან რომელიმე მებრძოლი იყო თუ არა. როცა მისი ქალიშვილები გარეთ გადიოდნენ წერილის გასაგზავნად, ის ვერ ხვდებოდა, რას აპირებდნენ, — ამ წერილით ჩოგბურთის სათამაშოდ შეხვედრის დანიშვნას, თუ საფოსტო ყუთში კოროზიული ნივთიერების ჩაყრას წერილების დასაწვავად. ჩვენ ნიშნები არ გაგვაჩნია. ჩვენ ყველა კლასს ვეკუთვნით. ჩვენ შევდივართ ყველა კლასში უმალლესიდან უმდაბლესამდე. და როგორც ხედავთ, ქალთა ამ სამოქალაქო ბრძოლასთან გამკლავება, როგორც ჩემმა ძვირფასმა თანამოქალაქე მამაკაცებმა აღმოაჩინეს, შეუძლებელია. მას ვერ იპოვი და ვერ შეაჩერებ.

„დააპატიმრეთ“, ამბობენ ისინი, „ეს მათ შეაჩერებს“. მაგრამ ასე არ მოხდა. მათ ქალები ციხეში ჩასვეს დიდი ხნით, თავისუფლების აღკვეთის მიზნით, უსიამოვნების გამონწვევისთვის — სწორედ ეს იყო მათი პასუხი, როცა ქალებმა პეტიციებით ხელში კარდაკარ ჩამოიარეს სახლები; იფიქრეს, რომ მათი ციხეში ჩასმით, ერთდღიანი თავისუფლების აღკვეთით შეძლებდნენ, დაეწყნარებინათ ყველა და აერიდებინათ მეტი უსიამოვნება. მაგრამ ასე არ მოხდა. დანებების ნაცვლად, მეტი ქალი ჩაერთო, მეტი და მეტი და მეტი, სანამ სამასამდე არ შეიკრიბნენ ისე, რომ არცერთი კანონი დაურღვევიათ, მხოლოდ „შემანუხებლები გახდნენ“, როგორც ამას პოლიტიკოსები უწოდებდნენ. შემდეგ იფიქრეს, რომ უფრო შორს უნდა წასულიყვნენ და საკმაოდ სერიოზული სასჯელები დაანესეს. მოსამართლემ, რომელმაც გასულ მაისს სამწლიანი თავისუფლების აღკვეთა მომისაჯა რამდენიმე გამოსვლისთვის, რომელშიც პასუხისმგებლობას ვიღებდი ქალთა მიერ ჩადენილი ძალადობისთვის, თქვა, რომ, თუ ბოდიშს მოვიხდით და პირობას დავდებდი, აღარასდროს მოვქცეულიყავი ასე, გადახედავდა სასჯელს და შეამცირებდა მას, რადგან თავადაც აღიარებდა, რომ ეს სასჯელი ძალიან მძიმე იყო, თანაც, მსაჯულთა რეკომენდაციით შეწყა-

ლებული უნდა ვყოფილიყავი ჩემი მოტივების სინმინდის გამო. მოსამართლემ მითხრა, რომ განსაზღვრულ სასჯელს მისჯიდა, რათა დავერწმუნებინე, თავი დამენებებინა „ბოროტი გზებით“ ბრძოლისათვის და სხვებიც დაეფრთხო, რათა ჩემთვის აღარ მოეხდათ. მაგრამ ამასაც არ მოუხდენია გავლენა. პირიქით, მეტი და მეტი ჩაერთო ამ პროცესში და მეც ნავაქეზე ისინი, უფრო გაბედულნიც გავხდით. ამ სასჯელმა აგიტაცია ვერ დაამარცხა.

როცა იგრძნეს, რომ რამე უნდა გაეკეთებინათ, კანონების გამოცემა დაიწყეს. აქ დამსწრე მამაკაცებს მინდა ვუთხრა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ, რომელიც არ არის ცნობილი სამართავად მსუბუქი კანონების გამოცემით, ამ აგიტაციის წინააღმდეგ დაიწყო, როგორც არასდროს ისეთი მკაცრი კანონების მიღება ჩემი ქვეყნის პოლიტიკური აგიტაციების ისტორიაში. მათ შეძლეს, დაემარცხებინათ ჩარტისტი რევოლუციონერები, დაამარცხეს სავაჭრო კავშირის აგიტაციები, დაამარცხეს 1867 და 1884 წლების რეფორმების მოწინააღმდეგე რევოლუციონერები, მაგრამ ჩვეულებრივი კანონები საკმარისი არ აღმოჩნდა ამბოხებულ ქალთა ასალაგმად. მათ უნდა მიეღოთ სპეციალური კანონმდებლობა. და ახლა ის დროა, აღიარონ, რომ ისიც დამარცხდა. მათ მოუწიათ ისტორიაში უკან დაბრუნება, შუა საუკუნეებში ჩაძირვა, რათა აჯანყებულ ქალთა დამარცხების, რეპრესირების გზები ეპოვათ, თუმცა მთელი ისტორია აჩვენებს, როგორი ამაოა დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად მიჩნეულ კაცთა მცდელობა, გაუმკლავდნენ უკმაყოფილო ქალებს, რომელთაც განზრახული აქვთ, სამოქალაქო უფლებები მოიპოვონ და რომლებიც არ დაემორჩილებიან მთავრობას, სანამ მათ თანხმობას არ მიიღებენ. ეს არის მთელი აგიტაციის მიზანიც. ანტისუფრაჟისტების არგუმენტი კი ის არის, რომ შეგიძლია მართო ადამიანები მათი თანხმობის გარეშეც.

მათ უთქვამთ, რომ ხელისუფლება ძალაუფლებას ემყარება. ქალებს ძალა არ გააჩნიათ, ამიტომაც უნდა დამორჩილდნენ. თუმცა, ჩვენ ვაჩვენებთ მათ, რომ ხელისუფლება სულაც არ ემყარება ძალაუფლებას; რომ ის თანხმობას ემყარება. სანამ ქალები თანხმდებიან, უსამართლოდ იყვნენ მართულნი, ეს შესაძლებელია, თუმცა ქალები ამბობენ: „ჩვენ არ ვთანხმდებით, ჩვენ არ ვიქნებით თქვენგან მართულები, სანამ მთავრობა უსამართლოა“. სამოქალაქო ომის ძალით ყველაზე სუსტ ქალსაც კი ვერ მართავ. შეგიძლია მოკლა, მაგრამ ასე ის გაგექცევა. და ეს არის ჩვენ მიერ

მსოფლიოსთვის ყველაზე ღირსეული დემონსტრირება. ჩვენ ვამტკიცებთ და პირადად ვართ იმის საბუთი, რომ ხელისუფლება ემყარება თანხმობას და არა ძალას. სანამ ხალხი თანხმდება, მართვა ძალიან მარტივია, მაგრამ როგორც კი უარს იტყვის, დედამიწაზე ვერცერთი ძალის გამოყენებით ველარ მართავ ადამიანს, როგორი სუსტიც უნდა იყოს. ის უცნაური მოვლენები, რაზეც წაგიკითხავთ, არის მანიფესტაცია ქალთა, რომელთაც უარი თქვეს თანხმობაზე.

თავიდან, როცა ციხეში გამოგვამწყვდიეს უბრალო პეტ-იციებისთვის, ჩვენ დავანებეთ, გამოვეწყვეთ პატიმრის ფორმაში, დავანებეთ, მარტოსულ პატიმრებად ვექციეთ, დავანებეთ, მოგვქცეოდნენ, როგორც ჩვეულებრივ დამნაშავეებს და მათ შორის ყველაზე უარესთა შორის მოვეთავსებინეთ. ჩვენ მოხარულნი ვიყავით ასეთი გამოცდილების მიღებისთვის, რადგან გავიაზრეთ საპატიმროს რეფორმირების საჭიროება. ჩვენ ვისწავლეთ სახელმწიფოთა იმ საშიშ შეცდომებზე, რომლებიც დაუშვეს ადამიანთა მიმართ მოპყრობისას. გავიგეთ ე.წ. ცივილიზაციის შემადრწუნებელ ბოროტებაზე და ამას სხვაგვარად ვერ მოვახერხებდით, გარდა ჩვენი ქვეყნის სასამართლოების გამოვლისა, იმ ფურგონებით, რომელსაც ციხეში მიჰყავხარ. ეს იყო მართლაც დასაფასებელი გამოცდილება, რომლისთვისაც მოხარულნი ვართ. მაგრამ მოვიდა დრო, როცა ვთქვით: „უსამართლობაა პოლიტიკური აგიტატორების ციხეში გაგზავნა სამართლიანობის მოთხოვნისთვის, აღარ დავმორჩილებით“.

ყოველთვის მოხარული ვარ, ამერიკელ აუდიტორიას ვუთხრა, რომ ორი იმ ქალთა შორის, ვინც პირველები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არ უნდა დამორჩილებოდნენ უსამართლო დაპატიმრებას, იყვნენ ამერიკელი გოგონები, რომლებიც ახლა ბრწყინვალე საქმეს აკეთებენ ხმის უფლებისთვის ამერიკაში, ვაშინგტონში. ჩემი აზრით, ისინი უაღრესად საინტერესოს ხდიან სიტუაციას იქაური პოლიტიკოსებისთვის. არც ვიცი, რამდენად იციან ამერიკელმა ქალებმა ამ ორი ადამიანის შესახებ, რომლებიც სხვებთან ერთად მუშაობენ მათთვის პოლიტიკური უფლების მინიჭებაზე. მე ყოველთვის მეამაყება, ვიფიქრო, რომ მის ლუსი ბარნსი და მის ელის პოლი იყვნენ ხმის უფლებისთვის მეზობლთა რიგებში ინგლისშიც. ერთი-ერთი მათგანი, მთელი ღამის მგზავრობის შემდეგ, სასწრაფოდ ჩამოფრინდა, როგორც მახსოვს, ჰეიდელბერგიდან, რათა მონაწილეობა მიეღო მსვლელობაში პარლამენტის მიმართ პეტ-

იცხით. იგი დააპატიმრეს და ციხეში ჩააგდეს ოცამდე სხვასთან ერთად. და ეს ჯგუფი იყო პირველი, რომელმაც გადაწყვიტა, არ დაებეზულიყო ციხის სამოსს. ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოიყენა შიმშილობა, როგორც პროტესტის ფორმა, კრიმინალური მოპყრობის წინააღმდეგ. მათ თავი დააღწიეს ციხეს. ეს იყო სწორედ ის მომენტი, როცა ქალებმა უარი თქვეს თანხმობაზე.

ვყოფილვარ ისეთ აუდიტორიებშიც, სადაც სიტყვა „შიმშილობის“ გაგონებაზე მამაკაცთა გაღიმებული სახეები დამინახავს. და მაინც, ცოტა კაცი თუ მეგულება, რომელიც რაიმე მიზნისთვის მზად იქნება, „იშიმშილოს“. ეს მხოლოდ ის ხალხია, ვინც წარმოუდგენელ ზენოლას გრძნობს. ჩვენამდე ეს არავის გაუქეთებია რუსი რევოლუციონრების გარდა, რომლებმაც შიმშილობა დაიწყეს ციხეში არსებული მიუღებელი პირობების გამო. ჩვენთან კი ქალებმა გადაწყვიტეს, ბოლო მოეღოთ უსამართლო განაჩენისთვის სწორედ შიმშილობის გზით. ეს ნიშნავს, უარი თქვა საკვების მიღებაზე მანამ, სანამ სიკვდილის კარამდე არ მიხვალ. შემდეგ კი ხელისუფლებამ უნდა აირჩიოს, სიკვდილის ნება დაგრთოს, თუ გაგიშვას. მათ გაშვება ამჯობინეს.

ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ხელისუფლებამ იფიქრა, რომ ძალა დაკარგა და სიტუაციასთან გამკლავება არ შეეძლო. ბრიტანეთის ხელისუფლების სამარცხვინოდ, მათ მთელი მსოფლიოს მმართველებს მისცეს ადამიანის წინააღმდეგობის ძალით ჩახშობის, ჯანმრთელი ადამიანის ძალით გამოკვების მაგალითი. შეიძლება აქ ექიმებიც გვესწრებიან: თუ ასეა, მათ იციან, ერთია, ასე მოეპყრო შეშლილს, ან ისეთი დაავადების მქონდე ადამიანს, რომლისთვისაც ეს აუცილებელია, აიძულო, იკვებოს და სრულიად მეორეა, აიძულო ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც მთელი არსებით, ნერვის ყველა ბოჭკოთი ეწინააღმდეგება ასეთ აღმაშფოთებელ და უღირს საქციელს. ასე მოხდა ინგლისში. მთავრობამაც იფიქრა, რომ დაგვამარცხა. მაგრამ ამანაც ვერ ჩაახშო აგიტაცია, რომელსაც მეტი და მეტი ქალი უერთდებოდა და ამ საშინელ წამებას ინვენევდა. მათ მაინც ვერ შეძლეს ამ იძულებითი გამოკვებით მიეღწიათ იმისთვის, რომ ქალებს ეს უსამართლო განაჩენი მოეხადათ. ამიტომაც იძულებულნი გახდნენ, გაემშვათ ისინი.

ამას მოჰყვა იმ კანონის მიღება, რომელიც უკვე ვახსენე. მას ინგლისში მოიხსენიებდნენ, როგორც „კატისა და თაგვის აქტს“. ის მიიღო ბრიტანეთის თემთა პალატამ. შინაგან საქმეთა მდივანმა

დაარწმუნა თემთა პალატა, რომ ამ კანონპროექტის მიღება კაცობრიობის ინტერესებში შედიოდა. ის ამბობდა, რომ ჰუმანური ადამიანი იყო და არ სურდა ძალის გამოყენებით კვებისთვის მიემართა. მას სურდა, თემთა პალატას მისთვის გზა გაეხსნა, რათა თავიდან მოეშორებინა მოშიმშილეები და ეს, მისი თქმით, ერთადერთი გზა იყო. იგი ამბობდა: „მომეცით ძალაუფლება, გავუშვა მოშიმშილეები, როცა სიკვდილის კართან არიან, დაე, ჰქონდეთ თავისუფლება ჩვენი ნებართვით, სანამ ბოლომდე გამოჯანმრთელდებიან, შემდეგ კი დავაბრუნოთ ციხეში, მე მომანდეთ ნებართვის დროის დანიშვნა, მე მომანდეთ ამ მიუღებელ სიტუაციასთან გამკლავება. კანონი უნდა შესრულდეს და ისინი, ვისაც სასჯელი მიესაჯათ კანონდარღვევისთვის, უნდა ვაიძულოთ, მოიხადონ ის“. თემთა პალატამ მიიღო კანონი. მათ თქვეს: „მაშინვე, როცა ქალები ამას გემოს გაუსინჯავენ, დანებდებიან“. რეალურად, ეს აგიტაციის რეპრესიისთვის იყო მიღებული, რათა ქალები ეიძულებინა, დანებებულიყვნენ. ქალბატონებო და ბატონებო, სწორედ აქამდე დავიდა დაპირისპირება. საქმე მივიდა ბრძოლამდე, თუ ვინ დაყრიდა იარაღს პირველი, დანებდებოდა მთავრობა და ხმის მიცემის უფლება მოგვცემდა, თუ ჩვენ შევეშვებოდით აგიტაციას.

ისინი არ იცნობენ ქალებს. მართალია, ქალები ნელა იღვიძებენ, მაგრამ როცა გამოფხიზლდებიან, როცა საბოლოოდ გადაწყვეტენ, მათ ამ ქვეყნად ვერაფერი შეაჩერებს. ეს შეუძლებელია. ასე რომ, ეს „კატისა და თაგვის აქტივი“, რომელიც ქალთა წინააღმდეგ გამოიყენება, დამარცხდა. ამასთან: შინაგან საქმეთა მდივანმა ისარგებლა იმ ფაქტით, რომ პარლამენტი შეკრებილი არ იყო, რათა ძალები მოეკრიბა და ამასთან, იძულებითი კვებისთვის მიემართა. ახლაც, სიკვდილის კართან არიან ქალები, იკრებენ საკმარის ძალას, რომ გაუძლონ ოპერაციას. მათ ორივე სისტემა გამოუცდიათ და არ დანებებულან, ისინი მზად არიან, როგორც კი ავადმყოფის საწოლიდან ადგებიან, ისევე გააგრძელონ, როგორც უნინ. არიან ქალები, რომლებიც საკაცევებით მიჰყავთ შეხვედრებზე. მართალია, ძალიან სუსტად არიან იმისთვის, რომ ილაპარაკონ, მაგრამ მაინც უერთდებიან თანამებრძოლებს, რათა, აჩვენონ, როგორი დაუცხრომელი და ცოცხალია მათი სული და რომ სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელებენ ბრძოლას!

ახლა მინდა, მათ მივმართო, ვინც ფიქრობს, რომ ქალები წარმატებას ვერ მიაღწევენ. ჩვენ მივიყვანეთ ინგლისის მთავრობა იმ

მდგომარეობამდე, როცა იძულებულია, თვალი გაუხსნოს ასეთ ალტერნატივას: ქალები დაიხოცებიან ან ხმის უფლებას მიიღებენ. ვეკითხები აქ დამსწრე ამერიკელ მამაკაცებს, რას იტყვოდათ თქვენს შტატში რომ ასეთ ალტერნატივას გთავაზობდნენ? დახოცოთ ან მისცეთ მოქალაქეობა ქალებს, რომელთაც პატივს სცემთ, რომელთაც, იცით, ყველასთვის სასარგებლოდ იცხოვრეს, რომელთაც იცნობთ, ან თუნდაც პირადად არ იცნობთ, რომლებიც ანთებულნი არიან უმაღლესი მოტივებით, რომლებიც ეძებენ თავისუფლებას და აქეთ სასარგებლო საჯარო სამსახურის შესაძლებლობა? ამ ალტერნატივას ერთადერთი პასუხი აქვს, ერთი გამოსავალი არსებობს; თუ არ გინდა, ცივილიზაცია ორი-სამი თაობით უკან დააბრუნო, მათ უნდა მისცე ხმის უფლება. ეს არის ჩვენი სამოქალაქო ომის შედეგი.

თქვენ მოიპოვეთ თქვენი თავისუფლება ამერიკაში რევოლუციით, სისხლისღვრით, სიცოცხლის განწირვით. მოიგეთ სამოქალაქო ომი ადამიანთა სიცოცხლის ხარჯზე, როცა გადანყვიტეთ შავკანიანთა ემანსიპაცია. მაგრამ თქვენ, ისევე, როგორც დანარჩენმა მსოფლიომ, მიატოვეთ ქალები, თავად ეპოვნათ ხსნა. ამას აკეთებენ ინგლისელი ქალები. ადამიანის სიცოცხლე ჩვენთვის წმინდაა. თუ ვინმეს სიცოცხლე გაინირება, ეს ჩვენივე უნდა იყოს. ამას არ გავაკეთებთ ჩვენი ხელით, მაგრამ მტერს ჩავაყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ გადანყვიტოს, მოგვცეს თავისუფლება ან სიკვდილი.

ეთანხმებით ამას თუ არა, უნდა დაინახოთ, რომ ქალთა საარჩევნო ხმის უფლებისთვის ბრძოლა გადავიყვანეთ იმ ფაზაში, სადაც ის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი იგნორირება შეუძლებელია. ყველაზე გამაგრებული პოლიტიკოსიც იყოყმანებს, აიღოს პირდაპირი პასუხისმგებლობა უდავოდ ღირსეულ, მიზნისადმი გულმოდგინე ქალების სიცოცხლეთა განწირვისთვის. ასეთი პოლიტიკური მდგომარეობაა დღეს.

ნება მიბოძეთ, გითხრათ, რა მოიტანა ამან, რამდენადაც მიხვდებოდით, მხოლოდ ძალიან ძლიერი მოტივი თუ მიიყვანდა ქალებს იმის ჩადენამდე, რაც ჩვენ ჩავიდინეთ. ცხოვრება ყველა ჩვენგანისთვის ტკბილია. ყველა ადამიანს უყვარს სიცოცხლე, ყველაფერი კარგი, რასაც ის გვაძლევს და ბედნიერება. ჩვენ ინგლისში გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რამაც, არათუ ორი და სამი, ათასობით ქალი

მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ თვალი გაესწორებინა ყოფისთვის, რომელსაც მე გადაჭარბების გარეშე აღვინერო.

შეიძლება, ორი-სამი ღამე დავხარჯო არსებული ინდუსტრიული სიტუაციის გასამკლავებლად, რომელიც გავლენას ახდენს ქალებზე, მათ სოციალურ თუ სამართლებრივ მდგომარეობაზე. მინდა მოკლედ, ორი-სამი სიტყვით ვთქვა ამ ყველაფერზე. პირველ ყოვლისა, მშრომელი ქალის მდგომარეობა. ერთ-ერთი გარემოება, რაც უდიდეს ძალას აძლევს ჩვენს აგიტაციას, ისაა, რომ ქალები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ პროცესებში, არ არიან ყველაზე ღარიბები ან გადაღლილები, ისინი იბლლიანები არიან, მათ რაიმე პირადი საჩივარი არ გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ისინი თავისთვისაც იბრძვიან, უნდათ, თავისუფალნი იყვნენ, თუმცა უმთავრესად მათთვის, ვისაც მათსავით არ გაუმართლათ. დიდი ბრიტანეთის ინდუსტრიულ მუშაკებს აქვთ საშუალო ანაზღაურება, ყურადღება მიაქციეთ, არა მინიმალური, საშუალო, ორ დოლარზე ნაკლები კვირაში. დაფიქრდით, რა მოხდებოდა რომელიმე ქვეყანაში მამაკაცები იმ ქვეყნის ინდუსტრიაში ასეთი ხელფასით რომ დაკმაყოფილებულიყვნენ? ათასობით ქალს — რადგან ჩემს ქვეყანაში ხუთ მილიონზე მეტი პირი იღებს ხელფასს — ჰყავს საკუთარ კმაყოფაზე მყოფი, მათ შორის ბავშვები. მიტოვებული ქალები ბავშვებით, ან ავადმყოფი მეუღლეებით, დაუქორწინებელი დედები, ან დაუოჯახებელი ქალები, რომელთაც მოხუცი მშობლებით, ახალგაზრდა და-ძმით ან მათზე დამოკიდებული ავადმყოფი ნათესავით. მათი საშუალო შემოსავალი — მაგალითად, პროფესიონალი მასწავლებლისა და გამოუცდელი შინამოსამსახურის შემოსავლის საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის შედეგად — კვირაში ორ დოლარზე ნაკლებია. ესეც მიზეზი აჯანყებისა, რომელიც მიმართულია უკეთესი პირობების შექმნისკენ. თანაც, ვიცით, რომ ყველაზე დიდი დამქირავებელი სწორედ მთავრობაა და ასეთ საშინელ მაგალითს აძლევს კერძო დამსაქმებელს იმ ხელფასის დანესებით, რასაც ქალებს უხდის, — ესეც კიდევ ერთი მიზეზი. მთავრობის დეპარტამენტების მუდმივი დანაზოგი უარყოფით გავლენას განიცდის, როცა ქალის მუშაობას კაცისაზე ცვლიან და ამ სამუშაოსთვის განკუთვნილი ანაზღაურება კი ყოველთვის მცირდება, როცა ქალს იქირავებენ სამუშაოდ. ეს არის ინდუსტრიული სიტუაცია. გაოფლილ შინამოსამსახურეებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ არიან ქალები, ვინც სხვებსაც არჩენენ და

კვირაში სამ-ოთხ შილინგს გამოიმუშავენ, ათასობით მათგანი. თანაც იხდიან ცხოვრების გაზრდილ ღირებულებას, ზედმეტად მაღალ ბინის ქირას ჩვენს დიდებულ ქალაქებში მხოლოდ ერთი ოთახისთვის, რათა ერთ სახლში რამდენიმე ოჯახი დაეტიოს და საკუთარ ოთახსაც ვერ გასწვდებიან. საკმარისია ინდუსტრიულ სიტუაციაზე.

შემდეგ მოდის სამართლებრივი მდგომარეობა. ჩვენი ქვეყნის საოჯახო კანონმდებლობა ასობით ქალს აყენებს მებრძოლთა რიგებში, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ქორწინების მომწესრიგებელ კანონებში იმ რეფორმების გატარება, რაც ქალებს სურთ. პირველ ყოვლისა, ინგლისური კანონმდებლობით გოგონები საქორწინო ასაკს თორმეტი წლის ასაკში აღწევენ. როდესაც სასამართლოში ვიყავი, მოწმედ მოიყვანეს პატარა გოგონა, რომელმაც რაღაც იპოვა ხაზინის კანცლერის სახლის მეზობლად, რომელიც ვიღაც ქალმა გაანადგურა. და ეს პატარა გოგონა წარმოდგენილი იყო როგორც მოწმე. ითქვა, რომ საშინელებაა, მოიყვანო პატარა, თორმეტი წლის გოგონა და დასვა სასამართლოში მოწმის სკამზე. მე ვეთანხმები და ასევე, აღვნიშნე მოსამართლესთან და ნაფიც მსაჯულებთან, რომ ქალების აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს პატარა გოგონაა, რომლის თავიც ძლივს მოჩანდა მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ადგილიდან, მისი ქვეყნის კანონმდებლის მიერ მიჩნეული იყო საკმარისად დიდად, რომ საკუთარ თავზე აეღო ცოლობისა და დედობის საშინელი პასუხისმგებლობა და ქალებს ამის შეცვლა არ შეგვიძლია, პოლიტიკოსები არ მოგვისმენენ, როდესაც საქორწინო კანონმდებლობის ამ ნაწილში შეცვლას ვთხოვთ.

შემდეგია ცოლის პოზიცია. ძალიან ხშირად ამბობენ, რომ ყველა ქალს, ვისაც ხმის უფლების მოპოვება სურს, ამოდრავებს მხოლოდ იმედგაცრუება, რაც გამოწვეულია იმით, რომ იგი ცოლად არავის აურჩევია. მაგრამ გარწმუნებთ, ქალების უმეტესობა ქორწინების შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე კანონებს რომ კითხულობდეს, მათი დიდი ნაწილი სერიოზულად დაფიქრდებოდა, არის თუ არა ქორწინება ასეთი მნიშვნელოვანი, ან ქორწინების საფასური მეტისმეტად დიდი ხომ არაა, რადგან ინგლისური კანონმდებლობის მიხედვით, ქალმა შეიძლება მთელი ცხოვრება იმუშაოს მუხლჩაუხრელად ქმრისთვის და ოჯახისთვის, შესაძლოა ქმრის ბიზნესში დასაქმდეს, ან დაეხმაროს ოჯახის შემოსავლის გაზრდაში, და დიდხნაინი თანაცხოვრების შემდეგ ერთ დღესაც, თუ ქმარი

გადანყვეტს წაართვას ქალის მიერ გამომუშავებული თითოეული პენი მას და მის შვილებს, გააკეთებს კიდევ ამას, ხოლო ქალს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება არ ექნება. სრულიად მოსალოდნელია, ხანგრძლივი და რთული ცხოვრების ბოლოს ქალი თავისი შვილებით სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდეს, თუ მისი ქმარი ქალის კუთვნილ ფულს მიითვისებს. ასე რომ, როგორც ხედავთ, თუ ამ ყველაფერს სამართლებრივ ქრილში შეხედავთ, ჩვენს ქვეყანაში ცოლის ამპლუაში ყოფნა არც ისე დიდი მიღწევაა. ამას თან ძალიან დიდი რისკი სდევს.

ამის შემდეგ, შევხედოთ ქალს, როგორც დედას. თუ ბავშვი, რომელსაც ორივე მშობელი ჰყავს, ნათესავეებისგან მემკვიდრეობით ქონებას მიიღებს, სამემკვიდრეო ასაკის მიღწევამდე, ან ანდერძის დატოვების გარეშე გარდაიცვლება, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ ქონებას მემკვიდრეობით მიიღებს, ბავშვის მამაა, დედა ბავშვის მემკვიდრედ არ ითვლება; ამასთან, ქმრის სიცოცხლეში ცოლს არა მხოლოდ ბავშვის ქონების მემკვიდრეობით მიღება, არამედ ბავშვის სიცოცხლეშიც ამ ქონებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე აზრის გამოთქმაც კი არ შეუძლია. ქმარი ნყვეტს ბავშვის სასწავლებლად სხვაგან გაგზავნას და მასვე მოჰყავს სახლში მისთვის სასურველი მასწავლებელი შვილისთვის განათლების მისაღებად. ქმარი ნყვეტს, თუ როგორ პირობებში უნდა იცხოვროს ბავშვმა; ნყვეტს, როგორი განათლება უნდა მიიღოს მან; ბავშვის რელიგიასაც კი თავად ირჩევს, ისე, რომ დედის თანხმობა აქ ჩამოთვლილი არც ერთი გადაწყვეტილების მისაღებად არაა საჭირო. ქალები თაობების განმავლობაში ცდილობენ ამის შეცვლას, მაგრამ არ შეუძლიათ, რადგან კანონმდებლებს ხმის უფლების არმქონეთა მოსაზრებებისა და სურვილების მოსასმენად დრო არ აქვთ.

ხოლო შემდეგ, როდესაც დადგება საკითხი, თუ როგორ შეუძლია ხალხს ქორწინების შეწყვეტა, თუ ისინი უბედურები არიან, ინგლისურ სამართალში განქორწინების მომწესრიგებელი კანონები ცივილიზებული სამყაროს ყველაზე სამარცხვინო წესებია. შესაძლოა იყოს ამერიკის რამდენიმე შტატი და ვფიქრობ კანადა, სადაც იგივე ნორმები მოქმედებს, მაგრამ, ცალკე აღებული, ინგლისის კანონები იმდენად დაღს ასვამს ქალს, იმდენად ანგრევს მას, იმდენად უწვევს პროვოცირებას ქორწინებაში მყოფ კაცს, ჩაიღინოს უზნეო საქციელი, რომ, ვფიქრობ, იგი უნდა გასამართლდეს ქალების მიერ

აჯანყების გზით. ქორწინებაში რეგისტრაციით უერთდები მორალის უთანასწორო კანონებს, რომლებიც დაქორწინებულ კაცს ზურგს უმაგრებს, შეძლოს იმდენი უზნეო საქციელის ჩადენა, რამდენიც, მისი აზრით, ცოლ-ქმრის ერთგულებას შეესაბამება; ქალისთვის ლალატის ერთი შემთხვევის დამტკიცების შემთხვევაში ქმარს შეუძლია განქორწინდეს, დედა დააშოროს შვილებს და განდევნოს იგი. ქალებმა, რომლებიც თაობების მანძილზე ხმაურით ითხოვდნენ თანასწორ განქორწინების სამართალს, ყურადღება ვერ მიიპყრეს. ამგვარად, ჩვენ გვყავდა განქორწინების სამეფო კომისია და გვქონდა ანგარიში, მაგრამ ქალებს არა აქვთ გარანტია, რომელიც ახალი კანონების მოქმედების ქვეშ იპოვიან სამართალს მანამ, სანამ კაცების მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს წევრებს, იგულისხმებიან მამაკაცები, შესაძლებლობა ექნებათ, კანონმდებლობაში ასახონ კაცის, და ქალის, მორალური შეხედულებები.

ამ ფაქტებს თვალი უნდა გავუსწოროთ. ქალთა ხმის უფლებისთვის მებრძოლი მოძრაობის ნაწილს შედეგად მოჰყვა ის, რომ ქალებმა ისწავლეს მოვლენებისთვის თვალის გასწორება; ისინი სენტიმენტებისგან გათავისუფლდნენ; ისინი მიმდინარე მოვლენებს თვალს ადევნებენ: როდესაც ქალთა ხმის უფლების მოწინააღმდეგეები საუბრობენ მამაკაცების ჯელტმენობაზე, ან ქალების კვარცხლბეკზე აყვანასა და მათ დაცვაზე ცხოვრების ყველა სირთულისა და საფრთხისგან, ჩვენ ამ დროს აღვიკვამთ სინამდვილეს ისე, როგორც ის ცხოვრებაშია და ვამბობთ: „ქალებს ყველა მიზეზი აქვთ, არ ენდონ ამგვარ რალაცეებს, დაუკმაყოფილებლობისთვის აქვთ ყველა საფუძველი; ჩვენ გვსურს ვიცოდეთ სიმართლე, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს იგი, ჩვენ თვალს ვუსწორებთ ამ სიმართლეს, რადგან მხოლოდ სიმართლის ცოდნის გზით შეძლებ მიიღო ნებისმიერი უკეთესი რამ“. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ, მივიღოთ არსებული სიტუაცია და გავწმინდოთ, მაგრამ სასაცილოა, უთხრა ქალებს, უსაფრთხოდ ეგულებოდეთ თავიანთი ინტერესები მამაკაცის ხელში, რომელმაც ქვეყნის კანონმდებლობა თავის ინტერესებს ორივე სქესისთვის იმდენად უსამართლოდ მოარგო, როგორც დღეს ეს ინგლისის კანონმდებლობაშია.

როდესაც განქორწინების კომისია დაარსდა, მტკიცებულებებს ყველა ტიპის ადამიანი აწვდიდა, ქალებს კი უწევდათ წაეკითხათ გაზეთებში იმ კაცის მტკიცებულებები, მოსამართლეს რომლის მოვალეობაა, გადანყვიტოს, რა იყო სამართლებრივი საფუძველი და

გადანწყვიტოს, კვლავ უნდა იყვნენ ქალები თავიანთ ქმრებთან დაკავშირებულნი, თუ არა. რა თქვა მან? მიხარია, როცა ვფიქრობ, რომ მას აღარ ექნება ის მდგომარეობა, რაც თავისი იდეების ხორცშესხმის საშუალებას მისცემს; ახლა ის ლორდთა პალატას ამშვენებს: მაგრამ ის ჯერ კიდევ განქორწინების სასამართლოს მოსამართლე იყო, როდესაც განაცხადა, რომ, მისი აზრით, ბრძენი ქალი თვალს ხუჭავს მისი ქმრის ამორალურ საქციელზე; ქალბატონებო, ეს ის კაცია, რომელიც წლების განმავლობაში წყვეტდა, თუ რა იყო განქორწინების საფუძველი და წყვეტდა იმას, თუ რა უნდა აეტანა და რა არ უნდა მოეთმინა ქალს ცოლ-ქმრის ურთიერთობაში.

კიდევ გიკვირთ, რომ ეს ყველაფერი უფრო აგრესიულებს გვხდის? მჯერა, რომ ერთხელ მაინც თუ შეხედავთ მოვლენებს ქალის პოზიციიდან, ერთხელაც თავს თუ დაანებებთ პოლიტიკოსებისთვის ყურის გდებას, ერთხელაც, როდესაც ცხოვრებისეულ მოვლენებს თქვენი თვალთ შეხედავთ და არა კაცის სათვალეებიდან, ყოველი დღის ჩავლისას თქვენ ხედავთ იმის გამომხატველ ახალ-ახალ სურათებს, რომ პოლიტიკური უფლებების მიღებისთვის ქალებს მეტის მოთმენა აღარ შეუძლიათ.

შემდეგია ბოლო მანიფესტაცია, ძალადობის ბოლო აქტი დაატყდა თავს სიმშვიდის დიდებულ კონსპირაციას მორალურ საკითხებთან და სოციალურ დაავადებებთან დაკავშირებით, რომლებმაც ბოლო რამდენიმე წელია შეგვანუხა. მსურს, შემოგთავაზოთ ჩემი გულწრფელი მადლობა იმ ქალბატონების მიმართ, რომლებიც დღეს ჩვენ გვიძღვებიან და შეერთებული შტატების იმ მამაკაცი ექიმების მიმართ, რომლებიც ამ მიმართულებით წინ მიიწევენ. სანამ სუფრაჟისტები შეისწავლიდნენ საკითხს, ეს ხალხი უკვე ლაპარაკობდა; ექიმის პროფესიამ ამერიკაში გაკვალა გზა და ექიმ პრინს მოროუსა და სხვა მამაკაცების წყალობით, რომელთა სახელებსაც ჩვენ პატივს ვცემთ, როგორც იქნა, დავიწყეთ საქმის რეალურ ვითარებაში გარკვევა. ვიცით, რომ რაც არ უნდა მოინდომონ ქალებმა, მათი მოვალეობაა მათი რასისთვის და რასის გადასარჩენად, ერის ზნეობრივი სიმართლის საკითხი წამოწიონ წინ, დაუახლოვონ ქალის ხედვას და გადანწყვიტონ კაცებთან თანამშრომლობის გზით. ჩვენი საქმეა, ვაჩვენოთ ახლო კავშირი, რომელიც საზოგადოების შემადრწუნებელ მდგომარეობასა და ქალების პოლიტიკურად დეგრადირებას შორის არსებობს. ბოლო დროს ბრძენი მოაზროვნეების ძალიან ბევრ სტატიას ვკითხულობ, ვხედავ,

რომ ასე თუ ისე, როდესაც ისინი წერენ კაცებზე, თუნდაც მათ საუკეთესო ნაწილზე, თავს არიდებენ რეალურ საკითხებს, რაც ქალთა მდგომარეობას შეეხება.

ჩვენ, ქალები, ნათლად ვხედავთ რეალობას, რომ ამ საკითხებთან გამკლავების ერთადერთი გზა ჩვენი სტატუსის ამაღლებაა; უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური, ხოლო შემდეგ ქალების ინდუსტრიული და სოციალური სტატუსისა. ქალები ისევე უნდა შეაფასოთ, როგორც კაცები; უნდა გქონდეთ მორალის ერთნაირი სტანდარტი; ძალდატანების ერთადერთი გზა ქალებისთვის პოლიტიკური ძალაუფლების მინიჭებაა და ამგვარად ქვეყნის კანონმდებლობაში თანასწორი მორალური პრინციპების დანერგვა. ეს ერთადეტი გზაა. არ ვიცი კაცები საკმარისად აანალიზებენ ამას თუ არა, მაგრამ ქალები ამას ვაცნობიერებთ; ჩვენ უფრო და უფრო ვხვდებით ამას და იქამდე მივყავართ, რომ ამ საკითხზე ხმამაღლა ავლაპარაკდეთ. რაც მთავარია, მივხვდით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამის ცოდნაა. ათი წლის წინ ნებისმიერი ქალისთვის ან მამაკაცისთვის შეუძლებელი იქნებოდა ამ საკითხზე ღიად ლაპარაკი ნებისმიერ პლათფორმაზე, რადგან ქალებს ყველაფერზე თვალების დახუჭვა ასწავლეს; მათ ასწავლეს მათი სქესის დიდი ნაწილის ცხოვრების დეგრადირების და კანონგარეშედ ცხოვრების ფაქტის იგნორირებაც კი. თუ ქალები ამ ყველაფერს მიუხვდებოდნენ, მათ ბუნდოვანი განმარტებებით აუხსნიდნენ, რომ ეს ყველაფერი მათი დარჩენილი ცხოვრების უსაფრთხოდ გატარების მიზნით კეთდებოდა; ეტყოდნენ, რომ ეს იყო აუცილებლობით გამოწვეული ბოროტება; ეტყოდნენ, რომ არის რაღაც, რასაც კარგი ქალბატონი ვერ გაიგებს და არც არაფერი უნდა იცოდეს ამის შესახებ. ახლა ეს ყველაფერი შეწყდა. ქალები უარს ამბობენ კაცების მიერ მათი ცხოვრების უსაფრთხოებისთვის ზრუნვაზე მათი დების ხარჯზე, თუნდაც ეს ყველაფერი მართალი ყოფილიყო. ქალები გამბედაობით აღსავსენი არიან. ანტისუფრაჟისტები ყველაზე საშინელი ნაწილიდან მოდიან, აცნობიერებენ, რომ ერთხელაც, როცა ქალის ხმის უფლებას მიიღებთ, ძალიან ბევრი ადგილი, რომელიც დღეს მიღებულია, უნდა გაქრეს. შესაძლოა ბევრი მამაკაცისთვის რთულია იმის თქმა, რომ თვითკონტროლი უნდა დამყარდეს და დაწესდეს მორალის თანასწორი სტანდარტი, მაგრამ ახლა საუკეთესო მამაკაცები, მთელი მსოფლიოს მეცნიერები, ქალების ხედვას იცავენ.

ოცდაათი წლის წინ ინგლისში ერთი მდიდარი ქალბატონი, სახელად ჯოზეფინ ბათლერი ორივე სქესისთვის თანასწორი მორალური კოდექსისთვის იბრძოდა. მან მთელი თავისი ცხოვრება ბრძოლაში გაატარა; ის ჩაქოლეს; უარყვეს; მისი მიტინგები დაშალეს; მისი ცხოვრება მთლიანად სახიფათო გახდა; და ეს ქალბატონი ჯერ კიდევ შეუპოვრად დგას და იცავს პროსტიტუციასთან დაკავშირებით მიღებული ახალი კანონის გაუქმების საკითხს, რომელიც ლაფს ასხამს ჩვენი ქვეყნის კანონთა კრებულებს. იმ დღეებში ექიმები მის წინააღმდეგ იყვნენ; პრაქტიკულად ყველა მის წინააღმდეგ იყო. კაცები ამბობდნენ, რომ მათი ჯანმრთელობისთვის ჯობდა, უთანასწორო მორალური კოდექსი ჰქონოდათ. ახლა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და მამაკაცი ექიმებისა და მეცნიერების უმეტესობა ქალებს ეთანხმება; ეთანხმებიან ქალებს, რომ სრულიად შესაძლებელია და აუცილებელია, არჩეული გზისთვის თანასწორი მორალური კოდექსის მიღება. შესაძლოა რთული იყოს; შესაძლოა ამის გაკეთება თაობების მანძილზე იყოს რთული; მაგრამ ეს დადგება და დადგება ქალთა მოძრაობის გარეშე, რადგან დღეს ქალებს, რომლებსაც განათლების პრივილეგია აქვთ, რომლებსაც სამედიცინო დახმარებისა და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით აქვთ ცოდნა, თავიანთ სქესზე სრულად ინფორმირებულნი არიან, ხოლო ჩვენთვის უცნობი მიმართულებებიდან დიდი ოპოზიციური ძალა მოდის; ის ხალხიც კი, ვინც თავისი თავი საზოგადოებრივი მორალის წინამძღოლად მიიჩნია, ეწინააღმდეგება იმ ფაქტებს, რომლებიც უკვე ითქვა.

ყველაზე უცნაური რამ, რაც კი აქამდე გამომიცდია, იყო ახლახანს ნიუ-იორკში ჩვენი გაზეთის ასლების აღმოჩენა, ქალთა ხმის უფლების დამცველები (The Suffragette), რომელთა სტატიები ჩემი ქალიშვილის მიერაა დაწერილი და რომლებშიც მოყვანილია ციტატები მთელი მსოფლიოს მამაკაცი ექიმების მიერ აქტუალურ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებებიდან და ეყრდნობა ამ ციტატებს, როგორც ფაქტებს. ამასთან, ეს გაზეთი გასაყიდად იყო გამოტანილი და იყო მცდელობა, წარმატებული მცდელობა, შეეფერხებინათ ამ გაზეთის გაყიდვა, რადგან ამ გაზეთში დაბეჭდილი სტატიები სიმართლეს შეიცავდა: ასევე, წიგნი, რომელიც მოიცავს სტატიებს, შეგროვებულს სტატიის ფორმის მიცემამდე და რომელშიც წერია, თუ რატომ დაიწერა წიგნი, ასევე, გახდა საზოგადოებრივი მორალის თვითდანიშნული დამცველის, ბატონი ქომ-

სთოქის, თავდასხმის საგანი, რასაც ამერიკული პრესა მხარს უჭერდა. ამაღამ ეს წიგნი აქ არის: ეს წიგნი გაყიდვაშია. ეს წიგნი დაწერილია არა ჩემი ასაკის ადამიანებისთვის, არა იმ ხალხისთვის, რომლებიც საშიშროებასთან პირისპირ დარჩენისას შეწუხდება ან გაიქცევა: არამედ დაწერილია ახაგაზრდა ადამიანებისთვის. ეს წიგნი დაიწერა ქალების მიერ შემეცნებისთვის. რა დანიშნულება აქვს საჯინიბოს საკეტს ცხენის მოპარვის შემდეგ? პრევენცია რეპრესიაზე უკეთესია. ეს წიგნი დაიწერა საფრთხის შესაცნობად, ნამდვილ ფაქტებზე დაყრდნობით, მოაზროვნე ადამიანების მიერ იმის გაცნობიერებით, რომ მხოლოდ ქალების გათავისუფლების გზით, მხოლოდ ქალების როლის გაზრდითაა შესაძლებელი, არსებულ ვითარებას გაუმკლავდე. ჩვენ, ქალები თაობების განმავლობაში ვცდილობდით ბოროტების აღმოფხვრას; გვყავდა ჩვენი ქომაგი საზოგადოებები; ყველა ღონე ვიხმარეთ; ჩვენ მივიღეთ ღარიბი ბავშვები, რომლებსაც არ გაუმართლათ და მორალის სქესთა შორის უთანასწორო კანონების მსხვერპლნი გახდნენ, და რა მოხდა? სამწუხაროდ, ვითარება გაუარესდა; ბოროტების ფესვების ამოძირკვის ნაცვლად, მხოლოდ ზედაპირი დავკანრეთ. ყველაფერი შეიცვალა. დღეს ჩემს ქვეყანაში ქალები, რომლებიც მუშაობენ, მსვერპლად ეწირებიან და იტანჯებიან, რათა მათ სქესს პოლიტიკური უფლებები მიენიჭოს, რომ შედეგად უკეთესი კანონები და კანონების უკეთესი ადმინისტრირება მივიღოთ. ამაღამ შემიძლია გავაგრძელო იმის ჩამოთვლა, თუ ჩემს ქვეყანაში საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი ერთი შეხედვით უმნიშვნელო დანაშაულები, წვრილმანი ქურდობები, საკუთრების მცირე დაზიანებები როგორ ისჯება უფრო მკაცრად, ვიდრე ჩემი სქესის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილი ფიზიკური და მორალური დანაშაული. ვფიქრობ, საკმარისად ვისაუბრე იმისთვის, რომ გაიგოთ, ბრიტანელი ქალების მიერ წამოწყებულ აჯანყებას ისეთივე გამართლება და პროვოკაცია ახლავს თან, როგორიც კაცების მერ მონყობილ ნებისმიერ აჯანყებას პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად წარსულში. ჩვენ არ ვიღწვით ხმის უფლების მოპოვებისთვის. ჩვენ ხმის უფლების მოსაპოვებლად ციხეში მოხვედრას არ ვაპირებთ, რომ ხმის უფლება მხოლოდ სათქმელად გვქონდეს. ჩვენ ყველაფერი ამის საშუალებით ვაპირებთ ხმის უფლების მოპოვებას, რომლის რეალურმა მოქმედებამ უკეთესი პირობები მოგვიტანოს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთლიანად საზოგადოებას მოუტანოს.

მამაკაცებმა დიდებული რამ გააკეთეს; მათ მიაღწიეს დიად შედეგებს ინჟინერიაში, დიდებული შედეგები აქვთ ორგანიზაციულ საქმიანობაში. მაგრამ მათ ძალიან დიდი, მწარე მარცხი განიცადეს, როდესაც საქმე კაცობრიობის პრობლემის გადაჭრაზე მიდგა. მათმა თავდაჯერებულობამ კრახი განიცადა, რადგან პრობლემები, რომლებსაც არეულობა შემოაქვთ ხოლმე ცივილიზაციაში, დღესაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. დიახ, ეს არის ცხოვრებაში ქალების ფუნქცია: ჩვენი საქმეა კაცობრიობის გადარჩენა, და მონდომებულები ვართ, რომ ჩვენი რასის გადარჩენა არ გადავდოთ. რასა უნდა გადარჩეს, რაც მხოლოდ ქალების გათავისუფლებით მიიღწევა.

ამგვარად, ქალბატონებო და ბატონებო, მინდა გითხრათ, რომ თქვენი მადლობელი ვარ ამაღამ ჩემი მოსმენისთვის; მოხარული ვარ, თუ თუნდაც მცირედით შევძელი, ამეხსნა ინგლისში არსებული სიტუაცია. მინდა გითხრათ, რომ აქ ბოდიშის მოსახდელად არ ვარ. დიდად არც ის მაინტერესებს, ნამდვილად გამიგეთ თუ არა, რადგან, როდესაც საბრძოლო მოქმედებებში ერთვები, მოძრაობაში, რომელიც მასში ჩაბმას ადამიანის მთლიან არსებას უბიძგებს, ამით სხვა ადამიანებს ვერ დაუმტკიცებ იმას, რაც გსურს; შენ კონცენტრირდები იმ საგანზე, რომლის მიღწევაც გინდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღშფოთებული მსოფლიო შენს წინააღმდეგ იქნება. ასე რომ, აქ ბოდიშის მოსახდელად ან თქვენი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად არ ვარ. ხალხი ამბობს: „რატომ ჩამოვიდა მისის ფანქშურსთი ამერიკაში? იმისთვის ჩამოვიდა, რომ ამერიკელი ქალები საბრძოლველად განაწყოს?“ არა, აქ იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ ამერიკელი ქალები საბრძოლველად განვაწყო. მჯერა, ამერიკელი ქალები, თავიანთი მზარდი სერიოზულობის წყალობით, რამდენადაც აანალიზებენ მათი სქესისთვის პოლიტიკური უფლებების მოპოვების აუცილებლობას, თავად მიაკვლევენ გზას, რომ დაიცვან იგი. თითოეულმა ერმა თავად უნდა იზრუნოს გადარჩენისთვის, ასე რომ, ამერიკელი ქალები თავად იპოვიან გამოსავალს და თავიანთ მეთოდებს შეიმუშავებენ.

სხვები ამბობენ: „რა უფლება აქვს მისის ფანქშურსთს, ჩამოვიდეს ამერიკაში და ამერიკული დოლარები ითხოვოს?“ თუმცა, ვფიქრობ, უფლება მაქვს, ყველა დაჩაგრულს ვთხოვო თანაგრძნობის გამოხატვა სხვების მიმართ უფრო თავისუფლად, ვიდრე საკუთარი თავებისადმი. თქვენი უფლება, წასულიყავით საფრანგ-

ეთში და დახმარება გეთხოვრებოდა, კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დამდგარა. თქვენ გააკეთეთ ეს და მიიღეთ კიდევ დახმარება. ამერიკაში ყველა ეროვნების მამაკაცი ჩავიდა და ხელცარიელი არ წასულა, რადგან ამერიკელების გულმონყალება მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ადამიანებზე ვრცელდება.

ინგლისში, თუ თქვენ ამის გაგებას შეძლებთ, მიმდინარეობს ყველაზე პათეტიკური და გულმხურვალე ბრძოლა, რადგან თქვენ აღმოაჩინეთ ადამიანებს, რომლებიც ყოველთვის სუსტად და თავდაჯერებულად მიგაჩნდათ, ადამიანებს, რომლებზეც ყოველთვის ფიქრობდით, რომ დასაცავად სხვებს მიმართავდნენ, დგანან და თავად იბრძვიან. ქალებმა აღმოაჩინეს ახლებური თვითდაფასება, სხვაგვარი ენერჯია, განსხვავებული სიძლიერე: და ვფიქრობ, ყველა შევიწროებული ადამიანი, რომელმაც შეიძლება თქვენი გულმონყალება და თანადგომა დაიმსახუროს, ამ ბრძოლაში ჩაბმული ქალები, რომლებიც აქამდე ისტორიისთვის უცნობნი იყვნენ, XX საუკუნეში თვითგანვითარების, თვითგამოხატვისა და თვითმმართველობის უდიდესი ძალაუფლებისთვის მებძოლმა ქალებმა შესაძლოა ადვილად დაიმსახურონ ამერიკელი ხალხის სიმპატია და რეალური დახმარება.

არ არსებობს ამერიკელი ქალების მიერ მიღწეული არც ერთი გამარჯვება, რომელიც ჩვენ არ გაგვხარებია. თვიდან თვემდე ვკითხულობთ, თუ როგორ ემატება ახალი წევრები პოლიტიკური უფლებებით მთლიანად აღჭურვილი შტატების რიცხვს, შესაძლოა იმის გამო, რომ ვიცით, რა რთულია ბრძოლა, ეს ჩვენ უფრო გვიხარია, ვიდრე თავად ამერიკელ ქალებს.

ლონდონში მიტინგზე მე გავიგონე გამარჯვების შეძახილები, როდესაც ცნობილი გახდა ამერიკის მიერ ახალი შტატების მიერთების თაობაზე ინფორმაცია, გავიგონე გაცილებით უფრო ხმამაღალი და ენთუზიაზმით აღსავსე შეძახილები, ვიდრე ამერიკაში გამარჯვების აღსანიშნავ ნებისმიერ მიტინგზე. ჭეშმარიტებაა, რომ ვინც რთულ ომში იბრძვის, ვინც გამარჯვებისთვის ყველაფერს სწირავს, აფასებს ამ გამარჯვებას და უფრო მეტი ენთუზიაზმით ხვდება გამარჯვების მოპოვებას. ჩვენ მთელი გულით გავგიხარდა თქვენი გამარჯვება. ვფიქრობთ, თქვენი გამარჯვება ადვილად მისაღწევი იყო ჩვენი ძალისხმევის წყალობით, რადგან ამ დროს ჩვენი ძალადობრივი მოქმედებები აღმოჩნდა ქალთა ხმის უფლების დამცველთა მოძრაობის შტორმის ცენტრში, რომელმაც მთელ

მსოფლიოში გააგზავნა ტალღები ქალების გამოსაფხიზლებად. ამ მხრივ, თქვენ მხოლოდ ამგვარი სიძლიერის არაჩვეულებრიობის ახსნა შეგეძლოთ. ათი წლის წინ ქალთა უფლების დამცველი ნებისმიერი მოძრაობის არსებობა რთული იყო. ახლა, ჩინეთსა და იაპონიაშიც კი, ინდოეთში, თურქეთში, ყველგან ქალები აქტიურდებიან და ითხოვენ ფართო შესაძლებლობებს, რაც თანამედროვე ყოფაში ქალს მოეთხოვება: და ჩვენ, ქალები, ვფიქრობთ, რომ ამაში წვლილი შევიტანეთ. ამგვარად, თუ ჩვენ მართლაც გავუწიებთ დახმარებას, თუ, როგორც ამაღამ აქ მყოფებისგან ითქვა, ჩვენ კონექტიკუტში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის ენთუზიაზმი მაინც გავაღვიძეთ, შეძლებთ დამადანაშაულოთ, რომ მოვედი და გაიბზეთ იმ სასონარკვეთილი ბრძოლის შესახებ, რომელიც გვაქვს, თუ როგორ ცდილობს მთავრობა ჩვენს გატეხას ყველა შესაძლო გზით, სასამართლო პროცესებში ჩაბმითაც კი, თუ როგორ ცდილობს დააშინოს ჩვენი მხარდამჭერები და ის ადამიანები, ვინც ფულს გვწირავს, ციხეში ჩასმის მუქარით? კიდევ გიკვირთ, რატომ ჩამოვედი ამერიკაში? ნაგიკითხავთ იმ ამერიკული დოლარების შესახებ, რომლებიც ირლანდიელ კანონდამრღვევებს გადაეცათ?

ასე რომ, აქ ვარ. მე ჩამოვედი ციხის გამოჩენამდე ინტერვალში: ჩამოვედი კატა-თავგობანას წესით ოთხჯერ დაპატიმრების შემდეგ, შესაძლოა ისევ მელოდეს დაპატიმრება, როგორც კი ბრიტანეთის მიწაზე ფეხს დადვამ. მე ჩამოვედი, რომ გთხოვოთ ამ ბრძოლის მოგებაში დახმარება. თუ ამ ურთულეს ბრძოლაში გამარჯვებას მოვიპოვებთ, დარწმუნებული იყავით, მომავალში ქალებს მთელი მსოფლიოს გარშემო გაუადვილდებათ ბრძოლაში გამარჯვება, როდესაც მათი დრო მოვა. ასე რომ, მე არ ვიხდი ბოდიშს ჩამოსვლისთვის, მისის ჰეფბერნ, არ გიხდით ბოდიშს აქ შეკრებილი ხალხისთვის მიმართვისთვის, რომ თუ რომელიმე მათგანს სურს დამეხმაროს, მოვაგროვო ცოტაოდენი ფული და შევმატო იმ ფულს, რომელსაც, ვიცი, რომ ქალები საკუთარი მსხვერპლის გაღებით აგროვებენ, რათა შემდეგ წელს, როდესაც ჩვენს კამპანიას განვაახლებთ, მზად ვიყოთ საყოველთაო არჩევნებისთვის, რომლის პირისპირაც შესაძლოა შემდეგ წელს აღმოვჩნდეთ, ფულთან დაკავშირებული ჩვენი შიშები ისეთივე მძაფრი აღარ იყოს, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ არ მომეკრიბა საკმარისი სიძლიერე და ჯანმრთელობა აქ ჩამოსასვლელად და რამდენადმე ენერგიული ტურის ჩასატარებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

JMG & Partners

იურიდიული კომპანია

www.jmg.ge clients@jmg.ge

032 2 90 41 39

